პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური
- ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობის მოწოდება ინგლისის მუშებისადმი.
- შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის ლიონში (საფრანგეთი).
- ახალი „საბჭოთა“ ყალბი დოკუმენტები ბერლინში.
- ვეზუვის ამოხეთქა გრძელდება.
- როალდ ამუნდსენი მოსკოვში.— გაიხსნა ნიჟეგოროდის ბაზრობა.
- განაჩენი ქართველ მენშევიკების საქმეზე.

ოთხშაბათი, 3 აგვისტო 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 174 (1919)

ხარკოვის სასამართლოს განაჩენი

ქართველ მენშევიკების პროცესი ხარკოვში დამთავრდა. დღეს ვაქვეყნებთ სასამართლოს განაჩენს ბრალდებულთა შესახებ. ბევრს იმათგანს, ვინც თვალყურს ადევნებდა გასამართლების მსვლელობას, მაზე გამოქვეყნებულ მასალებს, ალბად გაუკვირდებათ ის უაღრესი ლმობიერება, რომელიც პროლეტარულმა მართლმსაჯულებამ გამოიჩინა მუშურგლეხურ სახელმწიფოს წინაშე უმძიმეს დანაშაულის ჩამდენთა მიმართ. მხოლოდ ერთს, სახელდობრ პენკოვს, პოლონეთის გენერალურ შტაბის მოსყიდულ ჯაშუშს, გადაუწყვიტეს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, და მასაც უფლება მისცეს აღძრას შუამდგომლობა ამ განაჩენის შეცვლის შესახებ. დანარჩენებიდან ზოგს დაპატიმრება მიუსაჯეს სხვადასხვა წლით, ზოგი კიდეც გაანთავისუფლეს.

რაშია საქმე? ნუ თუ ბრალდებულთა ბოროტმოქმედება ღირსი არ იყო გაცილებით უფრო მკაცრი სასჯელის? რა თქმა უნდა, იყო. პროცესის დროს გარდაიშალა მენშევიკების და მათი აგენტების უძიროო დაცემის მთელი სურათი. სასამართლომ ნათლად დაამტკიცა მათი კავშირი პოლონეთის გენერალურ შტაბთან, ჯაშუშური „მოღვაწეობა“ საბჭოთა რესპუბლიკებში და საფრანგეთის კონტრ-დაზვერასთან ერთად. არალეგალურ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის მოწყობა და სხ. ერთი სიტყვით, მათ მიზანს შეადგენდა მუშათა და გლეხთა წყობილების აფეთქება და საბჭოთა კავშირის დამონება იმპერიალისტებისათვის.

თავის თავად ცხადია, ასეთი მოქმედებისათვის, თუ ის იქნებოდა მიმართული ბურჟუაზიული სახელმწიფოს წინააღმდეგ, უკანასკნელი უსასტიკესად გაუსწორდებოდა დამნაშავეთ.

საბჭოთა სასამართლო ასე არ მოიქცა. და აქ მჭერმეტყველურად აშკარავდება მისი ბუნება. ბრალმდებელმა ამხ. პროგომ განაცხადა: „პროლეტარიატისათვის არ არსებობს შურისძიება შურისძიებისათვის“-ო. და სწორედ ეს ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია პროლეტარულ მართლმსაჯულებისა ბურჟუაზიულიდან განსხვავებით.

ხარკოვის სასამართლოს ამოცანა პირველ ყოვლისა და უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ მასების წინაშე გამომჟღავნებინა მენშევიკების, რომელნიც თავის თავს კიდევ უსირცხვილოდ სოციალისტებს უწოდებენ, ამ მენშევიკების მთელი გახრწნილობა. საბრალმდებლო სკამზე იჯდენ არა მარტო ანჯაფარიძეები, არამედ „მთელი“ მენშევიკური „პარტია“, საბრალმდებლო სკამზე იჯდენ ჟორდანია-რამიშვილები, რომელთა დავალებით მათი ხარკოველი „გმირები“ ეწეოდენ ჯაშუშობას და სხვა ათას სისაძაგლეს. სასამართლოს ეს ამოცანა სავსებით განხორციელებულია. უკრაინის და მთელი კავშირის მასებმა ერთხელ კიდევ დაინახეს, თუ რა ვაჟბატონებთან აქვთ მათ საქმე მენშევიკების სახით. აქედან—საბოლოო მორალური და პოლიტიკური სიკვდილი ჟორდანიების და მათი დამქაშების, თუ ვინმეს თვალში ისინი კიდევ არ იყვნენ მკვდარნი,—ასეთია პროცესის შედეგი.

რაც შეეხება საბრალმდებლო სკამზე წამოსკუპებულთა ბედს, ვიმეორებთ, მათ მიმართ პროლეტარული სასამართლო შურისძიების გრძნობას ვერ აყვებოდა. უმაღლესი სასჯელი ჩვენ გვწამს, როგორც მხოლოდ სოციალური თავდაცვის უკიდურესი ღონისძიება. საბჭოთა კავშირი მტკიცეა და ასეთი ელემენტები მისთვის სოციალურად საშიში არ არიან იმდენად, რომ აუცილებელი იყოს მათი ფიზიკურად მოსპობა. ამასთან, ზოგი მათგანი ისედაც ამძორებულ ლეშს წარმოადგენს და არარაობად ქცეულა. ასეთების სიკვდილით დასჯა ერთგვარი „პატივისცემა“ იქნებოდა მათდამი. ზოგმა კიდეც აღიარა თვისი დანაშაული და დაგმო ძველი გზა.

ხარკოვის პროცესით საბჭოთა სასამართლომ ყველას დაანახვა თავისი ნამდვილი ჰუმანიურობა. მაგრამ გულუბრყვილობა, სისულელე იქნებოდა მუშურგლეხურ სახელმწიფოს მტრების მხრით, თუ ისინი აქედან ისეთ დასკვნას გამოიტანდენ, თითქო დაუსჯელად შეუძლიათ თავისი დამანგრეველი მუშაობის გაგრძელება. საბჭოთა მთავრობა ერთი წუთითაც ვერ მოითმენს, რომ მათ გაბედონ ჩვენი აღმშენებლობითი მუშაობის ამა თუ იმ სახით შეფერხება, მით უმეტეს ხელის შეხება პროლეტარიატის დიქტატურისათვის. ნურავინ მოიტყუილებს თავს რომ ხარკოვის განაჩენი თითქო ჩვენი სისუსტის მაჩვენებელი იყოს. ეს განაჩენი მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჩვენ სისხლს გაურბივართ, როცა ეს აუცილებლობით არ არის გამოწვეული, და მოწყურებული ვართ მშვიდობიან შრომას.

მაგრამ თუ ასეთი აუცილებლობა წამოიჭრება, ე. ი. თუ ჩვენი მტრები თავს აიშვებენ და მოინდომებენ რევოლიუციის მონაპოვარის წინააღმდეგ ბოროტი ხელის აღმართვას, საბჭოთა მთავრობა ყოველთვის მზად არის ეს ხელი შეუბრალებლად წაკვეთოს, ვინაიდან განთავისუფლებული შრომის დაცვა უმაღლესი კანონია მისთვის. ამის მაგალითი მათ ნახეს თუ გინდ 20 ჯაშუშ-ტერორისტის დახვრეტიდან. შემდეგშიც ასე მოიქცევა მუშათა კლასის დიქტატურის ხელისუფლება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. ეს კარგად უნდა დაიხსომონ ჩვენმა მტრებმა.

ოპოზიცია და ომის საშიშროება

შინაპარტიული ოპოზიცია დაადგა ფრიად სახიფათო გზას, როდესაც პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში დასაშვებათ მიიჩნია იმ სიძნელეთა გამოყენებაც-კი, რომლებიც შეიქმნენ ომის საშიშროების მოახლოების გამო. ოპოზიციის საეჭვო და სახიფათო „პოზიცია“ ისეთ რთულ საკითხში, როგორიცაა მოსალოდნელი ომი იმპერიალისტების მხრივ, ჩვენი პარტიის ყველა წევრების მიერ უნდა იქნეს კარგათ განსჯილი და გაგებული.

რატომ ხდება, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი ომის მოლოდინში დადგა საბჭოთა კავშირის დახმარების და დაცვის პოზიციაზე? რატომ იყო, რომ ასეული ათასი გერმანელი ფრონტოველები, ორი თვის წინათ, დაიფიცენ, რომ არასოდეს არ დაივიწყებენ თავის მოვალეობას და დაიცავენ საბჭოთა კავშირს მტაცებელ იმპერიალისტებისაგან?

იმიტომ, რომ სხვა ქვეყნების რევოლიუციონური მუშები საბჭოთა კავშირს სთვლიან პროლეტარიატის სოციალისტურ სამშობლოთ, ჩვენს პარტიას სთვლიან პროლეტარულ პარტიად და ჩვენს მთავრობას—პროლეტარული დიქტატურის მთავრობათ.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია კი, რომელიც ყველა ზომებით ზურგს უმაგრებს იმპერიალისტებს და ცდილობს გააბას კავშირი ბურჟუაზიასთან, რომ მხარში ამოუდგეს მას ომის დროს,—ეს სოციალ-დემოკრატია რა ლოზუნგებით აწარმოებს გაშმაგებულ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? როგორ ამართლებს თავის ბრძოლას?

სოციალ-დემოკრატია აცხადებს, რომ ის ბრძოლას აწარმოებს „მოძალადე-ბოლშევიკების უმნიშვნელო ჯგუფის“ წინააღმდეგ, „ტერმიდორიანულათ გარდაქმნილ ყოფილ რევოლიუციონერების ჯგუფის“ წინააღმდეგ, რომელიც ყვლეფს რუსეთის მუშებს.

ასეთია ორი მთავარი გეზი, რომელიც ომის მოახლოებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში დაისახა: ერთი რევოლიუციონური, კომუნისტური და მეორე რეფორმისტული. მესამე—კი „ცენტრისტული“—ეკუთვნის ევროპის სოციალ-დემოკრატიის „მემარცხენე“ ფრთას, ეგრედწოდებულ „ავსტრო-მარქსიზმს“. ეს მესამე გეზი, იმ ზიანის გამო, რომელიც მას შეუძლია მიაყენოს მუშათა მოძრაობას, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ერთის მხრით ავსტრო-მარქსიზმის ბელადი ბაუერი გამოსთქვამს იმპერიალისტების ინტერვენციისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის საჭიროებას“ (ასეთი ხასიათის იყო ბაუერის წერილები ზაფხულში ვენის „არბაიტერ ცეიტუნგ“-ში). მეორეს მხრივ, იგივე ბაუერი აყენებს თეორიას „ბოლშევიკების იმპერიალიზმის“ და ერთა ლიგაში მოკალათებულ იმპერიალისტების „მშვიდობიანობის“ შესახებ. და ამით ბაუერი გზას იტოვებს ომის დროს იმპერიალისტების ბანაკში გადასასვლელად. ეს არის სოციალ-დემოკრატიული გაიძვერობის ტაქტიკა. ჩვენი ოპოზიცია, საკუთარი ტაქტიკის გამომუშავების დროს, უახლოვდება სწორედ ბაუერის ცენტრისტულ პრინციპს, რომელიც ღაღადებს: სიტყვა—სხვაა, საქმე კი—სხვა.

ოპოზიცია ერთის მხრივ „ფიცსა სდებს“, რომ „რა თქმა უნდა“ დაიცავს საბჭოთა კავშირს. მეორეს მხრივ კი ამ „ფიცს“ აყოლებს ისეთ თეორიებს და საქციელს, რომ სერიოზული ეჭვი გვებადება, თუ რამდენად სასარგებლოა პარტიისათვის ოპოზიციის ეს „ობორონცობა“.

მაგალითად, საბჭოთა კავშირის „დაცვასთან“ ერთად, ჩვენი ოპოზიცია, გერმანელ უკიდურეს მემარცხენეთა ფურცლების საშუალებით, ავრცელებს ევროპაში ხმებს იმის შესახებ, რომ ჩვენი პარტია უკვე „გარდაიქმნა“, რომ ის არ წარმოადგენს დღეს პროლეტარულ პარტიას და გარდაიქცა ბურჟუაზიულ „ტერმიდორიანელების“ პარტიათ. განა ეს „დაცვაა“?

და განა ყველა ქვეყნის სოციალ-დემოკრატები სისტემატიურად არ სარგებლობენ იმავე „თეორიით“ და იმავე ჭორით, რომ აამხედრონ მუშათა კლასი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ? როგორ არ ამჩნევს ოპოზიცია იმ გარემოებას, რომ არ შეიძლება საბჭოთა კავშირის დაცვა სოციალ-დემოკრატიული თეორიის განმეორებით, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი პარტია (პარტიასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებაც, ვინაიდან საბჭოების მოქმედებას პარტია ხელმძღვანელობს) „ბურჟუაზიულ ნიშნებს“ ატარებსო.

შემდეგ. საბჭოთა კავშირის „დაცვასთან“ ერთად, ჩვენი ოპოზიციონერები ბრალსა სდებენ ჩვენს პარტიას და კომინტერნს, თითქოს ამათ თავისი პოლიტიკით ხელი შეუწყვეს დიპლომატიურ ურთიერთობის გამწვავებას ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის. ინგლისთან ურთიერთობის შეწყვეტაში პასუხისმგებლობას ოპოზიცია ნაწილობრივ და ყოველ შემთხვევის დროს „აკისრებს“ პარტიას და კომინტერნს. და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში იყენებს ჭორებს ბოლშევიკების „მებრძოლი იმპერიალიზმის“ შესახებ.

შემდეგ. საბჭოთა კავშირის „დაცვასთან“ ერთად, ჩვენი „წინდახედული“ ოპოზიცია აცხადებს, რომ დღევანდელ მომენტში „უსაშიშროეს საშიშროებას“ წარმოადგენს არა ომის საშიშროება, არამედ შინა-პარტიული „რეჟიმი“.

და ეს მაშინ, როდესაც ყველა ქვეყნის ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია არწმუნებენ მუშათა კლასს, რომ ომის საშიშროება არც-კი არსებობსო, და ამასთან „ბოლშევიკური რეჟიმის საშინელებებზე“ ყვირილით ამზადებენ მომავალ ომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!

მხოლოდ იმ ხალხს, რომლის პოლიტიკური „გულუბრყვილობა“ ძლიერ საეჭვოა, შეუძლია ამ ოპოზიციონური ტაქტიკის გამართლება. და მხოლოდ მას შეუძლია იფიქროს, თითქოს ეს ტაქტიკა „იცავდეს“ საბჭოთა კავშირს. ეს ისეთი ხასიათის „დაცვა“, რომელზედაც იტყვიან ხოლმე: „მოგვაშორეთ მეგობრები, თორემ მტრებს ჩვენვე მოვიშორებთო“.

საინტერესოა, რა საშუალებას გვირჩევს ოპოზიცია ომისათვის მოსამზადებლათ და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი უნარიანობის გასაძლიერებლათ?

აი რას ამბობდა ამხ. ტროცკი კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე:

„სწორ ხაზისათვის ბრძოლის წარმოებით ამხ. სტალინის წინააღმდეგ (ე. ი. პარტიის წინააღმდეგ, ვინაიდან მან მიანდო თავისი ხაზის გატარება ცკას და მათ შორის სტალინსაც. რედ.) ჩვენ საუკეთესო პირობებს ვქმნით ჩემბერლენის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლათ“.

ამ რიგათ: ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ—ასეთია ოპოზიციის თავისებური „თავდაცვის კვირეული“.

საინტერესოა ისიც, როგორი იქნება ოპოზიციის „ობორონცობა“ ომის დროს? ცხადია ყველასათვის, რომ ოპოზიცია ომის დროსაც განაგრძობს პარტიის წინააღმდეგ ფრაქციონულ ბრძოლას. ოპოზიციის ბელადები ამას არც მალავენ და პირდაპირ აცხადებენ, რომ თავდაცვის „საუკეთესო“ პირობები შეიქმნება პარტიული ხაზის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებით.

რა შედეგები მოყვება ოპოზიციის ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ? გერმანიის მაგალითი ამის საუკეთესო მაჩვენებელია. იქ ოპოზიციამ შექმნა ახალი პარტია, რომელიც ბრძოლას აწარმოებს გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. განა ეს მაგალითი იმის მაჩვენებელი არ არის, რომ საბჭოთა კავშირშიც ცდილობს ოპოზიცია, კომუნისტური პარტიის პარალელურად, შექმნას ახალი პარტია. (თუნდაც ისეთივე წვრილბურჟუაზიული და უმნიშვნელო, როგორიცაა რენეგატ მასლოვის „პარტია“ გერმანიაში.)

განა შეუძლია პარტიას დაუშვას მომავალში ასეთი ორჭოფ „ობორონცების“ ფრაქციონული ბრძოლის განვითარება?

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროება პარტიას თავისი რიგების სიმტკიცე და მთლიანობა და ფოლადისებური დისციპლინა.

საჭიროა მოვიგონოთ ლენინის სიტყვები, „პარტიის სასტიკი, ჭეშმარიტად რკინისებური დისციპლინის“ შესახებ, ურომლისოდ თავის დროზე „ბოლშევიკები ვერ შეინარჩუნებდნენ ძალაუფლებას ვერც ორ ნახევარ წლის განმავლობაში და ვერც ორ ნახევარ თვის განმავლობაშიაც“. („მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“)

ოპოზიციას უნდა მოუწოდოთ სწორედ ასეთ დისციპლინისაკენ და უნდა მოვსთხოვოთ მას კატეგორიულად დაექვემდებაროს პარტიის ყველა დადგენილებებს ფრაქციონული ბრძოლის შეწყვეტის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ ოპოზიციის ამ მოთხოვნილებას უყენებს მთელი პარტია ერთსულოვნათ, მაღლა მდგომ ორგანიზაციებით დაწყებული და სულ დაბლა მდგომ ორგანიზაციებით გათავებული.

ჩვენი პარტია—ლენინური, ბოლშევიკური პარტიაა. და ის ბოლშევიკურათ შეხვდება ახალ დაბრკოლებებს და საშიშროებებს; ამ საშიშროებების წინაშე ბოლშევიკურათ დასძლევს ანტი-ლენინურ ჯგუფების და ელემენტების პანიკის მთესველ და გამხრწნელ მუშაობას.

„პრავდა“

2 აგვისტო 1927 წ.

ამსტერდამის გზა

პირველ აგვისტოს პარიზში გაიხსნა ამსტერდამის ინტერნაციონალის რიგითი მეოთხე კონგრესი. მუშათა კლასის ისტორიაში არ არის იმაზე შავი ფურცელი, როგორც ამსტერდამის ინტერნაციონალის ისტორია. მოიგონეთ, როდის დაიწყო თავისი არსებობა ამსტერდამის ინტერნაციონალმა. კაპიტალიზმის ქაოსი ომის შემდეგ. ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში, რევოლიუცია ჰუნგრეთსა და ბავარიაში, პროლეტარული ტალღის აგორება მთელს ევროპაში. პროფკავშირების კარს მიადგა არაკვალიფიციურ პროლეტარიატის უდიდესი მასა. 1920—21 წ. ამსტერდამის ინტერნაციონალი აერთიანებდა 24 მილიონ წევრს, ხოლო მსოფლიოს ყველა პროფკავშირები 40—45 მილიონს. ამ პერიოდში ამსტერდამის ინტერნაციონალი სცდილობს „რადიკალური სახით“ გამოსვლას. ლონდონისა და რომის კონგრესების რეზოლიუციებში ლაპარაკია „სოციალიზაციასა“, ომთან ბრძოლასა, ბოიკოტსა კონტრ-რევოლიუციონურ ჰუნგრეთის მიმართ და „დახმარებაზე“ საბჭოთა კავშირისათვის თეთრგვარდიელ პოლონელების წინააღმდეგ. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ არც ერთი ამ დადგენილებათაგანი არ გატარებულა ცხოვრებაში. რამდენიმე წლის შემდეგ გენერალურ მდივანს უდეგესტს სავსებით შეეძლო „ბალანსი“ გაეკეთებია თავისი ხელმძღვანელობისათვის. „თუ ოდესმე დაიწერება ჩვენი დროის ისტორია, მე ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ეს ისტორია იტყვის, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის დიპლომატიამ გადაარჩინა ევროპა კომუნიზმისაგან“.

შემდეგ დადგა „პაციფიზმის ხანა“ ვენის კონგრესი იყო ინგლისელ „მემარცხენეთა“ მოძრაობის სავალალო ისტორიის დასაწყისი. მასების ზეგავლენით შექმნილ იქნა ინგლის-რუსეთის კომიტეტი. პროფმოძრაობის მთლიანობის იდეა ღრმად შეიჭრა მუშათა მასებში და აზანზარებდა ამსტერდამის ინტერნაციონალის მთელს შენობას; მაშინ მოეღო ბოლო „რადიკალურ“ ფრაზეოლოგიას. ამსტერდამის ბიუროკრატია საბოტაჟს უცხადებს არა მარტო ინგლისის დიდ გაფიცვას, არამედ ყველა გაფიცვებს 1926—27 წ. გერმანიასა, პოლონეთსა და ჩეხო-სლოვაკიაში. ჩინეთის რევოლიუცია მათთვის არ არსებობს. არ ყოფილა არც ერთი ცილისწამება, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლისთვისაც ბანი არ მიეცათ ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერებს. იმ დროს, როდესაც ჩემბერლენი ტყავიდან ძვრება, რათა განახორციელოს საბჭოთა კავშირის იზოლიაცია, ამსტერდამის ინტერნაციონალის ლიდერებიც თავის მხრივ ცდილობენ საბჭოთა პროფკავშირების იზოლიაციას და, საბჭოთა პროფკავშირების გამოკლებით, თავის კონგრესზე პირველად მოიწვიეს კოლონიებისა და მთელ რიგ ევროპიულ ქვეყნების ის პროფკავშირები, რომლებიც არ შედიან ამსტერდამის ინტერნაციონალში.

მიუხედავათ იმისა, რომ ამსტერდამის პროფკავშირებიდან მუშები მასიურად გავიდენ (ამსტერდამის ინტერნაციონალში ნახევარიც აღარაა იმის, რაც იყო), ლიდერები მაინც კმაყოფილნი არიან და ყბედობენ „კონსოლიდაციაზე“. ეჭვს გარეშეა, რომ ეს კონსოლიდაცია არის მუშათა არისტოკრატიის ერთგვარი პოლიტიკური კონსოლიდაცია. მაგრამ ეს კონსოლიდაცია იმდენად მერყევი და შედარებითია, რამდენადაც მისი სულის ჩამდგმელი დღევანდელი სტაბილიზაცია კაპიტალიზმისა. ამას მოწმობს სწრაფი დიფერენციაციის პროცესი ამსტერდამის ინტერნაციონალის ქვედა ფენებში. რამდენადაც ამსტერდამის მუშათა არისტოკრატია უფრო ჩქარა მოახდენს თავის „კონსოლიდაციას“ და თვითგამორკვევას, იმდენად კომუნისტურ ავანგარდს გაუადვილდება ნამდვილი პროლეტარული მთლიანობის განხორციელება და კონსოლიდაცია კლასიურ ნიადაგზე, რაც წარმოადგენს ძლევამოსილი პროლეტარული რევოლიუციის მთავარ საწინდარს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა ჩამორჩენილ ქვეყნებში იზრდება რევოლიუციონური მიმდინარეობა. ეს ფაქტი გვავალებს ჩვენი ორგანიზაციული და პოლიტიკური პრინციპების შემოწმებას, და მოითხოვს ჩვენგან წინდახედულობას, სითამამეს და სიმტკიცეს“.

შემდეგ ორატორი მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს თავის კონგრესზე არ ჰყავს მოწვეული ჩინეთის დელეგაცია.

„სამაგიეროდ, — განაცხადა პერსელმა, — მე აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ კონგრესზე პირველად ვხედავ ზანგპროლეტარებს სამხრეთ - აფრიკიდან.

„ინგლისის კაპიტალიზმი, — განაგრძობს პერსელი, — ემზადება იმისათვის, რომ მსოფლიოს თავზე დაატეხოს ახალი ომის საშინელებანი. ინგლისის მუშები ყველაზე უკეთ გრძნობენ, რომ საერთაშორისო სოლიდარობამ უნდა აგრძნობინოს თავი დანარჩენ ქვეყნების მუშებს“.

ორატორი ჩერდება ვენის ამბებზე და ამბობს: „მუშათა მოძრაობამ უნდა გამოიყენოს ეს გაკვეთილი“.

შემდეგ პერსელი მადლობას უხდის ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც ფინანსიური დახმარება გაუწიეს ინგლისის გაფიცვებს შარშან.

პერსელი შეეხო უდიდეს მზადებას ომისთვის და განაცხადა: **„ომის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლის ერთად-ერთი საშუალება — სამხედრო მრეწველობაში მომუშავე მუშების ფიცი, რომ ომის შემთხვევაში ისინი შესწყვეტენ მუშაობას.** მხოლოდ შრომის ძალაუფლებას შეუძლია მოუღოს ბოლო ომების ეპოქას და ექსპლოატაციას. კონგრესის წინაშე წამოჭრილი ყველა საკითხები, დაწყებული სამუშაო ხელფასიდან და გათავებული ომის საფრთხით, თავის განხორციელებისათვის მოითხოვენ საერთაშორისო მთლიანობას“.

პერსელი აღნიშნავს, რომ ვენის კონგრესზე ის ენერგიულად სცდილობდა მთლიანობის განხორციელებას საბჭოთა პროფკავშირებთან. **ამჟამად, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, ინტრიგებისა და გაუგებრობისა, ის უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებულია საბჭოთა პროფესიონალურ კავშირებთან მთლიანობის მიღწევის აუცილებელ საჭიროებაში.**

„ჩვენ გვესაჭიროება მათი იდეების სიახლე მათი სიმხნევე და მათი შეხედულებათა შეუპოვრობა. ჩვენ, გარდა ამისა, უნდა მივილტოდეთ მთლიანობისაკენ ჩინეთის და მექსიკის პროფესიონალურ კავშირებთან“.

„ჩვენ, — სთქვა დასასრულ პერსელმა, უნდა დავიცვათ რუსეთის რევოლიუციის მონაპოვრები“.

ჟუო პერსელის წინააღმდეგ

პერსელის სიტყვამ გამოიწვია ინციდენტი. მაშინათვე, პერსელის გამოსვლის შემდეგ, ჟუომ ინტერნაციონალის აღმასკომის ბიუროს სახელით განაცხადა, რომ პერსელის სიტყვა გამოხატავს მხოლოდ მის პირად აზრებს. ჟუო ცხარედ შეეკამათა პერსელს.

ინგლისის დელეგაციის სახელით გამოვიდენ **ნიქსი და ბენ-ტილეტი, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ჟუოს გამოსვლის წინააღმდეგ.** ინგლისის დელეგაციამ განაცხადა, რომ მან არ იცოდა წინასწარ პერსელის სიტყვის შინაარსი, მაგრამ მაინც, ფორმალური მიზეზებით, პროტესტს აცხადებენ ჟუოს გამოსვლის წინააღმდეგ.

ინგლისის დელეგატების აზრით, ჟუოს გამოსვლას არ უნდა ქონოდა ადგილი, ვინაიდან პერსელი ინტერნაციონალის თავმჯდომარეა.

პერსელმა განაცხადა, რომ ის კმაყოფილია, რომ მისი გამოსვლის გარშემო კამათი გაიმართა. „ჩემს სიტყვას, — სთქვა მან — ის მიზანი ქონდა, რომ წამოეყენებია გასარჩევათ ზოგიერთი პრობლემები და მიმეცა საბაბი აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის“. (ადს).

გაიხსნა ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი

პერსელი აკრიტიკებს ამსტერდამის შეცდომებს.—ჟუოს გამოსვლა პერსელის წინააღმდეგ

პერსელმა განაცხადა: „ოქტომბრის რევოლიუციამ ბევრი აიძულა შეეცვალა თავისი ძველი შეხედულებები.—საბჭოთა კავშირის მუშებმა შეინარჩუნეს თავიანთი ძალაუფლება მიუხედავათ მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევისა.—საბჭ. კავშირის მუშებმა მოიშორეს თვითმპყრობელობის მძიმე მემკვიდრეობა და მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს ეკონომიურ აღმშენებლობაში.—ჩვენ უნდა მივაღწიოთ მთლიანობას საბჭოთა პროფკავშირებთან და ყოველი ძალღონით დავიცვათ რუსეთის რევოლიუციის მონაპოვარნი“

ავსტრიის რეაქციის შეტევა მუშათა კლასზე.—მთავრობა მოითხოვს მუშათა რაზმების დაშლას

ზეიპელის მთავრობა ცდილობს გამოიწვიოს უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევა

ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი

პერსელის სიტყვა

პარიზი, 1 აგვისტო. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი გაიხსნა ინტერნაციონალის თავმჯდომარის **პერსელის** მისასალმებელი სიტყვით.

ორატორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კაპიტალიზმის განვითარებას ევროპის გარეშე ქვეყნებში და აღნიშნა ჩამორჩენილ ხალხთა გამოღვიძების გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მომავალი ომისა და რევოლიუციების დასურათების შემდეგ, პერსელმა განაცხადა: „მარქსის იდეა, რომლის გავრცელებაც წინად განისაზღვრებოდა ევროპის კონტინენტით, ამჟამად მისაწვდომია ჩინეთის, ინდოეთის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის და სხვა ქვეყნების ხალხის მასებისათვის. **ამსტერდამის ინტერნაციონალის შეცდომა ის არის, რომ მან საკმაოდ გვიან შენიშნა კაპიტალიზმის სფეროს გაფართოება.** ჩინეთის რევოლიუცია ნიშნავს მთელი კაცობრიობის მეოთხედის მატერიალურ, მორალურ და ინტელექტუალურ აღორძინებას, და ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ჩინეთის რევოლიუციონურ ამბების გაკვეთილები.

როგორც რუსებმა პარიზის კომუნისაგან აიღეს მაგალითი, ისე ჩინელები დღეს იღებენ მაგალითს მოსკოვსა და ლენინგრადისაგან.

ახალი ქვეყნები აღარ გაივლიან კაპიტალიზმის შექმნის ხანგრძლივ პროცესს. იაპონიამ 40 წლით ადრე გააკეთა ნახტომი ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში. შეიძლება აზიის სხვა ქვეყნებმა უფრო მოკლე ხანში გააკეთონ ნახტომი, რომლებიც გადაავცილებს კაპიტალიზმის ფარგლებს.

ომამდე ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის ქვეყნები, სადაც კაპიტალიზმი სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე განვითარდა, პირველნი განთავისუფლდებიან მისგან. **რუსეთის რევოლიუციამ ამ მხრივ ბევრს შეგვიცვალა აზრი** (ირონიული სიცილი)

უკანასკნელ წლებში რუსეთმა დაგვიმტკიცა, რომ საჭიროა ჩვენი იდეების გადათვალიერება. მიუხედავათ კაპიტალისტურ მსოფლიოს იერიშებისა, მიუხედავათ მუშათა მოძრაობის სავალალო მდგომარეობისა სხვა ქვეყნებში, **რუსეთის პროლეტარიატს მაინც მტკიცედ უჭირავს ხელში ძალაუფლება უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში. რუსმა მუშებმა წესრიგში მოიყვანეს რუსეთის ცარიზმის გაპარტახებული მემკვიდრეობა, უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს ქვეყნის ეკონომიური გადახალისების დარგში და შექმნეს საბჭოთა კავშირის ხალხთა უდიდესი კავშირი.**

ამსტერდამელების მოღალატეობის წინააღმდეგ

ინდონეზიის რევოლიუციონურ პროფკავშირთა დეკლარაცია

პარიზი, 1 აგვისტო. ინდონეზიის რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა დეკლარაციით მიმართეს ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესს პარიზში და ინტერნაციონალის ყველა წევრებს.

„პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომმა, — ნათქვამია დეკლარაციაში, — პარიზის კონგრესზე მოიწვია ის პროფკავშირები, რომელნიც ამსტერდამის ინტერნაციონალში არ შედიან. მათ შორის მოიწვია აგრეთვე ინდონეზიის პროფკავშირები. მოწვეული არ არიან მხოლოდ საბჭოთა კავშირის პროფკავშირები. რუსეთის პროლეტარიატის პროფკავშირები, რომელნიც ყოველთვის მხარს უჭერდენ ყველა ქვეყნის მუშების ბრძოლას, ჩაგრულ ერებს, ჩინეთის რევოლიუციას და ინდონეზიის აჯანყებულთ, წინასწარი განზრახვით არ იქნენ დაშვებული კონგრესზე. მხოლოდ ეს ფაქტი საკმაოა იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნას პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალის ნამდვილი ზრახვები, **რომელსაც სურს მოატყუოს პროლეტარიატი და შექმნას ისეთი წარმოდგენა, რომ ვითომც ამსტრედამის ინტერნაციონალი უჭერს მხარს პროფმოძრაობის საერთაშორისო მთლიანობას, ნამდვილად კი იგი სცდილობს პროფინტერნის გათიშვას და საბჭოთა პროფკავშირების იზოლიაციას.**

ეს იგივე პოლიტიკაა, რომელსაც იმპერიალისტები ინგლისის მეთაურობით აწარმოებენ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და ჩაგრული ერების მიმართ. ამსტერდამის ინტერნაციონალის ეს პოლიტიკა არსებითად ენათესავება ინდონეზიის თეთრ პროფკავშირთა პოლიტიკას, რომელნიც ეხმარებიან ინდონეზიის იმპერიალისტებს ინდონეზიის მასების ჩაგვრაში.

ჩვენ, საბჭოთა პროფკავშირებსა და პროფინტერნთან ერთად, რომლის სექციასაც წარმოადგენენ ინდონეზიის პროფკავშირები, ვემხრობით მთელი მსოფლიოს ყველა პროფესიონალური კავშირების კონგრესს პროფკავშირთა მთლიანი ინტერნაციონალის მომზადებისათვის.

დეკლარაციას ინდონეზიის პროფკავშირთა გაერთიანების სახელით ხელს აწერს გაერთიანების წარმომადგენელი პროფინტერნში **სემაონი. (ადს).**

ჟენევის კონფერენციაზე

შეთანხმების უკანასკნელი ცდა

ბერლინი, 1 აგვისტო. ჟენევის კონფერენციის 1-ლ აგვისტოსთვის დანიშნული პლენარული სხდომა ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების დელეგაციის მოთხოვნილებით გადადებულია ორი-სამი დღით. გადადების ოფიციალურ მოტივად მოჰყავთ ის, რომ საჭიროა უფრო სრული მომზადება პლენარულ სხდომისათვის. მაგრამ პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ პლენარული სხდომა გადადებულია იმ მიზნით, რათა ამ ორსამ დღეში მოახდინონ ცდა კონფერენციის გადასარჩენად საბოლოო ჩაშლისაგან—დროებით შეთანხმებით დადებით 1931 წლამდე. როგორც სჩანს იაპონია ამ შემთხვევაში შუამავლობას სწევს ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის. ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატების დელეგაციამ გამოაქვეყნა პირობათა ტექსტი იმ კრეისერების ტონაჟის შესახებ, რომლებსაც შეეხება შეთანხმება, თუ კი ასეთი იქნა მიღწეული.,

ის ფაქტი, რომ ამ პირობათა პროექტი გამოქვეყნდა გუშინ საღამოს, კონფერენციის წრეებში ფასდება როგორც ჩრდ.-ამერ. შეერთ. შტატების დელეგაციის ცდა მიაღებინოს ინგლისის დელეგაციას ამერიკის მოთხოვნილებები. (ადს).

უთანხმოების შედეგი

ვარშავა, 2 აგვისტო „კურიერ პორანი“ უკეთებს რა კომენტარიებს სამთა კონფერენციის შესაძლებელ დამარცხებას საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხში, ჩერდება ანტაგონიზმზე ინგლისისა და შეერთებული შტატების შორის.

გაზეთის აზრით, ამ ანტაგონიზმის შედეგი არის, **„შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისადმი ინტერესის გაღვიძება და საბჭოთა კავშირის მიმართ ჩემბერლენის უკანასკნელი სიტყვის უფრო შერბილებული ტონი თემთა პალატაში“.** (ადს).

კულიჯს იმედი გაუცრუვდა

ნიუ-იორკი, 1 აგვისტო. გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ კულიჯის იმედის გაცრუებას სამთა კონფერენციის ჩაშლის გამო ჟენევაში.

გაზეთების აზრით, სამთა კონფერენციის ჩაშლა აძლიერებს შეერთებული შტატების საზღვაო შეიარაღების მომხრეების პოზიციას. ეს უკანასკნელნი მოითხოვენ ისეთი ძლიერი ფლოტის აგებას, რომელიც მეტოქეობას გაუწევს ინგლისის ბატონობას ზღვაზე. (ადს)

საბჭოთა პრესა

ბიუჯეტის პერსპექტივები

192-27 წ. საკავშირო ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 5.002 მილ. მან. რაოდენობით, რაც 25 პროც., ანუ ერთი მილიარდი მან. აღემატება წინა წლის ბიუჯეტს. არის ყველა ნიშანი, რომ ეს თანხა სავსებით იქნება აკრეფილი. ეხლა წარმოებს 1927-28 წ. ბიუჯეტის დამუშავება. წინასწარი გამოანგარიშებით, მომავალი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გამოიხატება 5.350—5.400 მილ. მან.,—ზრდა უდრის 8-9 პროც., ანუ 350—400 მილ. მან. ბიუჯეტის ზრდის უფრო ნელი ტემპი ერთი მხრივ აიხსნება აღორძინებითი პერიოდის დამთავრებით, მეორე მხრივ—საგადასახადო შესაძლებლობათა დაჭიმვით მიმდინარე წელში. ამავე დროს მატულობს ჩვენი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია. რას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება საშუალებათა განაწილების დროს. ამხ. ნ. ბრიუხანოვი „იზვესტია“-ში ამაზე წერს:

„1) საერთო ასიგნობა ქვეყნის თავდაცვაზე ეხლანდელ საერთაშორისო პირობებში არ შეიძლება შარშანდელ დონეზე დარჩეს; ის უნდა გადიდებულ იქნას, ამასთან უფრო მეტი პროცენტით, ვინემ ის პროცენტი, რომელიც განსაზღვრავს ბიუჯეტის საერთო ზრდას. ამით რომ პასუხი არ გავსცეთ ჩემბერლენის ურთიერთობის გაწყვეტაზე, ეს ჩვენი მხრით ბავშური დაუდევრობა იქნებოდა.

2) მეტი თანხები უნდა გადავდვათ აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, და აქაც უფრო მეტი რაოდენობით, ვინემ ბიუჯეტის საშუალო ზრდა.

3) სახელმწიფო მრეწველობის კაპიტალური ხარჯების საერთო ჯამიც უნდა გავადიდოთ წარსულ წელთან შედარებით, მაგრამ ეს პირველ ყოვლისა უნდა მოხდეს მრეწველობის შინა-დაგროვების ამომწურავი მობილიზაციის ხარჯზე, ხოლო სახ. ბიუჯეტის ასიგნობა დატოვებულ იქნას დაახლოვებით წარსულ წლის დონეზე.

4) დახმარება ტრანსპორტს საერთო საბიუჯეტო წყაროებიდან უნდა გადიდებულ იქნას არა მარტო პირველად განზრახულ თანხასთან შედარებით (65 მილ. მან.), არამედ მისთვის ამ წელში ფაქტიურად გადაცემულ საბიუჯეტო რესურსებთან შედარებითაც (165 მილ. მან.); ეხლანდელი წლის პრაქტიკა გვეუბნება, რომ ეს დახმარება მომავალ წელში ალბად არ იქნება 260 მილ. მან. ნაკლები.

5) საბიუჯეტო დახმარება სასოფლო მეურნეობას,—ისე, როგორც სახელმწიფო მრეწველობას,—მომავალ წელში არ უნდა იქნას შემცირებული წარსულ წელთან შედარებით; თუ რესურსები საშუალებას მოგვცემენ, სახ. ბიუჯეტის ხარჯების ეს მუხლი წინ უნდა წავსწიოთ, კერძოდ საგადასახადო საქმეზე ასიგნობის ზრდის სახით“.

როგორც ვსთქვით, 1927-28 წ. ბიუჯეტი თუმცა მნიშვნელოვნად იზრდება, მაგრამ ეს ზრდა, ზემოთ ხსენებულ მიზეზების გამო, თავისი ტემპით ჩამორჩება წინა წლებისას. ამავე დროს ქვეყნის თავდაცვის გაძლიერების და ინდუსტრიალიზაციის ამოცანებთან დაკავშირებით ხარჯები საგრძნობლად მატულობენ. აქედან—უკიდურესი მომჭირნეობის დაცვა და მთელი ჩვენი მუშაობის რაციონალიზაცია—აი, რას მოითხოვენ ჩვენგან ქვეყნის თავდაცვის და სოციალისტური მშენებლობის ინტერესები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრიის რეაქციის იერიშები

ბრძოლა სათემო პოლიციის გარშემო

ვენა, 1 აგვისტო. ვენის მუნიციპალიტეტის ქრისტიანულ-სოციალისტურ დეპუტატთა წრეებში აცხადებენ, რომ ზეიპელის მთავრობა მოითხოვს, რათა ვენის ბურგომისტრმა და ვენის პოლიციის მეთაურმა ზეიცმა დაშალოს სათემო პოლიცია. იმ შემთხვევაში, თუ ზეიცმა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, მთავრობას განზრახული აქვს მოიწვიოს უზენაესი სასამართლო, რომელსაც კონსტიტუციის თანახმად აქვს უფლება ახსნა-განმარტება მისცეს კანონებს.

მოსალოდნელია, რომ ზეიპელის მთავრობა, იმ მიმართვის დასასაბუთებლად, რომელსაც წარუდგენს უზენაეს სასამართლოს, გამოიყენებს სენ-ჟერმენის საზავო ხელშეკრულებას და, შესაძლებელია, ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებებსაც ავსტრიის შეიარაღებულ ძალთა შეზღუდვის შესახებ. ამ ხმებთან დაკავშირებით გაზეთები იტყობინებიან, რომ ახლო მომავალში დიდ სახელმწიფოთა ელჩები წარუდგენენ ავსტრიის მთავრობას შეკითხვას, თუ რა მიზნები აქვს სათემო პოლიციას და რა საფუძვლებზე იქნა იგი მოწყობილი. ფიქრობენ, **რომ ავსტრიის მთავრობა თითონ ცდილობს გამოიწვიოს ეს დიპლომატიური გამოსვლა. (ადს).**

რეაქცია იარაღდება

ვენა, 1 აგვისტო. **ავსტრიის რეაქციონური წრეები გაძლიერებული ტემპით იარაღდებიან.** ქრისტიანულ სოციალისტთა ორგანო „რეიხსპორტი“ იტყობინება, რომ ყველა პროვინციებში ეწყობა „სამშობლოს დაცვის“ წრეები. გაზეთების ცნობით, **ზემო ავსტრიის ინის ოლქში მარტო ერთი დღის განმავლობაში შესდგა „სამშობლოს დაცვის“ 25 ახალი ჯგუფი.** (ადს).

„მემარცხენეთა“ ფურცელი

ვენა, 1 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის ვენის ორგანიზაციის ე. წ. „მემარცხენეთა“ ჯგუფმა, რომელიც ახლო სდგას მაქს ადლერთან, გამოუშვა ფურცელი, რომელშიაც რადიკალური ფრაზებით აწერილია ვენის ამბები, მაგრამ ფურცელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა მთლიანობის შენარჩუნება სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან და სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობის შეკავშირება ორგანიზაციულად. ფურცლის მიზანია ხელი შეუშალოს იმ მოძრაობას, რომელიც არსებობს ახალგაზრდობაში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან გამოსვლის სასარგებლოდ. (ადს).

სოციალ-დემოკრატების დათმობითი პოლიტიკა

ვენა, 1 აგვისტო. მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს სოციალ-დემოკრატებთან პარლამენტის მომავალი საკანონმდებლო მუშაობის შესახებ. ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ამ **მოლაპარაკების დროს სოციალ-დემოკრატების ლიდერები იჩენენ დიდ სირბილეს და დათმობაზე მიდიან.** ხვალ პარლამენტში შეტანილი იქნება კანონპროექტი სკოლების რეფორმის შესახებ. ამ კანონპროექტის შემუშავების დროს მთავრობის პარტიებმა რამოდენიმედ ანგარიში გაუწიეს სოც.-დემოკრატების მოთხოვნილებებს, რის სამაგიეროთ სოციალ-დემოკრატები, როგორც სჩანს, თანხმდებიან დამოუკიდებელ იუსტიციის სამინისტროს დაარსებაზე. სამინისტროს სათავეში ჩაუდგება ყოფილი ვიცე-კანცლერი დინგხოფერი. (ადს).

უცხო სახელმწიფოების ჩარევა

ვენა, 1 აგვისტო. გაზეთების ცნობებით, ელჩთა კონფერენციას განზრახული აქვს მოსთხოვოს ავსტრიის მთავრობას სათემო პოლიციის დაშლა, წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენცია იმუქრება რეპრესიებით. შეუმოწმებელი ცნობების თანახმად, ელჩთა კონფერენციამ უკვე წარუდგინა ავსტრიის მთავრობას სათანადო მოთხოვნილება საზავო ხელშეკრულების 123 მუხლის თანახმად.

მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი აწარმოებს „სათემო პოლიციის საკითხის“ გამოკვლევას. **ავსტრიის მთავრობა სარგებლობს ამ გარემოებით და ცდილობს ძალა დაატანოს ვენის მუნიციპალიტეტს, რომ დაითანხმოს ამ საკითხში.**

ამ კვირისათვის მოწვეულია სხვადასხვა სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების ფარული თათბირი, რომელზედაც **გაირჩევა საკითხი, ვენაში ბურჟუაზიული გვარდიის დაარსების შესახებ. გვარდიაში ჩაირიცხება 10.000 კაცი.** საჭირო თანხას აღნიშნული გვარდიის შესაქმნელათ და შესანახათ, გაიღებენ კაპიტალისტური ხელმძღვანელი ორგანიზაციები. ავსტრიის სახლის მეპატრონეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უნდობლობას უცხადებს ვენის ბურგომისტრს ზეიცს და მოითხოვს მის გადადგომას. (ადს)

მდგომარეობა ჩინეთში

სრ. ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობის მოწოდება ინგლისის მუშებისადმი

ხანკოუ, 1 აგვისტო. სრ. ჩინეთის პროფკავშირთა მე-4 ყრილობამ მოწოდებით მიმართა გენერალურ საბჭოს, ინგლისის ყველა ტრედ-იუნიონებს და ინგლისის მთელ მუშათა კლასს.

„თუ ინგლისის ბურჟუაზია ფიქრობს, —ნათქვამია მოწოდებაში, **—რომ მას შეუძლია თავხედური თარეშით, განუწყვეტილი მუქარით და დახვრეტით შეაშინოს ჩინეთის მრავალ მილიონიანი ხალხი, იგი სცდება.** ჩინეთის ხალხში დიდ მღელვარებას იწვევს იმ მოძალადეთა მოქმედება, რომელთაც ზარბაზნების მოსყიდვის და შინაური კონტრ - რევოლიუციისათვის მხარის დაჭერით სურთ კონტროლი გაუწიონ ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ამას ადგილი აღარ ექნება. პროფკავშირთა ყრილობა იმედოვნებს, რომ თქვენ, —ინგლისის პროფკავშირები და მუშები მიხვდებით იმის მიზეზს, თუ რატომ გამოდიან ჩინეთის მშრომელი მასები ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და დაგვეხმარებით იმაში, რომ ავლაგმოთ ჩინეთის და დიდბრიტანეთის მშრომელი მასების მჩაგვრელნი.

შორს ინგლისის იმპერიალისტები ჩინეთიდან! გაუმარჯოს ძმურ კავშირს ინგლისის და ჩინეთის მუშებს შორის! (ადს).

ვერცხლის კონტრაბანდა

შანხაი, 1 აგვისტო. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია:

„ეროვნული მთავრობა, როგორც ხელშეკრულობათა ძალით, ისე თავისი სუვერენულ უფლებათა ძალით უფლებამოსილია გამოაცხადოს ვერცხლის კონტრაბანდის აკრძალვა. ის ფაქტი, რომ ინგლისის ხელისუფალნი დაწესებული აკრძალვის დარღვევისათვის სარგებლობენ სამხედრო გემებით, არა მარტო თავის მოქალაქეთა, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების მოქალაქეთა ინტერესების სასარგებლოდ, მეტად სამწუხაროა, ინგლისის ხელისუფალთა ასეთი საქციელი, არ შეიძლება გამართლებულ იქნას ხელშეკრულებითი დადგენილებებით: ეს ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ ინგლისის ძალები აღემატებიან ჩინეთის ძალებს“. (ადს).

ჯარების გაყვანა მუშათა ორგანიზაციების შენობებიდან

ხანკოუ, 1 აგვისტო. გომინდანის პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც სთხოვს სამხედრო საბჭოს გასცეს განკარგულება ჯარების გაყვანის შესახებ უკანასკნელ კვირაში დაკავებულ მუშათა ორგანიზაციების შენობებიდან. ამასთან ერთად მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს მოთხოვნილებას, რათა ხუბეის პროვინციის პროფკავშირთა საბჭო ემორჩილებოდეს შემდეგში გომინდანის ცეკას შრომის განყოფილებას (ადს).

გომინდანის ცენზურა

ხანკოუ, 1 აგვისტო. გომინდანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განკარგულება, რომლის თანახმად გომინდანის ცენტრალურ საპროპაგანდო განყოფილებას და საერთო პოლიტიკურ განყოფილებას უფლება ეძლევათ ცენზურაში გაატარონ გამოსაცემი პლაკატები და აკრძალონ ყველაფერი ისეთი, რაც მიმართული იქნება ნაციონალური მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ (ადს).

„ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის“ ჭორები

საბჭოთა კონსულის ამხ. კოზლოვსკის განცხადება

შანხაი, 1 აგვისტო. ინგლისურმა გაზეთმა „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზმა“ გამოაქვეყნა მთელი რიგი წერილები საერთო სათაურით „ჩინეთი წითლების ბრჭყალებში“. გაზეთის რედაქციამ წერილების ავტორი დაახასიათა, როგორც პასუხისმგებელი საბჭოთა აგენტი, ბოროდინის შტატში მყოფი. ავტორი თავის წერილებში იხსენიებს ყოველგვარ საშინელებას, როგორც, მაგალითად, „თათბირს ჩან-კაი-შიზე თავდასხმის შესახებ“, „პროპაგანდას ყველა ქვეყნებში“ და სხვ.

უკანასკნელ წერილში, სათაურით „ღია წერილი საბჭოთა კონსულს“, წერილების ავტორი ააშკარავებს თავის გვარს—პიკს და საბჭოთა კონსულისაგან მოითხოვს წინა 14 წერილში მოყვანილ ცნობების „სისწორის დადასტურებას“.

ამ წერილების გარშემო, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა საბჭოთა კონსულთან კოზლოვსკისთან, რომელმაც განაცხადა:

„მთელს მასალას რედაქციას აწვდის წვრილი პროვოკატორი პიკი, რომელიც გაზეთმა „პასუხისმგებელი თანამშრომლის“ სახელით მონათლა. ეს პიკი ერთ დროს ქრონიკიორად მუშაობდა ხარბინის გაზეთ „ტრიბუნაში“. ხარბინიდან გამოთხოვილია მასალები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან ამ „მაღალ პასუხისმგებელი“ პირის გამოაშკარავებას. ეჭვს გარეშეა, რომ ეს წვრილი პროვოკატორი არის ინგლისის ოხრანკის თანამშრომელი და მონაწილეობას იღებდა გემი „გენრი“-ს გაჩხრეკაში, რომლის დროსაც, მისი მითითებით დააპატიმრეს 6 საბჭოთა მოქალაქე და წაუყენეს მათ ბრალდებები პიკის წერილების მიხედვით. როგორც ცნობილია, ყველა დაპატიმრებულნი განთავისუფლებულნი იქნენ რამდენიმე დღის შემდეგ ჩან-კაი-შის პირადი განკარგულებით, რომელმაც მათ წინაშე ბოდიშიც კი მოიხადა უსაფუძვლო დაპატიმრებისათვის. აქედან სჩანს „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის“ და მისი „პასუხისმგებელი“ თანამშრომლის ცილისწამების და ჭორების მთელი სიცრუე. (ადს).

„კომუნისტი“
გრძელდება ხელის მოწერა
აგვისტოსათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ღამის ცნობები

პოლონეთ-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივები

ვარშავა, 2 აგვისტო. პატეკის მოსალოდნელ ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ეროვნულ-გლეხურ პარტიის ორგანო „ვარშავ იანკაში“ მოთავსებულ იქნა წერილი პოლონეთ საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. წერილის ავტორი (პოლონეთის სავაჭრო-სამრეწველო წრეებთან დაახლოვებული) პლუტინსკი აცხადებს: „პოლონეთი არ უნდა გათამამდეს ფართე გეგმებით. პოლონეთს შეუძლია და უნდა დაკმაყოფილდეს კიდეც მცირედი კომერციული მოგებით, რომელსაც იძლევა ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და საქონლის ტრანზიტი აღმოსავლეთისაკენ“. (ადს).

კავერდას სურათის კონფისკაცია

ვარშავა, 2 აგვისტო. გაზეთ „რეჩ პოსპოლიტას“ ცნობით, ვილნოს პოლიციის კომისარმა მოახდინა კავერდას 10.000 ფოტოგრაფიული სურათის კონფისკაცია, რომლებიც საგიტაციო მიზნით იყო გადაგზავნილი პოლონეთში უცხოეთიდან (ადს).

ქარიშხალი გორის რაიონში

გორი, 2 აგვისტო. 2 აგვისტოს დღის სამ საათზე გორის რაიონზე გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა, რომელსაც სეტყვა მოჰყვა. ქარიშხალმა და სეტყვამ მნიშვნელოვნად დააზიანეს ბაღები და ნათესები. (ადს).

წითელ ფრონტელების ალლუმი

ბერლინი, 1 აგვისტო. წითელ ფრონტელების ალლუმის აკრძალვის გამო ქალაქ გილდენბერგში, ალლუმი გაიმართა მეზობელ ქალაქ ხემნიცში. ალლუმში მონაწილეობას იღებდა 10.000 მუშა. წითელ-ფრონტელების ალლუმშიც მანჰეიმში მონაწილეობა მიიღო 10.000 მუშამ. ორივე დემონსტრაცია ჩატარდა იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგებით. (ადს).

სოციალ-დემოკრატების დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ

ბერლინი, 2 აგვისტო. იმპერიალისტური ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, 1-ლ აგვისტოს ბერლინში გაიმართა სოციალ-დემოკრატიული დემონსტრაცია, რომელზედაც ლოზუნგებათ წამოყენებული იყო ბრძოლა ომის საფრთხის წინააღმდეგ და ბრძოლა სოციალიზმისა და მშვიდობიანობისათვის. დემონსტრაციამ 15.000 კაცზე მეტი ვერ შეაგროვა. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრთა კალონებს ახასიათებდა მცირერიცხოვნობა და პოლიტიკური ლოზუნგების უქონლობა. დემონსტრანტების თითქმის ერთ მესამედს შეადგენდენ სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდების ჯგუფები. წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტიების ლოზუნგებისა, ამ ჯგუფების ლოზუნგებს ჰქონდა რევოლიუციონური ხასიათი: „ომი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ“, „ლიბკნეხტის ბედი მოგვაგონებს, რომ მტერი ჩვენს საკუთარ ქვეყანაშივე იმალება“ და სხ. გამოსულ ორატორებს შორის არ ყოფილა არც ერთი გამოჩენილი სოციალ-დემოკრატი ლიდერი (ადს).

ჰაეროპლანის დაღუპვა

ბაქო, 2 აგვისტო. გუშინ ბაქოს მახლობლად, მინაგადინსა და ბალაჯარას შუა ჩამოვარდა ჰაეროპლანი. უფროსი მფრინავი სკალკინი დაიღუპა. ის იყო საკ. კომ. პარ. (ბ) წევრი; პარტიაში შესვლის დღიდანვე მან დაიმსახურა აქტიური პარტიული მუშაკის სახელი. რევოლიუციის პირველ წლებში ამხ. სკალკინი ნებაყოფლობით შევიდა წითელი არმიის რიგებში და მონაწილეობდა თეთრების საწინააღმდეგო ბრძოლებში სამხრეთისა და დასავლეთის ფრონტებზე. 1919 წ. ამხ. სკალკინი გადავიდა საჰაერო ფლოტში და ეჭირა მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობანი პოლიტმართველობაში. 1922 წელს ის იწყებს ფრენის შესწავლას. 1925 წელში ამხ. სკალკინმა მიიღო წითელი მფრინავის სახელწოდება და გადავიდა საჰაერო ფლოტის სამწყობრო სამხედრო-საჰაერო სამსახურში.

საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება

ბერლინი, 2 აგვისტო. საბჭოთა ფეხბურთელების გუნდმა 31 ივლისს მოუგო ბერლინის ფეხბურთელთა გუნდს. ავსტრიის ფეხბურთელებთან სარევანშოში შეჯიბრი ლეიპციგში დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით (6:1). (ადს).

გაფიცვის აღკრძალვა

ლონდონი, 1 აგვისტო. რეიტერის სააგენტო მელბურნიდან (ავსტრალია) იუწყება, რომ სამრეწველო კონფლიქტების გამრჩევმა საარბიტრაჟო სასამართლომ აუკრძალა გაფიცვის გაგრძელება სამანქანმშენებლო მუშათა გაერთიანებული კავშირის იმ სამ წევრს, რომელთა სახელზედაც მწარმოებლებს წარდგენილი აქვთ სარჩელი.

სასამართლომ დაადგინა, რომ გაფიცვის აღკრძალვა ეხება მოპასუხეებს, როგორც კავშირის წარმომადგენლებს, და ამიტომ ასევე ეხება კავშირის ყველა დანარჩენ წევრებსაც.

იმ შემთხვევაში, თუ კავშირის წევრები დაარღვევენ ამ დადგენილებას, მაშინ მწარმოებლების მოთხოვნილების თანახმად მათ გადახდებათ ჯარიმა 100 გირვ. სტერლინგამდე ან და დაპატიმრებული იქნებიან ციხეში სამი თვის ვადამდე (ადს).

ვეზუვის ამოხეთქა

რომი, 1 აგვისტო. ვეზუვის ამოხეთქვა ძლიერდება. გუგუნი ისმის შორ მანძილზე. მთიდან ამოხეთქილ გადამდნარ ნივთიერებამ მთის მწვერვალი სავსებით მოწყვიტა მიდამოს. მეცნიერების აზრით ეხლანდელი ამოხეთქვა 1916 წლის შემდეგ ყველაზე უფრო ძლიერი არის. 16 საათის განმავლობაში გადმოიღვარა 60 მილ. კუბ. ფუტი გადამდნარი მასა. (ადს).

ისევ ყალბი საბუთი

ბერლინი, 1 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ორგანო „როტე ფანე“-ს მოჰყავს ტექსტი იმ წერილისა, რომელიც მიუღია მთელ რიგ გერმანელ მუშებს. წერილში ნათქვამია, რომ თუ მუშებს განზრახვა აქვთ შევიდნენ მოხალისეებათ საბჭოთა კავშირის ჯარში, ისინი ვითომ უნდა გამოცხადდნენ ბერლინში არსებულ „„საბჭოთა ინტენდანტურაში“, რის შემდეგ ისინი გაიგზავნებიან პეტერსგრეცში მყოფ „მესამე პოლკში“ წერილს ხელს აწერს ვინმე კოპჩალოვსკი.

„როტე ფანე“ ფიქრობს, რომ როგორც სჩანს, **წერილი წარმოადგენს ყალბ საბუთების მკეთებელთა მუშაობის ნაყოფს და მიზნად ისახავს შექმნას მასალა ახალი კამპანიისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** (ადს).

რა ხდება უცხოეთში

ამსტერდამის ინტერნაციონალის რეორგანიზაციის საკითხი

პარიზში გაიხსნა ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი. ჰოლანდიელი რეფორმისტები არაჩვეულებრივი ენერგიით ემზადებოდენ ამ კონგრესისათვის. კონგრესის დღის წესრიგის ყველა საკითხებს შორის ისინი ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობენ ამსტერდამის ინტერნაციონალის რეორგანიზაციის საკითხს.

და ეს ადვილად გასაგებიც არის. ინტერნაციონალის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არსებობს წინადადება, რომ ინტერნაციონალის მმართველი ორგანოები გადატანილ იქნას სხვა ქვეყანაში, უფრო იაფი ვალიუტით. ეს წინადადება არ მოსწონთ ჰოლანდიის რეფორმისტულ ლიდერებს, რომლებიც დღემდი, ბუნებრივათ, დიდ როლს თამაშობდენ ამსტერდამის ინტერნაციონალში. ისინი დიდის ვაცხოველებით და ყოველმხრივ იხილავენ რეორგანიზაციის საკითხს, რომელიც თვით ჰოლანდიაში წამოიჭრა.

ჰოლანდიის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანმა **ედდო ფიმმენმა** პირველად წამოაყენა ეს საკითხი. ამსტერდამის ინტერნაციონალის რომის კონგრესზე 1922 წ. ფიმმენი ამტკიცებდა ინტერნაციონალის რეორგანიზაციის საჭიროებას. თავის წინადადებას იგი ასაბუთებდა იმით, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის სისუსტე უმთავრესად აიხსნება მისი კონსტრუქციით, რომლის თანახმად ინტერნაციონალის აღმასკომში შედიან მხოლოდ ცალკე ქვეყნების პროფკავშირების გაერთიანებათა წარმომადგენლები. ფიმმენი რომში მოითხოვდა, რომ აღმასკომი შედგეს პროფკავშირების არა ნაციონალური, არამედ საერთაშორისო გაერთიანებათა—მაგ. ტრანსპორტელების, მელითონეთა და სხვ. წარმომადგენელთაგან. იგი ამტკიცებდა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის მხოლოდ ასეთი კონსტრუქციის პირობებშია შესაძლებელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთლიანობა.

მაგრამ რომში ფიმმენი „ბრწყინვალე მარტოობაში“ დარჩა. უფრო მეტი, მან გამოიწვია საშინელი უკმაყოფილება ამსტერდამის ლიდერებში, რომლებმაც ამის შემდეგ ვერ უპატიებიათ მისთვის პროფმოძრაობის მთლიანობის მიღწევის და საბჭოთა პროფკავშირებთან შეთანხმების სასარგებლოდ გამოსვლა.

მაგრამ ფიმმენი განაგრძობდა ბრძოლას და ამსტერდამის ინტერნაციონალის ვენის კონგრესზე (1924 წ.) მან მიაღწია იმას, რომ აღმასკომში დაშვებული იქნა საწარმოო პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანებათა სეკრეტარიატების (აღმასკომები) სამი წარმომადგენელი.

მაგრამ ფიმმენის ამ ნაწილობრივმა გამარჯვებამ არავინ არ დააკმაყოფილა და ამსტერდამის ინტერნაციონალის საწარმოო საფუძვლებზე გადახალისების საკითხი კვლავ მწვავეთ იდგა რეფორმისტების წინაშე.

ამჟამად ფიმმენის იდეამ მრავალი მომხრეები მოიპოვა თვით მემარჯვენე რეფორმისტულ ლიდერებს შორის. ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებს ჰოლანდიის პრესაში დაწყებული პოლემიკა.

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრ. ორგანომ „დერ ფოლკ“-მა ამსტერდამის ინტერნაციონალის რეორგანიზაციის საკითხს უძღვნა ორი წერილი, რომლებიც ეკუთვნოდენ ერთ-ერთ უკიდურეს მემარჯვენე რეფორმისტს, ერთა ლივის ყოფ. თანამრომელ **როოდერერის** კალამს. ეს წერილები მეტად დამახასიათებელია რეფორმისტების ზედა-ფენებში გამეფებულ განწყობილებისათვის.

„1919 წლიდან დაწყებული,—სწერს როოდერერი,—ამსტერდამის ინტერნაციონალს უხდება ბრძოლა მრავალ სიძნელეებთან. პროფკავშირების ნაციონალურ გაერთიანებათა წევრების რიცხვი შემცირდა და მათი ფინანსიური სიმძლავრე შესუსტდა. ეს ავადმყოფობანი გვაიძულებენ ვიფიქროთ მათთან ბრძოლის საშუალებებზე“.

ასეთია ამსტერდამის ინტერნაციონალის ზედა ფენებთან ძლიერ ახლო მდგომ და მის ერთ-ერთ თავდადებული მომხრის მწუხარებით აღსავსე აღიარება. თავის წერილის შემდეგ ნაწილში როოდერერი ეკამათება იმათ, ვინც წინადადებას იძლევა, რომ ხარჯების შემცირების მიზნით ამსტერდამის ინტერნაციონალის მმართველი ორგანოები ჰოლანდიიდან გადატანილ იქნეს ქვეყანაში, სადაც ვალიუტა იაფია.

„არა ხარჯების შემცირებას, არამედ ფინანსიური რესურსების გაძლიერებას შეუძლია საკითხის გადაჭრა,—სწერს როოდერერი.—ამ თვალსაზრისით საკითხის ცენტრი მდებარეობს ამსტერდამის ინტერნაციონალის ორგანიზაციულად გადახალისებაში. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს მიმართულებათა საკითხს“.

„მიმართულებათა“ ქვეშ „როოდერერი გულისხმობს საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაციების ურთიერთობის საკითხს. იგი მიუთითებს. რომ როცა მოხდება ამსტერდამის ინტერნაციონალის რეორგანიზაცია საერთაშორისო პროფგაერთიანებათა წარმომადგენლობის საფუძველზე, მაშინ „თავისთავად გადაიჭრება დავა, თუ როგორ პირობებში უნდა იქნეს მოწვეული კონფერენცია ამსტერდამისა და პროფინტერნის გაერთიანებლად—წინასწარი პირობებით, წამოყენებით თუ მათ გარეშე“.

როოდერერის აზრით, ამსტერდამის ახალი სტრუქტურის პირობებში, საბჭოთა პროფმოძრაობასთან გაერთიანების საკითხი დაიძვრება მკვდარი წერტილიდან და თავისთავად გადაიჭრება.

როოდერერის წერილების შემდეგ, ტრანსპორტელთა საერთაშორისო ფედერაციის ორგანომ „ვენის მუშათა გაზეთი“-დან გადაბეჭდა ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების მდივანის, ამსტერდამის ინტერნაციონალის გენერალურ საბჭოს წევრის **ანტონ გიუბნერის** წერილი, რომელშიც უკანასკნელი წინადადებას იძლევა, რომ ამსტერდამის აღმასკომის შემადგენლობაში ნაციონალურ გაერთიანებათა წარმომადგენლებთან ერთად დაშვებული იქნენ აგრეთვე ყველა საერთაშორისო პროფგაერთიანებათა წარმომადგენლებიც. გიუბნერი თავის წერილში აღნიშნავს, რომ ავსტრიის დელეგატები პარიზის კონგრესზე მოითხოვენ ამსტერდამის ინტერნაციონალის რეორგანიზაციას ამ საფუძველზე.

თავისთავად ცხადია, რომ ამით არ ამოიწურება კამათი ამსტერდამის რეორგანიზაციის გარშემო. რეფორმისტულ ლიდერებს შორის მრავალია რეორგანიზაციის მოწინააღმდეგეები, რომლებიც ებრძვიან ყოველგვარ ცვლილებებს და შიშობენ, რომ რეორგანიზაციას არ მოყვეს ამსტერდამის ინტერნაციონალის საბოლოო დაშლა.

ა. კ.

ფერმერების გალატაკება შეერთებულ შტატებში

შეერთებული შტატები განიცდის უმწვავეს აგრარულ კრიზისს, რასაც შედეგად მოყვა სასოფლო მეურნეობის შემოსავლიანობის დაცემა. მიუხედავად ამისა, ფერმერებზე დაკისრებული საგადასახადო ტვირთი უცვლელი დარჩა. პირიქით, გადასახადები უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივათ გაიზარდა. 1911—12—13 წ. წ. გადასახადები შეადგენდენ სასოფლო-მეურნეობის შემოსავლის 11,2 პროცენტს, 1924—25—26 წ. წ. კი —33,1 პროცენტს.

საგადასახადო ტვირთის გადიდება, რომელსაც ამავე დროს თან სდევს შემოსავლიანობის შემცირება, გამოიწვია ფერმერთა მასების არაჩვეულებრივი დავალიანება. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ფერმერთა მასაში შემცირდა მესაკუთრეების რიცხვი და გაიზარდა მოიჯარადრეთა რიცხვი.

შეერთებული შტატების მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები ამტკიცებენ, რომ 1920 წ. შედარებით, ფერმერების რიცხვი 1925 წ. შემცირდა 56.756-ით, მოიჯარადრეების რიცხვი კი, იმავე პერიოდის განმავლობაში გაიზარდა 7.500 კაცით. მოიჯარადრეები ამჟამად შეადგენენ ფერმერთა მასის 36,6 პროცენტს. მათგან 11 პროცენტი ყოფ. მესაკუთრეებია.

ამავე დროს შეერთებული შტატების სასოფლო სამეურნეო მოსახლეობა, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შემცირდა 3.000.00-ით და ამჟამად შეადგენს 28.000.000.

ფერმერთა მასების პროლეტარიზაციამ განსაკუთრებით ფართე ხასიათი მიიღო 1926 წ.

საბჭოთა კავშირში

რუსეთში

რემედასი ჩინეთის მშრომელთა დახმარების შესახებ

მოსკოვი, 2 აგვისტო. რემედასის აღმასკომი. ყველა ქვეყნების მშრომელთადმი მიმართვაში მოუწოდებს ევროპის და ამერიკის მშრომელ მასებს. ჩინეთის რევოლიუციისათვის სამძიმო წუთებში, გაათკეცებული ძალით გამოიჩინონ ძმური სოლიდარობა და დახმარება აღმოუჩინონ ჩინელ მუშებსა და გლეხებს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

მოსკოვი, 2 აგვისტო. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო გეგმა, რომლის მიხედვით 1927—28 წელში ამ საქმისათვის დაიხარჯება 2,5 მილიონი მანეთი და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციოთ ერთი მილიონი მანეთი.

გეგმის მიხედვით წერა-კითხვა უნდა შეისწავლოს 1.150.000 კაცმა. (ადს).

ჩრდილოეთ კავკასია

ქარიშხალი გროზნოში

გროზნო, 2 აგვისტო. ქარიშხალმა წააქცია რამდენიმე ნავთის კოშკი. რკინის სახურავები ახადა. რეზერვუარებს, ნაწილობრივად გააფუჭა ახლად დაწყებული გზატკეცილი და თითქმის ყველა სახლებში ჩაამსხვრია მინები. მარტო ნავთის სარეწაოებისათვის მიყენებული ზარალი, დაახლოვებითი ანგარიშით 50.000 მანეთს უდრის. (ადს).

ამუნდსენი მოსკოვში

მოსკოვი, 2 აგვისტო. 2 აგვისტოს ჩქარი მატარებლით ვლადივასტოკიდან მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი მოგზაური როალდ ამუნდსენი.

სადგურზე ამუნდსენს შეხვდენ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ნორვეგიის მისიის წარმომადგენლები მოსკოვში.

საღამოს ამუნდსენი ლენინგრადზე გავლით გაემგზავრა ოსლოში.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ამუნდსენმა განაცხადა, რომ მას შემდეგისათვის აღარ აქვს განზრახული რაიმე საგამოკვლევო მოგზაურობა. მისი წინანდელი ნამუშევარი წარმოადგენს უმდიდრეს სამეცნიერო მასალას, რომლის დამუშავებასაც ის ფიქრობს ამ უახლოესი წლების განმავლობაში.

შემდეგ ამუნდსენი შეეხო დიდი საჰაერო ტრანსარქტიული გზის მოწყობის საკითხს და განაცხადა, რომ ის სავსებით შესაძლებლად სთვლის ამ პროექტის განხორციელებას უახლოეს დროში. ინგლისისა და გერმანიის მსხვილი ქარხნები უკვე შეუდგენ საცდელი დირიჟაბლების აგებას, რომლებიც დანიშნული არიან ტრანსარქტიულ გზაზე სასიარულოდ (ადს).

ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობის გახსნა

ნიჟნი-ნოვგოროდი, 2 აგვისტო. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის — ამხ. **პლატონოვის** თავმჯდომარეობით 1 აგვისტოს გაიხსნა საკავშირო მეექვსე ბაზრობის კომიტეტის პირველი სხდომა. ბაზრის გახსნისათვის მოსამზადებელი მუშაობის შესახებ ცნობები წარმოადგინა საბაზრო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **მალიშევმა**, რომლის შემდეგ წაკითხულ იქნა მისალოცი დეპეშები — მოსკოვიდან, კავშირის სხვა ქალაქებიდან და სპარსეთიდან.

ბაზრობის გახსნისას მთავარ სახლის წინა მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. მთავრობის მიერ დანიშნულმა ბაზრობის კომისარმა ამხ. **მურალოვმა** გახსნა რა კრება, ბაზრობას უსურვა წარმატება. საკავშირო მთავრობის სახელით ბაზრობას მიესალმა საკავშირო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრი ამხ. პლატონოვი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ მთავრობა ბაზრობის წინაშე გადამწყვეტ ამოცანად სვამს — შინა მრეწველთა ორგანიზაციებისათვის ნედლი მასალის მიწოდების და მათი პროდუქციის გასაღების საკითხს. ბაზრობამ მტკიცე სავაჭრო კავშირი უნდა შექმნას აღმოსავლეთთან.

ამხ. პლატონოვის სიტყვის შემდეგ ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს, ზევით იშლება წითელი დროშა.

საბაზრო კომიტეტის სახელით ილაპარაკა ამხ მალიშევმა. სპარსულ ვაჭრების სახელით გამოვიდა ნედლი მასალით მოვაჭრე **ასადულაევი**, რომელმაც შეღავათებისათვის მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის მთავრობას და ღრმა რწმენა გამოსთქვა, რომ აღმოსავლეთთან ვაჭრობა უფრო გაძლიერდება და განვითარდება.

შინა-ვაჭრობის ორგანიზაციების წარმომადგენელთა

საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 2 აგვისტო. გაიხსნა შინა - ვაჭრობის და პურის დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი.

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **ეისმონტმა** თავის შესავალ სიტყვაში სთქვა, რომ ამ თათბირის მიზანი არის ყველა იმ საკითხების განხილვა, რომელნიც დაკავშირებულია 1927—28 წლის პურის დამზადების კამპანიასთან. შემდეგ ეისმონტმა აღნიშნა, რომ გლეხობას პურის დიდი მარაგი მოეპოვება. ამის გამო, ზოგიერთი ამხანაგები აყენებენ მთელ რიგ წინადადებებს, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს პურის მარაგის უფრო მეტად გამოყენებას, ვინემ ეს განზრახულია გეგმის მიხედვით. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა, მათი აზრით — პურის სესხი.

შემდეგ თათბირმა მოისმინა საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. **ვეიცერის** მოხსენება — პურის დამზადების პერსპექტიული გეგმისა და 1927—28 წლის კამპანიის ამოცანების შესახებ. მოსმენილ იქნა აგრეთვე, საკავშირო სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს გამგის თანაშემწის ამხ. **კერჟენცევის** მოხსენება 1927—28 წლის პურის ბალანსის შესახებ (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

განაჩენი სუდგარიანის საქმეზე ძალაში დატოვებული

ერევანი, 2 აგვისტო. უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა მთავარ სასამართლოს განაჩენი სუდგარიანის საქმეზე, რომლითაც უკანასკნელს 5.000 მან. კოოპერატიული თანხის გაფლანგვისათვის მისჯილი აქვს უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა (ადს).

ლენინაკანის აღდგენა

ერევანი, 2 აგვისტო. ლენინაკანის აღმდგენი რესპუბლიკანური კომიტეტის სხდომაზე მოსმენილ იქნა ლენინაკანისა და მისი რაიონების აღმდგენი სამაზრო კომიტეტის საამშენებლო ორგანიზაციების მოხსენებები.

როგორც მოხსენებიდან ირკვევა, საამშენებლო მუშაობის სრულ გაშლას აფერხებს კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობა. კომიტეტმა გამოიმუშავა კონკრეტული ნაბიჯები საამშენებლო მუშაობის ტემპის გაძლიერებისათვის. ზამთრის დამდეგისათვის კომიტეტმა უნდა ააგოს გეგმით ნავარაუდევი 500 ოთახი, ხოლო „ტექსტილსტროიმ“—20.000 კუბ. მეტრი საცხოვრებელი მოედანი. შეკეთებულ მუნიციპალიზაციაქმნილ სახლებში დაბინავებული იქნებიან პირველ რიგში მუშები და მოსამსახურეები.

კერძო მშენებლობის ტემპი კომიტეტმა დამაკმაყოფილებლად სცნო. თუ მუშაობა ასეთი ტემპით გაგრძელდა, კერძო სახლებში შესაძლებელი გახდება 1500 მოქალაქის დაბინავება. საბინაო მშენებლობის წახალისების მიზნით, განზრახულია კერძო პირთათვის საამშენებლო მასალის დათმობა თვითღირებულ ფასებში

საფრანგეთის თანამედროვე მხატვრობა

(საუბარი მხატვარ დ. კაკაბაძესთან)

გუშინ პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა მხატვარი დ. კაკაბაძე, რომელიც საფრანგეთში მუშაობდა 7 წლის განმავლობაში. ჩვენს თანამშრომელთან საუბარში საფრანგეთის თანამედროვე მხატვრობის შესახებ დ. კაკაბაძემ განაცხადა შემდეგი:

— თანამედროვე ფრანგული მხატვრობა არ ხასიათდება წმინდა ფრანგული ხასიათის ფაქტორებით. საფრანგეთში მხატვრობა ატარებს ინტერნაციონალურ სახეს. თქვენ ვერ შეხვდებით იქ ისეთ მხატვარს, როგორიც ჩვენში იყო ფიროსმანიშვილი, რომელიც ხშირად გადმოგვცემდა წმინდა ქართული ხასიათის მხატვრობას.

თანამედროვე ფრანგული მხატვრობა განსაზღვრულია პარიზით. პარიზში კი თავის დროზე ძლიერ გატაცებული იყვნენ კუბიზმით და ფუტურიზმით. პირველ ხანებში, ორივე ამ მიმართულებას ხელმძღვანელობდენ მეტად ნიჭიერი მხატვრები, რომელთაც ჰყავდათ თავიანთი მიმდევრები. გავიდა დრო და საჭირო გახდა საგნების უბრალო ანალიზი, განჭვრეტა, და აღარ კმაროდა წინანდელი საგნების გარეგანი ასახვა. ამან გამოიწვია ერთგვარი კრიზისი, რამაც ამ მიმართულებების მიმდევრებში და მიმბაძველებში შექმნა ახალი მიმართულება ე. წ. ნეოკლასიციზმი.

ნეოკლასიცისტებს, ახასიათებთ უკან მზერა, ძველ ფორმებთან დაბრუნება და სხვა. ფუტურიზმსა და კუბიზმს დღეს უკვე აღარ აქვს გასავალი პარიზში.

ეხლა რაც შეეხება ქართველ მხატვრებს.

თავის დროზე ქართველი მხატვრები პარიზში დიდ ინტერესს იწვევდენ. უკანასკნელათ პარიზში მივიღეთ სახელგამის მიერ გამოცემული მონოგრაფია ნიკო ფიროსმანიშვილზე. მონოგრაფიაში მოთავსებულმა რეპროდუქციებმა პირდაპირ სენსაცია გამოიწვია სამხატვრო წრეებში და გამოსთქვამდენ სურვილს, რომ პარიზში გაიმართოს ფიროსმანის სურათების გამოფენა.

ახალგაზრდა ქართველი მხატვრებიდან ამჟამად პარიზში მუშაობს—ბელანიშვილი.

ქართველ მენშევიკების პროცესი ხარკოვში

უკანასკნელი (მეცხრამეტე) სხდომა

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

დარბაზში სხდომების გახსნის წინ

ხარკოვი, 2 აგვისტო. სხდომა დანიშნული იყო პირველ აგვისტოს, საღამოს 10 საათისთვის, მაგრამ უზენაეს სასამართლოს თათბირი დიდხანს გაგრძელდა. მოიყვანეს ბრალდებულნი. დარბაზში თავი მოიყარა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, რომელიც უდიდეს ინტერესს იჩენს განაჩენისადმი. დარბაზში გაცხოველებით მსჯელობენ განაჩენის შესახებ; წინასწარმეტყველობა ზოგის პესიმისტურია, ზოგი ოპტიმისტური, საერთოდ განწყობილება ნერვიულია. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გამოსვლა დაგვიანდა ღამის პირველ საათამდე, ხალხი მაინც არ დაიშალა.

სასამართლო მოდის

ბოლოს გაისმა ჩვეულებრივი სამი ზარი სასამართლოს გამოსვლის წინ.

ოცდა თქვსმეტი საათის თათბირის შემდეგ სასამართლო სხდომას გახსნილად აცხადებს. მთელი დარბაზის უდიდესი ყურადღების ატმოსფერაში იწყება განაჩენის კითხვა, რომელიც გაგრძელდა ორ საათამდე.

განაჩენი

განაჩენში არის პოლიტიკური ნაწილი, სადაც დაწვრილებით არის აწერილი მენშევიკური პარტიის კონტრ - რევოლიუციონური მოღვაწეობა თებერვლიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე, მჟღავნდება ნამდვილი ფესვები მენშევიკების მოღალატურ მუშაობისა, რომლებიც არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებებს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ საბრძოლველად. კერძოდ კიევის ორგანიზაცია, რომელსაც უშუალო კავშირი ჰქონდა გაბმული პოლონეთის ექსპოზიტურასთან და თავის რიგებში ერთ-ერთ წევრად ჰყავდა პოლონეთის შტაბის საზვერავ ნაწილის ჯამაგირიანი ჯაშუში, —წარმოადგენს მენშევიკების ბინძურ, დაუფარავ მოღალატურ მუშაობის, გამცემლობის და პოლიტიკური როსკიპობის პირდაპირ შედეგს.

განაჩენის სარეზოლიუციო ნაწილში, რომელშიაც მოყვანილია თვითეულ ბრალდებულის საქმიანობის შეფასება,—ნათქვამია:

„**პენკოვს**: — შპიონაჟისათვის და კონტრ - რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის მიესაჯოს სოციალურ თავდაცვის უმაღლესი ზომა დახვრეტა;

ანჯაფარიძეს: — კონტრ - რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის — თავისუფლების აღკვეთა რვა წლის ვადით, სასტიკი იზოლიაციით და უფლებათა წართმევით ორი წლით;

სიმონ შექეშვილს: — თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით და უფლებათა წართმევა ორი წლით;

კოლონაშვილს: — თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით და უფლებათა წართმევა ორი წლით;

ფედოროვს: — თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით და უფლებათა წართმევა ორი წლით;

გოგლიჩიძეს: — თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. მაგრამ, ვინაიდან მან შეიგნო თავისი შეცდომები და სასამართლომ იგი სცნო სოციალურად არა საშიშრად, მას სასჯელი შეუმცირდა წელიწად-ნახევრამდე სასტიკი იზოლიაციით;

არეშიძე-გოგორიშვილს — თავისუფლების აღკვეთა სამი წლით და ქონების კონფისკაციით. მაგრამ წითელ არმიაში მისი სამსახურის გამო და, აგრეთვე იმიტომ, რომ მან გულწრფელად მოინანია თავისი შეცდომები, სასჯელი შეუმცირდა ექვს თვემდი ქონების ჩამოურთმევლად.

დრობოტი გამართლებულია, მაგრამ ჯაშუშებთან და კონტრაბანდისტებთან კავშირის გამო, მას მიესაჯა გადასახლება არხანგელსკის გუბერნიაში არხანგელსკში ცხოვრების აკრძალვით;

ულმერს და **ბროკოპს** — თავისუფლების აღკვეთა სამი წლით სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ ორივეს სასჯელი შეეცვალა პირობითად, პირველს უვიცობის გამო, მეორეს კი იმიტომ, რომ დანაშაული ჩაიდინა გაჭირვების გამო;

სოფიო შექეშვილს — თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვით პირობით, ვინაიდან ის არ წარმოადგენს სოციალურად საშიშარ ელემენტს;

ბერუაშვილი გამართლებულია.

სასამართლომ ყველას ჩაუთვალა წინასწარი პატიმრობა; ამიტომ **გოგლიჩიძე** და **გოგორიშვილი** იქვე იქნენ განთავისუფლებული. სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება არ შეიძლება.

მხოლოდ **პენკოვს** მიეცა ნება ითხოვოს პატიება უკრაინის ცაკში. დამცველმა მას მისცა წინასწარ დამზადებული თხოვნა პატიების შესახებ, რომელსაც პენკოვმა ხელი მოაწერა.

განაჩენი თავის ლმობიერ ხასიათით კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. თითონ ბრალდებულნი მოელოდენ ბევრად უფრო მკაცრ განაჩენს. **უკრაინის უზენაესმა სასამართლომ ერთხელ კიდევ დაამტკიცა რომ საბჭოთა მთავრობა არ სჯის თავის მოწინააღმდეგეებს შურისძიების მიზნით.**

ქართველ მენშევიკების პროცესი დიდ ხანს დარჩება ხსოვნაში, როგორც კონტრ რევოლიუციის ერთ-ერთი უდიდესი პროცესი უკრაინაში.

აკ. ჟუღნია.

ქართველ მენშევიკების პროცესის მნიშვნელობა

ხარკოვი, 2 აგვისტო. ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სასამართლოს თავმჯდომარემ ამხ. **ვოლკოვმა** ქართველ მენშევიკების პროცესის მნიშვნელობის შესახებ განაცხადა:

„პროცესმა, უპირველეს ყოვლისა, დაამტკიცა რომ ერთიანი ფრონტი სოციალ-დემოკრატიასა და ბურჟუაზიის შორის იღებს რეალურ და საბჭოთა კავშირის მიმართ აგრესიულ ფორმებს.

სოციალ-დემოკრატიის ერთერთი, ჩვენდამი ყველაზე უფრო მტრულად განწყობილი ნაწილი—საქართველოს სოციალ-დემოკრატია არ კმაყოფილდება საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლიუციონური მისწრაფებების მიძინების ცდით და უშუალო და აქტიურ ბრძოლას იწყებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რისთვისაც კავშირს ამყარებს იმპერიალისტურ სახელმწიფოების მთავრობებთან და მჭიდროთ უკავშირდება ლიმიტროფებს, კერძოთ, პოლონეთს.

ერთად ერთი სერიოზული გარემოება, რომლის გამორკვევაც ვერ მოახერხა სასამართლომ, არის საკითხი იმის შესახებ, თუ სად თავდება ქართველი მენშევიკების საზღვარგარეთული ბიურო და სად იწყება პოლონეთის გენერალური შტაბი. ისეთ პასუხისმგებელ ქართველ მენშევიკებს, როგორიც იმნაძეა, მჭიდრო კავშირი აქვთ პოლონეთის დაზვერვასთან. ქართველი მენშევიკების და პოლონეთის გენერალური შტაბის ინტერესების ერთიდაიგივეობა ქმნის საერთო აპარატს და საერთო ტექნიკას. ასე, მაგალითად, სამხედრო ჯაშუშურ ცნობებს, რომლებსაც გზავნიან ჯაშუშები უკრაინის ტერიტორიიდან პოლონეთის გენერალურ შტაბში, ღებულობს ქართველი მენშევიკი იმნაძე. ქართველ მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ გამოგზავნილ ანჯაფარიძეს დახმარებას უწევს პოლონეთის სამხედრო სამსახურში მყოფი გენერალი ზაქარიაძე, რომელსაც არავითარი საერთო არ აქვს მენშევიკურ პარტიასთან, მაგრამ მაინც აქტიურ მონაწილეობას იღებს იმნაძის სოციალ-დაზვერვით ოპერაციებში.

ყველაფერი ეს აშკარავებს ქართველ მენშევიკების ნამდვილ სახეს.

პროცესმა დაამტკიცა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ქართველ მენშევიკების მოღვაწეობას საბჭოთა კავშირში არავითარი ნიადაგი არა აქვს.

თბილისში ყოფნის შემდეგ ანჯაფარიძე დარწმუნდა, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება მენშევიკების რაიმე მასიურ მუშაობაზე ქართველ მუშებსა და გლეხებს შორის.

საბჭოთა ხელისუფლების ეროვნული და ეკონომიური პოლიტიკა ყოველგვარ ნიადაგს აცლის ქართველ მენშევიკებს მათ ცდაში გამოიწვიონ უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი საქართველოს მშრომელებში“.

შემდეგ ამხ. ვოლკოვი შეჩერდა ქართველ მენშევიკების [illegible] ემიგრანტებთან.

„პროცესმა დაამტკიცა ქართველი მენშევიკების [illegible] თანამშრომლობა უკრაინის ეგრედწოდებულ მთავრობასთან ლევიცკის მეთაურობით. საბჭოთა კავშირის დამხობა კონტრ-რევოლიუციონური აჯანყების მოწყობით უკრაინაში ან და უკრაინის ჩამოშორებით საბჭოთა კავშირისაგან—აი ერთ-ერთი გზა, რომელიც დასახული აქვთ ქართველ მენშევიკებს.

იმ ცეცხლის ანარეკლი, რომელიც იმპერიალისტებს სურთ წაუკიდონ სოციალიზმის სამშენებლო მასალას საბჭოთა კავშირში, გარკვევით მოსჩანს ქართველ მენშევიკების ჭუჭყიან ჭაობში.

ქართველ მენშევიკების პროცესით მუშები და გლეხები კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან მენშევიკების მოღალატურ საქმიანობაში.

პროცესმა დაამტკიცა, რომ ქართველი მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალი, რომლის ნაწილსაც ისინი წარმოადგენენ, არიან დანაშაულის ადგილზე დაჭერილი ქურდები“. (ადს).

ა.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოსაგან

განაჩენი

ხარკოვი, 2 აგვისტო. 1 აგვისტოს, ღამის 2 საათზე 15 წუთზე უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ქართველი მენშევიკების საქმეზე.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო ქართველი მენშევიკების პარტიის მეთაურთა ბოროტმოქმედებითი საქმიანობა, მჭიდრო კავშირი პოლონეთის გენერალურ შტაბთან და პეტლიურას ემიგრაციასთან დამანგრეველი კონტრ-რევოლიუციონური მუშაობისათვის საბჭოთა კავშირში, ქართველი მენშევიკების პარტიის პასუხისმგებელ წარმომადგენელთა დახმარება პოლონეთის და საფრანგეთის კონტრდაზვერვისადმი საბჭოთა კავშირში შპიონაჟის საქმეში, არალეგალური ორგანიზაციის შექმნა კიევში და სხვა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლები.

ანჯაფარიძეს მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ქონების კონფისკაციით და უფლებათა ჩამორთმევით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

ექიმ გოგლიჩიძეს—8 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით; მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ გოგლიჩიძემ დამღუპველად სცნო ქართველი მენშევიკების პარტიის პოლიტიკა საბჭოთა კავშირში, დაამტკიცა, რომ იგი შეიძლება საბჭოთა კავშირის ღირსეული მოქალაქე შეიქნეს. რომ იგი თავის დროზე მალავდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ეხლანდელ თავმჯდომარეს და დახმარება აღმოუჩინა დენიკინელების მიერ დაჭრილ კომუნისტებს, სასამართლო შესაძლოდ სცნობს, რომ მას მოესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 1 ნახ. წლით ქონების ჩამოურთმევლად და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით: ამგვარად, გოლიჩიძე განთავისუფლებულია შემდგომი სასჯელისაგან.

სვიმონ შექეშვილს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებათა ჩამორთმევით და ქონების კონფისკაციით,—წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

კოლონაშვილს—5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ქონების კონფისკაციით და უფლებათა ჩამორთმევით,—წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

პენკოვ-პოლოჟნის—სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა.

ფეოდოროვს—6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებათა წართმევით, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

დრობოტი გამართლებულ იქნა, მაგრამ სასამართლო იღებს რა მხედველობაში მის კავშირს ბოროტმოქმედ ელემენტებთან, ადგენს —გადასახლებულ იქნას ის სამი წლით არხანგელსკის გუბერნიაში.

არეშიძე-გოგორიშვილს მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით, მაგრამ სასამართლო იღებს რა მხედველობაში მის გულწრფელ მონანიებას, სამსახურს წითელ არმიაში, მის დაჭრას და პროლეტარულ წარმოებას, ადგენს—დასჯის ვადა შეუმცირდეს 6 თვემდე, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

სოფიო შექეშვილს მიესაჯა სამი თვით დაპატიმრება პირობითად, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

ბროკოპს და **ულმერს** სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით პირობითად, სამი წლის გამოსაცდელი ვადით.

ბერუაშვილი გამართლებულ იქნა.

სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით, დაუყოვნებლივ იქნა განთავისუფლებული გოგლიჩიძე, არეშიძე-გოგორიშვილი, სოფიო შექეშვილი, ბროკოპი, ულმერი და ბერუაშვილი.

ჩემი მოგზაურობა ჩინეთში

VII

ნან-ჩანგისკენ

მუშები და გლეხები მემარჯვენე გომინდანელების წინააღმდეგ

ჩვენს გემს „ლინ-კანს“ ორმოციოდე მეტრის სიგრძე აქვს. აშენებულია ინგლისელების მიერ ჰონგკონგში. ერდოზე 250—300 მოგზაურს მოუყრია თავი: მამაკაცები, ქალები, ბავშვები, ჯარისკაცები ერთმანეთშია არეული. ცივა, მდინარე, რომელიც ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ევროპის მდინარეებია, ღელავს, ძლიერი ქარი ტალღებს აჯახებს ჩვენს პატარა გემს და შეუბრალებლად ანჯღრევს მას. უბადრუკი ტილოს ფარდები, რომელნიც მგზავრების დასაცავად არიან აფარებულნი, ვერ აჩერებენ მძვინვარე სტიქიონს.

ყველა ამ უხერხულობის მიუხედავად, პატარა ჩინური სანაოსნო საზოგადოების დაარსება და ორიოდე ხომალდის გამგზავრება კვირაში აქ უდიდეს პროგრესათ ითვლება. არც რკინის გზა არის, არც გზატკეცილი, არც სხვა რაიმე საშუალება მიმოსვლისთვის, გარდა ამ პატარა ხომალდისა; შეიძლება კიდევ მხოლოდ უბრალო ნავში ჩაჯდომა, მაგრამ ამ შემთხვევაში ნანჩანში ერთ კვირაზე ადრე ვერ მიხვალ.

ჩვენ დაუსრულებლად გვიჩვენა დღე და ღამე, რომელიც კინ-ნგანიდან ნან-ჩანში მისასვლელად არის საჭირო. ჩინელი მოგზაურები კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაქსიმალურ სისწრაფეს მივაღწიეთ.

შესაძლებელი იყო უფრო აჩქარებაც, მაგრამ გემი ღამით შეჩერდა მეჩეჩიანი ადგილების შიშით მდინარეში. ამ გარემოებამ შეგვაძლებინა პატარა კომერციული ქალაქი სუნ-კანგი დაგვეთვალიერებია.

უწინარეს ყოვლისა პროფკავშირს ვესტუმრეთ. კუ-ჩეუ-ფუს გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ გომინდანის რეაქციურმა ფრთამ თავი წამოჰყო ამ პროვინციაში. არ გვინდოდა ისეთი რამ გაგვეკეთებია, რასაც მემარჯვენეები მემარცხენეების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. ჩვენ არავითარ ზნეობრივ დახმარებას არ ვუწევდით მემარჯვენეებს. პირიქით, სისტემატიურად მემარცხენეებს ვეხმარებოდით მათ წინააღმდეგ.

პროფკავშირის მდივანმა ადგილობრივ გომინდანის შემადგენლობა გაგვაცნო: „გომინდანის ხელმძღვანელი ორგანო რეაქციურია. პარტია მხოლოდ ვაჭრებისა და სტუდენტებისაგან შედგება. მათ არ სურთ, რომ მუშები და გლეხები შევიდნენ გომინდანში. სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს საშინლად სძულს მუშები და პროფკავშირელები. ის არის ჩვენი საწინააღმდეგო კამპანიის ოსტატი: მისი აზრით, გომინდანი მუშების საქმე არ არის.

პროვინციული გომინდანის წარმომადგენელიც რეაქციონერია და მხარს უჭერს ამ იდეას. მუშები დაემუქრენ და შეაცვლევინეს ყოფა-ქცევა მან უკან დაიხია და ხელი მოაწერა სინანულის დეკლარაციაზე. ამის შემდეგ რვა ახალი მუშათა ორგანიზაცია შეიქმნა. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ გომინდანში. ნაციონალური არმიის მოსვლამდე მხოლოდ 6 პროფკავშირი გვქონდა. ახლა 33 კავშირი გვაქვს და 5.000 წევრი გვყავს“.

ჩვენ ვიცოდით, რომ ვაჭრები წინააღმდეგნი იყვნენ გლეხების და მუშების შესვლისა გომინდანში, როცა კანტონში ხელახლა პროვინციის მემარჯვენე მთავრობა აირჩიეს, მრავალ მუშას წაართვეს ხმა გომინდანის სექციებში, რათა უპირატესობა მიეცათ ვაჭრებისთვის. კან-ჩეუ-ფუის რეაქციურმა ხელისუფლებამ პროფკავშირებს აუკრძალა გომინდანში შესვლა, ხოლო ვაჭრებსა, სტუდენტებსა და ქალებს კარები ფართოდ გაუღო. ყველგან გარდა კანტონისა, სადაც მზარეულებმა დაფლითეს გომინდანში შესასვლელი წიგნაკები, მუშები ფიქრობდნენ, რომ საჭირო იყო გომინდანში შესვლა და რევოლიუციონური მოძრაობისთვის ხელმძღვანელობის გაწევა.

„გომინდანელი რეაქციონერებიო, — განაგრძობს ჩვენი ამხანაგი—ფულით ყიდულობენ არამზადებს, რათა ჩვენი ორგანიზაციები გაანადგურონ. ცილს სწამებენ ორგანიზაციებს, ხოლო პროფკავშირებს ბინებიდან ერეკებიან. გვაბრალებენ, თითქო ყველა პროფკავშირელის გაგზავნა გვინდოდეს ფრონტზე, იმათ შეაცდინეს და გარყვნეს კიდეც რამდენიმე მუშა-ბელადი, რომელიც სუსტი აღმოჩნდა ხელისუფლების ალერსის წინაშე.

ამის და მიუხედავად მუშებმა დიდი ნაბიჯი გადასდგეს წინ, ორი საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა: ერთი ინგლისელების წინააღმდეგ, ხოლო მეორე ჩენის მკვლელობის საპროტესტოთ.

ორგანიზაციამ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. პატრონები აიძულა, რომ ნოქრებისთვის სამი ჯერი საჭმელი შემოიღოს ორის მაგივრად. ათი საათის სამუშაო დღე შემოაღებინა ზოგიერთი სავაჭრო დარგისთვის. რეაქციონერების ძალა ჯერ-ჯერობით ხელს გვიშლის უფრო შორს წავიდეთ, რეაქცია რომ მოდრეკილიყო, მუშათა მოძრაობა ბრწყინვალეთ გაიშლებოდა. ქალაქი მდიდარია. ჩვენ მნიშვნელოვან სოციალურ საქმიანობას ვეწევით“.

შემდეგ გადადის შრომის პირობების აღწერაზე: როგორც სხვაგან, ისე აქაც ეს პირობები ძლიერ ცუდია. „მეტაჩკეების“ კავშირის მდივანი გვეუბნება: „ჩვენი ცხოვრება მეტად უბადრუკია: მეტად ძნელია არა თუ ბრძოლის წარმოება, თვით დაცვის ორგანიზაციის მოწყობაც. ჩვენ დამოკიდებულნი ვართ მუშტარზე. მუშტარი კი ყოველ დღე როდი არის. როცა სამუშაო გვაქვს 70 ცენტამდე (1 მან. და 40 კაპ.) ვაკეთებთ დღეში; ახლა კრიზისია და სამუშაო ცოტა გვაქვს. ხანდახან მთელი კვირა უსაქმოდ ვრჩებით. ბრინჯი ძვირია. და თქვენ ხომ დაინახეთ, რა მძიმეა ჩვენი ხელობა“.

მართლაც, ჩინური „ტაჩკა“ მეტად პრიმიტიული გადასაზიდი იარაღია. ის შესდგება ერთი დიდი მთლიანი ხის თვალისაგან, რომელშიც ხისვე ღერძია გაყრილი. ორი ჭალი აქვს, აგრეთვე ბამბუკის თოკი მხრებზე გადასადებათ... მისი ჭრიალი ასი მეტრის მანძილზე ისმის. ტვირთის სიმძიმე „ტაჩკის“ ამტანობაზეა დამოკიდებული, მანძილი — ადამიანის ამტანობაზე.

დეპეშას ვღებულობთ. საუბარი სწყდება. ჰანკოუდან ახალი ამბები მოდის. ნაციონალური მთავრობისა და ცენტრალური გომინდანის რეორგანიზაცია მომხდარა. კომუნისტები მთავრობაში შედიან. ახალი მთავრობის წევრების სამი მეოთხედი მემარცხენეები არიან, უკან მოუწვევიათ ვან-ტინ-ვეი, რომელიც ჩან-კაი-შის მიერ იყო გაძევებული. უზენაესი სამხედრო ძალაუფლება მთავარსარდლისათვის, ე. ი. ჩან-კაი-შისთვის ჩამოურთმევიათ და ხუთთა კომისიისთვის გადაუციათ. „ეს ზომები რევოლიუციას მარცხნივ მოატრიალებს“,—ამბობს ვილაც. ეს კონტრიერიშია ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. ჩვენი თარჯიმანი ლინგი კითხულობს: „რას იქმნს ახლა ჩან-კაი-ში? განა ჩვენ საკმაოდ მომზადებულნი ვართ ასეთი შინაური რევოლიუციის მოსახდენად“.

ამის საპასუხოდ ჩინელი ამხანაგები შანსებს ითვალისწინებენ. „ესა და ეს გენერალი ჩან-კაი-შის მხარეზეა, ესა და ეს ჩვენს მხარეზე“. საერთოდ მილიტარულად ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ და საქმეს მოვიგებთ კიდეც“.

მე ყველაზე მეტად მაოცებს ის გარემოება, რომ თავიანთ ანალიზში ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევენ სოციალურ ძალებს. სათანადო ყურადღებას არ აქცევენ გლეხებსა და მუშებს. იგივე შევამჩნიე გომინდანის წრეებში. უეჭველად ეს ძირითადი შეცდომა იყო იმის ერთი მიზეზთაგანი, რომ რევოლიუციონერებმა მარცხი განიცადეს შანტუნში, მათთვის რეორგანიზაცია იმას კი არ ნიშნავდა, რომ მეტი ძალა-უფლება უნდა მიეცათ მუშებსა და გლეხებისთვის: ეს იყო მხოლოდ ხელსაყრელი მილიტარული კომბინაცია, რომელსაც ჩან-კაი-ში უნდა დაემხო.

მეორე დეპეშა მოდის: ნანკინი და შანხაი აღებულია. ჩვენი პატარა ჯგუფი დღესასწაულობს. ერთმანეთს ხელს ვართმევთ სიხარულისგან მაშინვე დეპეშას ვუგზავნით ჯარისკაცებს და გამარჯვებას ვულოცავთ.

მეზობელ ოთახში ამხანაგები სამზადისში არიან. ისმის ჭურჭლის ხმაურობა. ამხანაგი შემოდის და გვეპატიჟება: „ბრინჯი მიირთვით, ამხანაგებო“. (ეს ნიშნავს: სადილი სჭამეთ). ჩვენ ვუსხდებით ორ რგვალ მაგიდას, რომელზედაც უამრავი პაწია თეფშში აწყვია და ჩხირებს ვიჭერთ ხელში. აქ ყოველნაირი სანოვაგეა: ჩინური საუზმე, ვიშაპის ფრთის წვენი, მერცხლის ბუდის წვენი, თევზის ფილტვი, გოჭის ბუშტები, სოკო, ბაყაყები, ქათმები, თევზი, გოჭის ხორცი, ბრინჯი, ბამბუკის ყლორტი და ვინ იცის კიდევ რა და რა. გრძელი ჩხირებით ვიღებთ ამ მრავალფეროვანი საკვების პატარ-პატარა ნაჭრებს. გვასმევენ ბრინჯის ალკოჰოლს, რომელიც თბილად მოაქვთ და ცოტა არ იყოს გემოთი სასაქმებელ ზეთს წააგავს. ამ უცნაური სუფრიდან ზოგ რამეს ვიღებთ, ზოგ რამეს უკან ვაბრუნებთ: მაგალითად, გაშავებულ კვერცხებს, რომელიც კირშია გახსნილი.

მაგრამ კარგი ახალი ამბები, რომელიც სადილობამდე მივიღეთ, ყველაფერს გვანელებიებს.

ორი დღე ნაციონალური არმიის გენშტაბში

ნაშუადღევს ჩვენ ნანჩანში ვართ, რადგან ჩვენს შესახვედრად არავინ გამოსულა, ლინგი და მე გზას ვუდგებით და ტალახიანი ქუჩებით ქალაქში შევდივართ.

ეს კომერციული ქალაქია, მაღაზიები ერთი-მეორეს მისდევენ: ფაიფურის მაღაზიებში გამოფენილია საუცხოვო სტატუეტები, დიდი ბუდდას ფიგურები, ფინჯნები, ჩაის ჭურჭელი, რომელიც კუინგსინის პროვინციაში გაკეთებული. შემდეგ იწყება ჩაის მაღაზიები. შემდეგ თერძების სახელოსნოებია ჩამწკრივებული. მრავალია ისეთი მაღაზია, რომელიც უცხოეთის ნაწარმოებს ჰყიდის. აქ განსაკუთრებით ნათლად სჩანს იმპერიალისტური სახელმწიფოების, სახელდობრ ინგლისისა და იაპონიის შემოჭრა კომერციული გზით.

„ძირს მილიტარისტების დიქტატურა“

კედლები აფიშებითაა დაფარული. რამდენიმე ადამიანი გაჩერებულა და გულმოდგინეთ კითხულობს. რა არის ეს: რეკლამები თუ გომინდანის კლასიკური ლოზუნგები. არა: „გამოცხადებულია სამხედრო წესები“, — ამბობს ერთი. „ძირს პროვინციული გომინდანი“, — უპასუხებს მეორე. „საზოგადო კრებები აღკრძალულია სამხედრო ოპერაციების გამო“, „ძირს მილიტარისტების დიქტატურა“.

ჩვენი თარჯიმანი ლინგი საქმის მდგომარეობას გვაცნობს და გვეუბნება: „აქ ჩვენ სამოქალაქო ომის ატმოსფერაში ვიმყოფებით“. საჩქაროდ ვბრუნდებით გემზე, რათა იქ დარჩენილებს ამ არანორმალური მდგომარეობის შესახებ ვაცნობოთ. მრავალი ამხანაგი მოსულა ჩვენს მოსასალმებლად, მათ შორის, მეშვიდე დივიზიის სარდალი—გენერალი ი ე-ნიი, მისი შტაბის უფროსი და მისი ორი პოლიტიკური კომისარი: ეს კომისრები პარიზის კომუნისტთა ჯგუფის წევრები არიან და ძლივს გადმოსულან ჩინეთში ამ ექვსი თვის წინათ. ისინი ჩქარა გვაცნობენ საქმის ვითარებას.

„მთავრობის რეორგანიზაციის და მარცხნივ გადახრის ამბავმა გაამწვავა ჩვენს შორის არსებული წინააღმდეგობანი. რეაქციური ბანაკი შესდგება ჩან-კაი-შის შტაბისა, დროებითი მთავრობისა და პროვინციული გომინდანისაგან, რომლის დაშლა ნაბრძანებია ცენტრალური გომინდანისაგან; მაგრამ მას არ სურს სიკვდილი. — ჩვენ ხელთ არის პროფკავშირები (დაახლოვებით 50.000 წევრი). გლეხთა კავშირები, ქალთა და სტუდენტთა ორგანიზაციები, მუნიციპალური გომინდანი; ამ სამი დღის წინათ ვაიძულეთ გენერალი ი-ენიი (მეშვიდე დივიზიის სარდალი, რომელსაც 3.000 შეიარაღებული ჯარისკაცი ჰყავს) დაეცვა პროფკავშირები შტაბისა და რეაქციონერების მიერ მოსყიდული სოფლის ბოგანოების თავდასხმისაგან. ბოგანოთა და უმუშევართა მოსყიდვა აქ კლასიკური იარაღია. რეაქციონერებმა დახურეს მემარცხენე გაზეთი. პროფკავშირებმა პასუხი გასცეს გაფიცვის გამოცხადებით მემარჯვენე გაზეთის სტამბაში: ასე რომ დღეს ქალაქში გაზეთი როდი გამოდის. ჩვენ ვიბრძვით ხელით დაწერილი აფიშების შემწეობით“.

შტაბის სადგომში

დღე და ღამე გაიყარა ორი ტახტრევანი მოიტანეს. ძალით ჩაგვსვეს და სასტუმროში წაგვიყვანეს. შტაბს ჩან-კაი-შიდან ბრძანება მიუღია მისი სადარბაზო ბარათი გადმოგვცეს, მისი სახელით მოგვესალმონ და ღირსეულად შეგვხვდნენ. ეს ჩინელ მილიტარისტებში დიდათ გავრცელებული მეთოდია, უცხოელ რევოლიუციონერების მოფერება იმ წუთში, როცა ჩინელ რევოლიუციონერებს თავს ესხმიან. „მე მიყვარს კამათი თქვენისთანა ადამიანებთან, მაგრამ ჩვენი კომუნისტები არ არიან საინტერესონი“, მითხრა ლი-სი-ჩინმა კანტონში.

ჩვენ სადილათ მიგვიპატიჟეს მთავარ შტაბში. დავსთანხმდით, რაკი დავრწმუნდით, რომ რევოლიუციური ორგანიზაციების წარმომადგენლებიც მოვიდოდნენ. ეს საინტერესო ბანკეტი ბრძოლის ატმოსფერაში შესდგა.

„ჩვენი ამოცანები, გვითხრა მთავარი შტაბის უფროსმა გენერალმა ჩან-შუნმა, მხოლოდ ჩინეთს შეეხებიან; მათ არავითარი კავშირი არ აქვთ სხვა ქვეყნების რევოლიუციის პრობლემებთან. ჩინეთის რევოლიუცია არ არის მსოფლიო რევოლიუციის ნაწილი. ამ საგნის გარშემო სერიოზული განსხვავებაა გომინდანის წევრებს შორის“.

ესაა „ვიწრო ნაციონალისტობის“ თეორია. მეორე დღეს გზის მაჩვენებელს ჩაეძაბარა და გვითხრა: „მარშალს ჯერ-ჯერობით არაფრის თქმა არ შეუძლია გომინდანში. ის საკმაოდ თავისუფალი არ არის. ის ნანკინისა და შანხაისკენ გაემგზავრა. იქ იტყვის სათქმელ სიტყვას“.

ინვალიდების მიტინგზე გენერალმა ჩან-შენმა სთქვა: „მარშალი ჩან-კაი-ში ნაციონალური არმიის დამაარსებელია. დღეს მას თავს ესხმიან, თქვენ ვალდებულნი ხართ მის გარშემო შეჯგუფდეთ და უკან გაჰყვეთ როგორც ერთი ადამიანი. ეს ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელსაც ჩვენ ვსცნობთ“. ასეთივე აზრი გამოსთქვა ბანკეტზე გენერალმა ლი-ლეჰ-შუნმა, პროვინციული მთავრობის თავმჯდომარემ: „გომინდანის პროგრამა უნდა შესწორდეს და შეიცვალოს. საჭიროა მისი შეთანხმება სინამდვილესთან. ამის გაკეთება მხოლოდ ძლიერ ადამიანს, დიდ მხედართ-მთავარს შეუძლია“.

ეს სული აცხოველებდა ხელმძღვანელ წრეებს. ბანკეტის ნახევარი ნაწილი, რომელიც ოფიცრებისგან შესდგებოდა, ტაშს უკრავდა სახელმწიფო გადატრიალების, პარტიაში აჯანყების მოხდენის და მილიტარული დიქტატურის აპოლოგიას. ჩან-კაი-შის თავის შესაფერი ხელქვეითები აურჩევია. მაგრამ, როგორც სჩანს, მარშალი მაინც ვერ ენდობა მთელ თავის შტაბს. ჩვენც სიტყვები წარმოვსთქვით, ქება შევასხით სუნ-იატ-სენის პრინციპებსა და ტაქტიკას და პარტიის ერთგულება მოვითხოვეთ. ბანკეტის მემარჯვენე მხარემ ცივად მიიღო ჩვენი განცხადებანი, სამაგიეროდ მემარცხენეებმა გულთბილი თანაგრძნობა გამოგვიცხადეს.

შემდეგ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ილაპარაკეს: „რისთვის ხურავთ გაზეთებს. რისთვის ესხმით თავს პროფკავშირებს. რატომ დღემდე არ დაშალეთ პროვინციული გომინდანი. ძირს მილიტარული დიქტატურა“. რასაკვირველია, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ძლიერ შეტევას კარგი შთაბეჭდილება მოეხდინოს მთავარი შტაბის რეაქციონერებზე. მაგრამ მათ ყოველივე წარბის შეუხრელად მოისმინეს. მე ამიხსნეს ამ თავისებური მოვლენის მიზეზი.

„მათ 900 თოფი აქვთ, ჩვენ კი 3.000 გვაქვს. საკმაოა ნიშანის მოცემა ხანკოუდან და ჩვენ მათ კისერს მოვუგრეხთ“. მითხრა ერთ-ერთმა პარიზელმა კომუნისტმა, ჰანრიმ, თავის ქალაქის დამახასიათებელი ჟარგონით. მეშვიდე დივიზიამაც მიგვიპატიჟა. დიდ დარბაზში თავი მოეყარა ორასამდე ჯარისკაცს, რომელთაც დიდი ყურადღებით მოგვისმინეს.

ჩვენი სიტყვები მიმართული იყო მილიტარისტული დიქტატურის წინააღმდეგ, ჩვენ მოვითხოვთ პარტიის გადაწყვეტილებათა პატივსცემასა და გლეხკაცობის და მუშათა კლასის ერთგულებას.

„შევებრძოლოთ რევოლიუციის მტრებს“

ერთმა ჯარისკაცმა, რომელიც თვითეული სიტყვით აღფრთოვანებას იწვევდა ამხანაგებში, ჯერ თანხმობა გამოგვიცხადა და შემდეგ დაუმატა: „მარშალი ამბობს, რომ როცა წინ იბრძვი, არვარგა ქედის უკან ბრძოლაო. ეს არ არის სწორი. ასეთი სიტყვები ჩვენს დასაძინებლად არის მოგონილი. თვითონ ის უკანიდან თავს ესხმის რევოლიუციის მეგობრებს. ჩვენ უკანიდან თავს უნდა დავესხათ რევოლიუციის მტრებს, ხოლო უმჯობესი იქნება თუ მარშალს გავაძევებთ“.

ეს დივიზია რევოლიუციური არმიის უძველეს კადრს წარმოადგენდა. მას უნდოდა ბრძოლა გამოეცხადებინა თავისი მარშალისთვის, რომელიც შეუჩერებლად მიისწრაფოდა კონტრ-რევოლიუციისაკენ.

სამწუხაროდ, აზრთა გაცვლა-გამოცვლამ, რომელიც მემარცხენე ორგანიზაციების ბელადებთან გვქონდა, დაგვარწმუნა, რომ მათ ისე ნათლად არ ჰქონდათ წარმოდგენილი არმიაში შექმნილი მდგომარეობა, როგორც ამ ჯარისკაცს. მათმა გაუბედაობამ, მათმა ყოყმანმა შებოჭა და გაანელა ამ დივიზიის ჯარისკაცების ბრძოლის სურვილი.

ჟაკ დორიო.

(შემდეგი იქნება)

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები საბინაო კოოპერაციაში

ამას წინად მეოთხე რაიკომში შესდგა საბინაო - საიჯარო სახლებთან არსებულ კომ. ფრაქციის თათბირი.

თათბირზე მოსმენილი იქნა: მოხსენება—საბინაო კავშირის კომ - ფრაქციის მუშაობაზე და ამხ. მორჩილაძის მოხსენება — საბინაო საიჯარო კოოპერ. ამხანაგ. ფრაქციების მუშაობაზე.

თათბირის მიერ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

საბინაო - საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა კომ - ფრაქციის თათბირი აღნიშნავს რა საბინაო კავშირის მუშაობაში არსებულ მიღწევებს, საჭიროდ სთვლის მომავალში გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

ყურადღება მიექცეს შესასვლელ და საპაიო გადასახადთა სუსტ დაგროვებას და მიღებულ იქნას ზომები მათ სავსებით შესაკრებათ.

საბ. საიჯ. კოოპ. ამხანაგობათა საკუთარი თანხების სიმცირის გამო ჩატარებულ იქნას მთლიანი 5 მანეთიანი პაის შეკრება, რაც უნდა დამთავრდეს წლის ბოლომდე. შემდეგში კი აღძრულ იქნას საკითხი ათ მანეთიანი პაის შესახებ.

ზედნადებ ხარჯებისა და არა საწარმოო ხარჯების შემცირების, მმართველობის და შესაკეთებელ განყოფილების რაციონალიზაციისათვის, აუცილებლად იქნას ცნობილი ამხანაგობათა შემჭიდროება.

საბინაო კავშირმა წინდაწინ გამოიმუშაოს წინასწარი გეგმა შემჭიდროების გატარებისათვის, რაც უნდა შეუთანხმდეს ამხანაგობებს.

ამხანაგობათა გამგეობებმა სასტიკად უნდა ადევნონ თვალყური განთავისუფლებულ საბინაო მოედნების განაწილებას და მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას ამხანაგობის წევრთა ინტერესები.

საბინაო კავშირის ფრაქციამ უნდა დაამუშაოს საკითხი საბინაო მოედნის თანაბარ განაწილებისათვის სახლში მცხოვრებთა მიხედვით არსებულ ნორმების მოთხოვნილებების და პირობათა თანხმად.

ყველა საბინაო საიჯარო ამხანაგობები უნდა გახდენ საბინაო კავშირის წევრებად.

საბინაო კავშირის ფრაქციამ უნდა გააძლიეროს თავისი პრაქტიკული ხელმძღვანელობა საბინაო საიჯარო ამხანაგობათა ყოველდღიურ მუშაობისათვის.

კომ-ფრაქციის საჩქაროდ ჩამოყალიბება საბინაო საიჯარო კოოპერატ. ამხანაგობებთან.

თათბირი წინადადებას იძლევა კომფრაქციის საჩქაროდ ჩამოყალიბება საბინაო საიჯარო კოოპერატ. ამხანაგობებთან.

იქ სადაც შეუძლებელია ფრაქციათა ჩამოყალიბება, ჩატარებულ უნდა იქნას პარტრწმუნებულთა გამოყოფა.

დევაძე.

ქალთა შორის მუშაობის გამოკვლევა მანგლისსა და წალკაში

წალკაში სულ 7 სადელეგატო ჯგუფი-პუნქტია. ორგანიზაციაში ითვლება 171 დელეგატი - ქალი. სადელეგატო ჯგუფების ხელმძღვანელები ძალიან სუსტად მუშაობენ; სუსტია აგრეთვე ხელმძღვანელობა პარტუჯრედების მხრივ. სადელეგატო კრებების პროგრამა ტარდება საუბრების სახით.

დელეგატ-ქალები სუსტად ითვისებენ პროგრამას; ამის მიზეზია დელეგატ - ქალების მიერ წერა კითხვის უცოდინარობა. მარმაქსიზში 37 დელეგატ - ქალიდან 20 წერა - კითხვის უცოდინარია, ხოლო კუნია - კალაში 28 დელეგატ-ქალიდან 25 წერა - კითხვის უცოდინარია. ასეთივე მდგომარეობაა სადელეგატო კრებების დანარჩენ ჯგუფებშიც. რაც შეეხება პრაქტიკულ მუშაობას, უნდა ითქვას, რომ დელეგატ-ქალები არ არიან ჩაბმულნი რაიმე მუშაობაში და მათ შორის არ სწარმოებს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა.

უჯრედს თავის სხდომებზე არ დაუსვამს ხელმძღვანელისა ან ქალ - ორგანიზატორის მოხსენება, ხოლო დელეგატ - ქალებს არ ჩაუბარებიათ ანგარიში თავის ამომრჩევლებისათვის. დელეგატ - ქალებს შორის ძნელია აქტივის გამოყოფა, ვინაიდან წერა - კითხვის უცოდინარობა ძალიან აფერხებს დელეგატ-ქალთა მოძრაობას. პარტიის წევრია 1 ქალი, კანდიდატი — 5, საბჭოს წევრია — 33 ქალი.

საბჭოს წევრ დელეგატ - ქალებთან სრულიად არ სწარმოებს მუშაობა, სადელეგატო კრებებზე არ კეთდება მოხსენებები საბჭოსი და ადგილობრივი კოოპერატივის შესახებ.

მანგლისის რაიონში სულ 7 სადელეგატო პუნქტია, 103 დელეგატ - ქალით.

სადელეგატო ჯგუფებში ჩატარდა სულ 21 საუბარი, მოწვეულ იქნა გლეხ-ქალთა 7 კრება. დელეგატ - ქალებისთვის მოეწყო შემდეგი წრეები: 1) კოოპერატიული, 2) საგლეხკორო, 3) იურიდიული, 4) დედობრივობისა და ბავშობის დაცვის წრე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სადელეგატო კრებები მანგლისში დამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

პრაქტიკული მუშაობისათვის, დელეგატ-ქალები მიმაგრებული არიან სხვადასხვა ორგანიზაციებზე, თემსაბჭოებზე, სახალხო სასამართლოზე ერთიან მომხმარებელ საზოგადოებაზე და სხვა.

ნებაყოფლობით საზოგადოებებში — თავდაცვა - ავიაქიმიური მრეწველობის ხელისშემწყობ საზოგადოებაში ითვლება 30 ქალი, [illegible]ში — 59 ქალი.

პატარა თოხეთსა და ძველ მანგლისში მოწყობილია მებოსტნეთა 2 არტელი. მუშაობა ამ არტელში კოლექტიურად სწარმოებს. არტელში მუშაობა მოწყობილია მეცნიერული გზით, ადგილობრივი აგრონომის ხელმძღვანელობის ქვეშ.

ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების დარგში არსებობს სამშობიარო თავშესაფარი და დედობრივობისა და ბავშვობის დაცვის საკონსულტაციო. მოწყობილია ჭრა - კერვის სკოლა, სადაც სწავლობს 40 ქალი.

მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს დეფექტებსაც, რომლებიც საჭიროა აღმოიფხვრას მომავალში. იქ, სადაც რუსი დელეგატ - ქალებია — მუშაობას აქვს კარგი ხელმძღვანელობა, ხოლო ეს უკანასკნელი ძალიან მოისუსტებს ქართულ სადელეგატო ჯგუფებში.

თბილისის კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილებამ გამოიმუშავა პრაქტიკული ზომები მუშაობას გასაძლიერებლად წალკისა და მანგლისის რაიონში.

საჭიროა გაძლიერდეს პარტიული ხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე, ქალორგანიზატორთა მოხსენებების სისტემატიური მოსმენით თემკომსა და ქალორგანიზატორთა თათბირებზე.

უნდა მიექცეს ყურადღება გლეხ - ქალთა შორის წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას.

თემკომის სხდომაზე უნდა კეთდებოდეს სადელეგატო კრებებზე მიმაგრებულ პარტამხანაგების მოხსენებები და სხვა.

ქ. ქართოზია.

თათბირი კედლის გაზეთების შესახებ

(წერილი საგარეჯოდან)

ამას წინად თემის პარტიულმა კომიტეტმა მოიწვია რაიონში შემავალ კედ. გაზეთების რედკოლეგიების ფრაქციის სხდომა. სხდომაზე იდგა ორი საკითხი: მოხსენებები ადგილებიდან და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამონახვა კედ. გაზეთების მომავალ მუშაობისათვის. პირველ საკითხზე მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჩვენს თემში კედ. გაზეთების მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

თათბირმა საჭიროდ სცნო შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარება: იმ მიზნით, რომ კედ. გაზეთებმა არ დასცენ თავიანთი ავტორიტეტი და არ მოხდეს ძალების დაქსაქსვა, რასაც იწვევს ცალკე სოფლებში კედ. გაზეთების გამოცემა, — თემის მასშტაბით უნდა გამოდიოდეს მხოლოდ ერთი კედ. გაზეთი; გლეხკორთა შორის აღმზრდებლით მუშაობის გასაძლიერებლად ჩამოყალიბდეს კორ.-წრეები და მოხდეს მათი მუშაობის გაშინაარსიანება. გარდა ამისა თათბირმა განიხილა გლეხკორთა მოძრაობის მთელი რიგი საკითხები, რომელზედაც გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილებები.

ჟმიზ

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

დახმარება წყალდიდობისაგან დაზარალებულთ

ახალციხე, 1 აგვისტო. სოფ. წყალთბილაში წყალდიდობისაგან დაზარალებულ მცხოვრებთ აღმოუჩინა დახმარება ხე-ტყის მასალით; მაგრამ ვინაიდან ეს სოფელი მომავალშიაც არ არის უზრუნველყოფილი ახალი წყალდიდობის საფრთხისაგან, ცენტრის წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ამ სოფლის მცხოვრებთა გადასახლების შესახებ ახალ ადგილზე (ადს).

სახერხი ქარხანა

ცხინვალი, 1 აგვისტო. დამთავრდა ცხინვალში სახერხი ქარხნის აგების პროექტის შედგენა. ქარხანა მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. წარმოების მთელი პროცესი მექანიკური იქნება. ქარხნის აგების გამო განზრახულია ჰიდრო-ელექტრო სადგურის გაფართოება. სადგურის მოწყობილობათა ნაწილი გამოწერილია საზღვარ-გარეთიდან.

ქარხნის აგება დაიწყება მიმდინარე წლის ოქტომბერში (ადს).

წერილები

მუშაობა სოფლად

(თელავის მაზრა)

სოფლის მეურნეობის განსამტკიცებლად და მის კულტურული დონის ასამაღლებლად, აუცილებელია სათემო საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება და მათი განმტკიცება. იმ მიზნით; რომ თემის საბჭოების და თემაღმასკომების მუშაობა გაძლიერდეს სოფლად, რომ მომავალ არჩევნებამდის ასი პროცენტით შესრულებული იყოს ნაკაზი; რომელიც მიცემულ აქვთ მათ; თელავის სამაზრო აღმასკომმა გააძლიერა ხელმძღვანელობა ადგილობრივ თემსაბჭოებზე და თემაღმასკომებზე. ამ მიზნით მთელ მაზრაში ჩატარდა თემსაბჭოების და თემაღმასკომების მუშაობის გამოკვლევა და გამოკვლევამ დაგვანახვა მრავალი მიღწევები თემსაბჭოს და თემაღმასკომების მუშაობაში და აგრეთვე ნაკლულოვანებანიც.

გამოკვლევის შემდეგ ადგილობრივ თემის ორგანოების მიერ დამუშავებული იყო მომავალი სამუშაო გეგმა მაზრაღმასკომის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილება იწვევს თემაღმასკომის თავმჯდომარეთა დასწრებით ორგკოლეგიის სხდომებს, სადაც კეთდება მოხსენება თემაღმასკომების და თემსაბჭოების მუშაობაზე.

ორგკოლეგიის სხდომაზე გადამუშავებული მოხსენებები ეგზავნებათ თემსაბჭოს და თემაღმასკომებს სათანადო პრაქტიკულ მითითებებით.

გ. მრელაშვილი.

თემაღმასკომის საქმიანობა

(წერილი საგარეჯოდან)

როგორც თემაღმასკომი, ისე საბჭო აწარმოებს გეგმიან მუშაობას. რეგულიარულად კვირაში ერთხელ ეწყობა თემაღმასკომის სხდომები. რაც შეეხება აღმშენებლობით მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ეს დარგი ამ 4—5 თვის განმავლობაში საგრძნობლად გაჯანსაღდა. აღმასკომის ხელმძღვანელობით შენდება უდიდესი საავადმყოფო მთელ გარე-კახეთისათვის. თემში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა დამაკმაყოფილებელია. ასევეა აგრო-პუნქტის და კოოპერატივის მუშაობაც. თემ-აღმასკომი სერიოზულ ყურადღებას აქცევს საგ. მშენებლობის საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ გზები უგეგმოთ კეთდება, არაა ტეხნიკები, რისთვისაც შრომა ბევრჯერ უნაყოფოა. გარდა ამისა იჭრება მინდვრად ახალი არხები. ხდება ბოგირების და ძველი არხების შეკეთება და სხვა. აღმასკომს უნდა მივუთითოთ იმ ნაკლზე, რომ სექციების მუშაობა; გარდა სააღმშენებლო სექციისა, არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

ბოლოს უნდა მივუთითოთ, რომ მიიღოს დაჩქარებით ზომები ცხრა-წლის შენობის ასაგებად.

გ. ძალი.

წერილებიდან

— **თემი წინ მიიწევს.** (სოფ. კაკაბეთი, სიღნაღის მაზრა) თემი წინ მიდის, მუშაობა გაცხოველდა. აღმასკომის შუამდგომლობით მოეწყო რადიო-სადგური. მრავალი გლეხი ისმენს კონცერტებს; ამ რადიო-სადგურის დადგმამ გლეხობაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თემაღმასკომი შეუდგა გზების და ხიდების გაკეთებას, რომელშიაც გლეხობა მხურვალე მონაწილეობას ღებულობს.

თემაღმასკომს განზრახული აქვს თეატრის აშენება.

მოკეთე.

რისთვის მოხსნით (რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ) სადგ. იორის და სად. საგარეჯოს შუა იყო მატარებლის გასაჩერებელი ბაქანი, რითაც სარგებლობდნენ სოფ. ნინოწმინდის, სოფ. ალბულაღის და რკინის გზის ლიანდაგზე მომუშავე მუშები. მუშებმა მოითხოვეს ამ ბაქანის მუშების ბანაკთან გადატანა, მაგრამ გადატანის მაგიერ სრულიად მოიხსნა. საჭიროა მატარებლის ბაქანთანვე გაჩერება. რითაც საშუალება მიეცემათ როგორც გლეხებს, აგრეთვე ლიანდაგზე მომუშავე მუშებს სარგებლობისა.

ჯვ. დრეიძე.

„წმინდა“ სოფლები. ჩვენს თემში არის სოფლები „ნინო წმინდა“, „გიორგი წმინდა“, „მარიამ ჯვარი“ და სხვა. რა საჭიროა ასეთი სახელები ახუ თუ ისე გაძნელდა ამ სოფლებისათვის სახელების გამოცვლა. საჭიროა ამას აღმასკომმა მიაქციოს ყურადღება.

გარსიაშვილი.

ებრაელ ქალთა წრე. (კულაშის თემი; ქუთაისის მაზრა) ივლისში შესდგა კულაშის თემის ებრაელ ქალთა კრება. კრებას დაესწრო 300-მდე ქალი. მოხსენება გააკეთა ქალთა ხელმძღვანელმა. კრებაზე დაარსებულ იქნა ქალთა წრე, რასაც მთელი კრება დიდი სიხარულით შეხვდა.

გლეხკორი..

სასამართლოს მუშაობა ზაფხულობით. ზაფხულობით სოფლად სასამართლოებს უჭირთ ნორმალურად მუშაობა. მრავალი საქმეები ოთხჯერაც და ხუთჯერაც იდება. ამის მთავარი მიზეზი ის არის. რომ გლეხობა ზაფხულობით აწარმოებს ყანების მუშაობას.

საჭიროა, რომ ზაფხულში განსაზღვრულ დროს, როგორიც არის ყანების ჩამკა, გალეწვა და სხვა: სასამართლო დაკეტილი იქნეს.

სოფლის ქრონიკა

— **ახალი არტელი** ოზურგეთის მაზრაში დაარსდა მერძევეთა არტელი „ბახმარო“.

— **დაზღვევა.** ამჟამად ხონში მიმდინარეობს სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის კამპანია.

— **ახალი საავადმყოფო.** კვეთისხევში დამთავრდა ახალი საავადმყოფოს აგება. საავადმყოფოს აგება დაჯდა 1500 მან.

— **მესაქონლეობის კურსები,** რომელიც მოწყობილია სოფ. გორდში, დაამთავრა 18 გლეხმა.

— **მერძეობის კურსები** გაიხსნა სოფ. თეთრწყლებში (თელავის მაზრა).

— **სკოლა.** სოფ. ბზუბზოში (აჭარისტანი) ამჟამად სწარმოებს სკოლისათვის ახალი შენობის აგება.

— **ბორჩალოს აღმასკომმა** იჯარით აიღო ჩათახის ქარხნის ელსადგური მაზრაში განათების მოსაწყობად.

— **რადიო - სადგური.** სოფ. მარტყოფში მოეწყო მიმღები რადიო - სადგური.

— **წასაბაძი მაგალითი.** სოფ. სილაურის თემის გლეხებმა (ოზურგ. მაზრა) გადასწყვიტეს თავიანთი საშუალებით აგონ 4 წლედის შრ. სკოლისათვის შენობა.

მუშათა ცხოვრება

მუშები კოლხოზში

31 ივლისს თბილისის და ნავთლუღის მტვირთავ მუშებმა მოვაწყვეთ ექსკურსია კოლხოზში.

11 საათიდან მაშინები მიგვაქროლებს კოლხოზისაკენ. წასვლისას თბილისში მეტად ცხელოდა. რა ქალაქს მოვშორდით, ბუნებაც შეიცვალა გრილი ნიავით. მუშები ლაპარაკობენ სხვადასხვა საკითხებზე. ზოგი სერიოზულად მსჯელობს, ზოგი ოხუნჯობს და ზოგიც ერთი-მეორეს აჯავრებს.

მივდივართ კოლხოზის დაკეცილ გზებზე და რამდენს ზევით ვიწევით, იმდენად ვრცლად მოსჩანს ჩვენი დედა-ქალაქი, ჩვენი თბილისი, მისი მიდამო და მხარეები.

არიან ძველი მუშებიც, რომლებიც მომსწრეა ნიკოლოზის ჟანდარმულ წესების და იგონებენ: აი, ნაძალადევის იმ ტყეში იშვიათ ხელს—გვქონდა კრება, ვარჩევდით საკითხებს; სწორედ ამ დროს დაგვესხნენ თავზე კაზაკები. ზოგი გავიქეცით, ზოგი დაგვიჭირეს. ის ლოდკის გორაა, იქ ცხრა ძმის სასაფლაოა.

ვხედავთ ნავთლუღის მიდამოებს, არსენალს, გორებს შუა ჩამდგარ წყლის ტბას, კახეთის და ბაქოს რკინის გზის ხაზებს და ზიზღით ვიგონებთ აქ მენშევიკების დროის ბრძოლას კომუნისტებთან.

აგერ სომეხი მუშა გახლავს და გაიძახის: „ერთად ბიჭებო, ერთად, გაუმარჯოს ჩვენს მთავრობას, აქა ვინ მოგიყვანოს, ვინ ანახოს კოლხოზი მუშას, თუ არა ჩვენი მთავრობამ“.

— მართლაც ჩვენი მუშები, თუ ტვირთს ამოუტანდა ვინმე დიდ კაცს, თორემ საექსკურსიოდ ვინ წამოიყვანდა—ამბობს მუშა ალექსანდრე. მივუახლოვდით კოლხოზს. გლეხობას პური მოუმკავს და აქა-იქ ზვინებად დაუყენებიათ.

ავედით კოლხოზში. დავნაწილდით. ზოგი ერთ მხარეზე წავედით, ზოგი მეორეში.

— კარგი ჰაერია, კარგი ამბობენ ამხანაგები. ტყე ალაგები ყოფილა, ეზოში ჰქვს წყალი, ან კრანის. წყალი ისეთი ცივია, რომ თითქმის დალევაც გაგვიჭირდა.

სავაჭროები ყველა რიგზეა ჩამწკრივებული და საქონელიც იშოვება.

ამხანაგები ერთი-მეორეში ლაპარაკობენ—აქ რომ ამოვედით, საბავშო სახლები სადღაც უნდა მოვინახოთ და დავათვალიეროთ.

— აი, აგერ არის ზემოთ—მიგვასწავლა ერთმა უცნობმა.

მივედით. შევიდით პირველ ბავშვთა ახალშენში. შემოგვხვდა გამგის თანაშემწე ქალი, მან თავაზიანად გაგვიძღვა წინ, ბინების დასათვალიერებლად. ვნახეთ საწოლები სუფთად და ლამაზად, ბავშვებისათვის არის ლენინის კუთხე, როიალი, სცენა, გამოდის კედლის გაზეთები.

ვეკითხებით ხელმძღვანელს, რომელიც კითხვებზე გვაძლევს პასუხს.

— კოლხოზში ოთხი საბავშვო ახალშენია. ჩვენ აქ პირველ ახალშენში 56 ბავშვი გვყავს. 36 ვაჟი, 20 ქალი. საჭმელი, სასმელი და მოვლაც კარგი აქვს ბავშვებს.—გვიპასუხებს ის.

საღამოს მხიარული, ნასიამოვნები, ჩვენივე მაშინით დავბრუნდით უკან.

მადლობა ჩვენს სატრანსპორტო კავშირს და ხელმძღვანელ ადგილკომს, რომლის წყალობით ეს ექსკურსიაც მოეწყო.

ზიდისთაველი.

უბინაობა აფერხებს მუშაობას

(წარმკოპის; ძეხვის და კატლეტის ქარხანა)

ჩვენი ქარხკომები აერთიანებს ამ სამ წარმოების მუშა-მოსამსახურეებს, სულ—75. ქარხკომთან არსებობს შემდეგი კომისიები: კულტკომისია; შრომის დაცვის; შემფასებელ-საკონფლიქტო, კოოპერატიული, შეგირდების გამომცდელი და ურთი-ერთ დამხმარე სალარო. ჩვენ ქარხკომთან არსებობს საწარმოო კომისია, რომელიც დღეს ყველა კომისიებზე ჩამორჩენილათ ითვლება. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ კომისიებს აუტანელ პირობებში უხდებათ მუშაობა უბინაობის გამო; მაგრამ ძალიან ბევრი რამე არის გასაკეთებელი. განსაკუთრებით ჩვენ ქარხკომში მძლავრ კომისიათ ითვლება კულტკომისია. სარევიზიო კომისია. ორ კვირაში ერთხელ გამოდის კედლის გაზეთი, ტარდება ლექციები და მოხსენებები, რომელსაც მუშები ბლომად ესწრებიან, მაგრამ დიდათ აფერხებს უბინაობა ამ მუშაობას. ამ ერთი თვის წინად იქმნა მოწყობილი ფასიანი კინო მუშათა კლუბში. ქარხკომთან არსებობს სამი საზოგადოებრივი ორგანიზაციები: რემედსაი. საშეფო და საბავშვო. ამ საზოგადოებაში ჩაბმული არიან ყველა მუშები; კოლხელშეკრულების ყველა პუნქტებს ადმინისტრაცია ცხოვრებაში წესიერად ატარებს. ხელფასი ურიგდება მუშებს თავის დროზე, თვეში ორჯერ, ერთადერთ ქარხკომის მუშაობის ნორმალურ მსვლელობის დამაბრკოლებლად ითვლება უბინაობა; რომელსაც ადმინისტრაცია წინადაც და ახლაც არ აქცევს ყურადღებას. საჭიროა მოგვარდეს ბინის საკითხი.

შ. გოცირიძე.

ესეც მომჭირნეობა

(ტყიბულის მაღარო)

წასულ თვეში მაღაროებში მოსკოვის მიერ გაღებულ თანხებიდან შეუდგენ ხუთი ახალი საბინაო სახლის აშენებას. უნდა ითქვას, რომ ეს დიდ მიღწევად ჩაითვლება აღმშენებლობის დარგში. ეს სახლები გაიცა მოიჯარადრე გოგილიძე და ამხ-ზე. მაღაროების სამმართველოდან მას დაუნიშნეს ტეხნიკური ზედამხედველი ტეხნიკოსი, მაგრამ დატვირთვის გამო დაუმატეს კიდევ ერთი ტეხნიკოსი, რომელსაც გამოჰყვა ორი სააშენებლო ათის თავი, და უკანასკნელად თბილისიდან სამუშევრების მწარმოებლად მოავლინეს კიდევ ერთი ინჟენერი. მაშინ, როდესაც ინჟენერებით სავსეა მაღაროები.

სახლების დაწყებამდე გამოიყო შტატი და მთავარი ხელმძღვანელობა მშენებლობისა დაევალა ტეხნიკურ დირექტორს. მას აგრეთვე დავალებული ჰქონდა მაღაროებში გვირაბების სამუშაოების ხელმძღვანელობა. ყველა ამაზე მან განაცხადა უარი, რის შემდეგ აქ უბანში სამუშევრებზე დაინიშნა გამგე ინჟენერი, პრესის თვალყურის დევნება მიენდო ვიღაც მექანიკს და სააღმშენებლო დარგზე მოწვეულ იქნა ინჟენერი.

რას გავს ეს? სად არის აქ მომჭირნეობა. ნუ თუ ის არის მომჭირნეობა, რომ ერთი ინჟენერის გასაკეთებელი საქმე ოთხმა ინჟენერმა გააკეთოს და სახელმწიფომ ერთის მაგივრად 4 ჯამაგირი აძლიოს.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიაქციონ ყურადღება წარმოების სათავეში მდგომ ორგანოებმა.

„ელექტრონი“.

კერძო დამქირავებლები გათამამდნენ

ამ ბოლო ხანებში კერძო ვაჭრები ძალიან გათამამდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მუშა - ხელი ჰყავთ დაქირავებული, არც ერთ მათგანს კავშირის წევრად არ ხდიან, არ იცავენ 8 საათის სამუშაო დღეს. მათი დათხოვნა ხომ „ხაზეინი“-ს საქმეა; როდესაც მოესურვება, მაშინ დაითხოვს და ეტყვის: „რა ვქნა ძმავ, ვაჭრობა ნაკლები მაქვს“-ო და მის მაგიერ მეორე მეორე დღესვე სხვას მიიღებს და ამუშავებს „ხელ - საყრელ“ პირობებში.

ასე ეწევიან თავგასული ვაჭრები მუშა - ხელის სპეკულაციას. ამის მაგალითი ბევრია, ასევე მოხდა სადგურის ქუჩა № 15 ღვინის სარდაფ „ალაზან“-ში, ასევე ხდება ამავე ქუჩაზე ღვინის სარ. „გემო“-ში და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე მუშა ჰყავთ დაქირავებული, კავშირის წევრი არც ერთი არ არის, საჭიროა ამას დროზე მიექცეს სათანადო ყურადღება.

გ. არუელი.

საყურადღებო წვრილმანი

ბიულეტენს სწორად არ სწერენ. მუშა-მოსამსახურენი ხშირად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას ადმინისტრაციაზე, რადგან მუშებს აკლდებათ ხვედრი ფული დამზღვევ სალაროდან მისაღები და სამსახურის ადგილზე კი ექვეთებათ მეტი, ვინემ გაცდენილი დღეები მიიღეს სალაროდან. ეს იმით აიხსნება, რომ ბიულეტენს ხშირად აჩქარებულად ავსებენ ადმინისტრატორები და ამრიგად მუშას აკლდება მისაღები ფული. ნუ თუ ასე ეძნელებათ ზოგიერთ ადმინისტრატორებს გამოანგარიშება იმისი, რომ რას იღებს თვიურად მისი წარმოების თუ დაწესებულების მუშა-მოსამსახურე.

დათიკო ღოღობერიძე.

მოსპეთ თამაში. (მილიციის საყურადღებოდ). პეტროვის მეორე შესახვევში № 13 ცხოვრობს მოქ. ტუხუ ბოსიკაშვილი, რომელიც შეთაურობს რაღაც ყომარის თამაშს. თამაშის დროს ტყდება იქ ერთი ალიაქოთი და გაისმის უშვერი სიტყვები. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს მილიციამ და მოსპოს ასეთი თამაში.

მოგაგენი.

სამსახურში დაგვიანებით გამოცხადების წინააღმდეგ

ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში შრომის დისციპლინა ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ დაცული. მე მინდა აქ შევეხო შრომის დისციპლინის მხოლოდ ერთ მხარეს— სახელდობრ თანამშრომელთა სამსახურში თავის დროზე გამოცხადებას.

როგორც ვიცით, ორი წლის წინეთ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა დაწესებულებათა შემოწმება, საიდანაც გამოირკვა, რომ ტეხნიკური თანამშრომლების 75 პროც. ყოველდღიურად აცდენს საშუალოდ 20—30 წუთს და პასუხისმგებელი პირები კი მეტსაც. ამ მხრივ მდგომარეობა დღემდის უცვლელად დარჩა. იშვიათად ნახავთ დაწესებულებას, რომ იქ თანამშრომლები თავის დროზე ცხადდებოდენ სამსახურში. დაგვიანებით გამოცხადების შემდეგაც **არ არის სათანადოთ დატვირთული მათი სამუშაო საათები.** ხშირად ნახავთ სამუშაო საათების დროს მოსაუბრე თანამშრომელთ, რომლებსაც კალმის ტარი ხელში შერჩენიათ, მხიარულად კისკისებენ და დრო გამოშვებით საათს შესჩერებიან, თუ როდის გვეღირსება, რომ სამუშაო საათები გავიდესო. ამავე დროს შეუსრულებელი ქაღალდები მაგიდაზე ყრია და, ვინ იცის, როდის ეღირსება მათ სათანადო მიმართულებით გადაგზავნა. მთხოვნელები ცნობის მისაღებად რიგში დგანან და მოუთმენლად მოელიან თანამშრომელთა კერძო საუბრისა და სიცილ-ხარხარის შეწყვეტას. ხშირად მათ უარით ისტუმრებენ და ეუბნებიან—„ხვალ მობრძანდით“-ო.

ამ წმინდა წყლის ბიუროკრატიზმს და საქმის გაჭიანურებას თან სდევს მთხოვნელთა სამართლიანი უკმაყოფილება. გაივლის ცოტა ხანი და კანცელარიის ხელმძღვანელი წარსდგება დაწესებულების მეთაურის წინაშე ზედმეტი საათების მუშაობის ნებართვის მისაღებად, რასაც აშკარაა ზედმეტი ხარჯები მოსდევს და ნაცვლად მომჭირნეობისა ვღებულობთ უმომჭირნეობასა და დაუზოგველობას.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს! მას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. აქ მარტო ცირკულიარული განკარგულებით ან საზოგადო კრებებზე ახსნა-განმარტებით და თუ გინდ დაწესებულებათა ორ წელში ერთხელ შემოწმებით ვერაფერს გავხდებით. საჭიროა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის **მთელი პასუხისმგებლობა დაეკისროს თვით დაწესებულების მეთაურსა და ხელმძღვანელს.** ხშირად სწორედ ამ უკანასკნელის დაუდევრობის გამო აქვს ადგილი სამსახურში თანამშრომელთა თავის დროზე გამოუცხადებლობას. თვითეული თანამშრომელი თავის ხელმძღვანელს უყურებს და მისგან ღებულობს მაგალითს. სამწუხაროდ თვით ხელმძღვანელი და მეთაური ზოგჯერ იგვიანებს 2—3 საათით. იცის რა ეს საქმეთა მმართველმა, ისიც 1 საათით დაიგვიანებს, ამას საქმის მწარმოებლის დაგვიანება მოჰყვება, ამ უკანასკნელს კი გადამწერისა და ასე ამ რიგათ თითქმის 11 საათამდე დაწესებულებათა აპარატები მოუმართავი არიან და მოდუნებულად მუშაობენ.

ზოგი ხელმძღვანელი თავს იმართლებს იმით, რომ მას დილით საქმეები აქვს უმაღლეს ორგანოებში და ამიტომ ვერ მოდის თავის დროზე. ჩემის აზრით ეს საპატიო მიზეზი არ არის. დაწესებულების მეთაური ვალდებულია დილით ჯერ თავის დაწესებულებაში შევიდეს, დრო გამოშვებით მთელ ტეხნიკურ აპარატს გადახედოს და შეამოწმოს, თუ როგორ ცხადდებიან თანამშრომლები სამსახურში, სათანადო განკარგულების გაცემითა და ადმინისტრატიული ზომების მიღებით სამუშაო დღე დაიწყოს და ამის შემდეგ. თუ საჭირო იქნება. წავიდეს საქმეების მოსაგვარებლად უმაღლეს ორგანოებში.

თუ ეს ასე იქნება, თანამშრომელთა სამსახურში დაგვიანებასაც ადგილი აღარ ექნება. ადგილკომები ვალდებულნი არიან შრომის დისციპლინის აღდგენის მიზნით აწარმოონ კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა თანამშრომელთა შორის. ყველა ამ ღონისძიებათა თვალყურის მდევნებელი და ხელმძღვანელი უნდა იყოს ადგილობრივი კომუჯრედი. მუშათა და გლეხთა ინსპექცია პერიოდულად შემოწმებს დაწესებულებათა მუშაობას და სათანადო ჯამს გაუკეთებს მას.

თუ აღნიშნული ღონისძიებანი გატარებული იქნებიან ცხოვრებაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ შრომის დისციპლინის დარღვევას ჩვენს სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებში ადგილი აღარ ექნება.

თ. დოლიძე.

დაქირავებული მუშა-ხელი

სოფლის მეურნეობისათვის

(10 პროცენტიანი შერჩევითი გამოკვლევის მიხედვით)

გასულ წელს ჩატარდა გლეხური მეურნეობის შერჩევითი გამოკვლევა. საქართველოში გამოკვლევა შეეხო 41.086 მეურნეობას, აზერბეიჯანში — 27.476 მეურნეობას, ხოლო სომხეთში — 15.033, — სულ 83.595 მეურნეობას ამ გამოკვლევამ გამოარკვია, თუ რამდენი დაქირავებული მუშა ხელია ა.-კ. რესპუბლიკების გლეხურ მეურნეობაში ჩაბმული.

იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელნიც მიმართავენ მუშა ხელის განსაზღვრული ვადით (კვირეული, თვიური, წლიური და სხვ.) დაქირავებას ამიერ - კავკასიაში შეადგენს — 3,93 პროცენტს; ამ მხრივ პირველი ადგილი უჭირავს სომხეთს, სადაც გლეხურ მეურნეობათა 7,10 პროცენტი მიმართავს დაქირავებულ შრომას, მეორე ადგილი აზერბეიჯანს — 4,03 პროც., მესამე ადგილი საქართველოს 2,68 პროც.

იმ მეურნეობათა რიცხვი, რომელთაც მუშა ხელი ნარდ სამუშაოებზე აჰყავთ, ამიერ-კავკასიაში შეადგენს 2,84 პროც.

რაც შეეხება დღიური მუშა ხელის დაქირავებას, ამ მხრით პირველ რიგში სდგას ისევ სომხეთი, სადაც მუშა ხელის დღიურ დაქირავებას მიმართავს გლეხურ მეურნეობათა 20,79 მეორე ადგილი უჭირავს საქართველოს—11,51 პროც. და უკანასკნელი ადგილი აზერბეიჯანს —3,7 პროც.; მთელს ამიერ - კავკასიაში დღიურ მუშა ხელის დაქირავებას მისდევს გლეხურ მეურნეობათა 10,6 პროც.

თუ ავიღებთ მუშა ხელის დაქირავების ყველა ფორმებს, მაშინ ცალკე რესპუბლიკების მიხედვით ასეთი სურათი გადაიშლება: მეურნეობათა პროცენტი, რომელიც მუშა ხელის დაქირავებას მისდევს, სომხეთში შეადგენს—31,19; საქართველოში — 16,86, აზერბეიჯანში — 10,60; ხოლო მთელს ამიერ - კავკასიაში — 17,37.

შრომის სკოლებში მიღების წესი

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებამ თბილისის შრომის სკოლებში ახალი მოწაფეების მისაღებად შეიმუშავა შემდეგი წესი: ყველა შრომის სკოლებში მიმდინარე წელს მოწაფეთა მიღებისათვის შემდგარია კომისია, რომელშიაც შედიან სკოლაზე მიმაგრებული თბილისის საბჭოს წევრი, პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების წარმომადგენელი და თვით სკოლის გამგე. კომისიის თავმჯდომარედ იქნება სკოლის გამგე. განცხადებების მიღება დაიწყება 15 აგვისტოს და დამთავრდება 25 აგვისტოს. პირველ სექტემბრიდან დაიწყება მისაღები კოლოკვიუმები. განცხადებების მიღების დროს სკოლებში იწარმოებს რეგისტრაცია. სკოლებში შესვლის მსურველებს მოეთხოვება განცხადებასთან ერთად შემდეგი საბუთები: წლოვანების, სწავლის; მშობლების სოციალური და ნივთიერი მდგომარეობისა (სამსახურიდან თუ რა ხელფასს იღებენ მშობლები).

პირველ რიგში მიღებულ იქნებიან ფიზიკური მშრომელების და წითელ არმიელების შვილები, შემდეგ განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა შვილები; შემდეგ დანარჩენ კავშირის წევრთა შვილები და ბოლოს არა მშრომელთა შვილები. ხელოსანთა კავშირის წევრთა შვილები გათანასწორებულნი არიან დანარჩენ კავშირებთან. სკოლებში განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, სამუშაო საათებში.

ოთხწლედ და შვიდწლედ დამთავრებულთა მიღება სწარმოებს დამთავრების მოწმობების, პედაგოგიური საბჭოების მიერ მიცემულ დახასიათებისა და სოციალურ მდგომარეობის მიხედვით.

მერვე ჯგუფებში ბავშვთა მიღებას ხელმძღვანელობს კომისია, რომელშიაც შედიან სკოლის გამგე და წარმომადგენლები: თბილისის საბჭოს, კომპარტიის რაიკომის და ახკომკავშირის. მიიღებიან და დაიშვებიან გამოცდებზე ბავშვები არა ნაკლებ 14 წლის ჰასაკისა.

მერვე ჯგუფში შემსვლელებმა უნდა ჩააბარონ მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: საზოგადოებათ მეცნიერებაში, მშობლიურ ენებში (ქართული არა ქართულ სკოლებში და რუსული არა რუსულ სკოლებში). მათემატიკაში და გეოგრაფიაში. ელექტრო ტეხნიკ. კურსებზე —დამატებით ფიზიკაში.

ლეჩხუმის მაზრის მშრომელ გლეხობის დღესასწაული

ივლისის 31 უდიდეს მნიშვნელობის დღეთ ჩაითვლება ლეჩხუმის მაზრის მშრომელ გლეხობის ცხოვრებაში.

ამ დღეს გაიხსნა **ცაგერ-ორბელის** გზა.

ლეჩხუმის მაზრა თითქმის მოწყვეტილი იყო მთელ საქართველოს. ქ. ცაგერში არ მოდიოდა გზა, რასაკვირველია, გარდა ათასნაირად დაკლაკნულ ბილიკისა. ცაგერს არ უნახავს ურემი, ეტლი. დანარჩენზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ძლიერ მსუბუქად „დატვირთული“ ცხენები წარმოადგენდა ლეჩხუმისათვის მთავარ სატრანსპორტო საშუალებას.

საუკუნეების განმავლობაში ლეჩხუმის მაზრა და მისი ქალაქი ცაგერი მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას.

რამდენიმე ხელისუფლება გამოიცვალა ლეჩხუმის გლეხობამ, მაგრამ გზის გაკაფვას არაფერი ეშველა.

არც მეფისა და არც მენშევიკების მთავრობას აზრათ არ მოსვლია გზის გახსნა ლეჩხუმის მაზრის გლეხობისათვის.

რა არის გზა? განა ეს მარტო მიმოსვლის საშუალებაა? რა თქმა უნდა, არა.

უგზოობა არის ნიშანი უკულტურობის, ჩამორჩენილობის, ჩამოქვეითების, გაუნათლებლობის; სიღარიბის; სილატაკის; ერთი სიტყვით; ყოველგვარ უბედურებისა და ვაი-ვაგლახის.

რა ენაღვლებოდა მეფისა და მენშევიკების მთავრობებს! განა მათთვის მშრომელი გლეხობის გაუნათლებლობა, ჩამორჩენილობა; ტანჯვა წვალება უკეთესი არ იყო?

ამიტომაც იყო, რომ ცაგერის გზის გაყვანის საქმეს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. ეს საქმე სამუდამოდ განწირული იყო.

ლეჩხუმის მაზრის მშრომელი გლეხობა მოესწრო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და მისი კეთილდღეობის საქმეც გაიჩარხა.

საბჭოთა ხელისუფლებამ ლეჩხუმის მაზრაში პირველ რიგში დააყენა გზის გაყვანის საკითხი. ეს საკითხი გადაწყდა კიდეც.

რამდენიმე ხნის წინედ ლეჩხუმის ხელისუფლება ცენტრალურ ხელისუფლების აქტიური დახმარებით შეუდგა ცაგერ-ორბელის გზის შენებას.

ამ საქმეში მონაწილეობა მიიღო მაზრის მოწინავე შეგნებულმა გლეხობამ.

გლეხობამ საკუთარი სურვილით და ნებით დაიბეგრა თავი. მუშაობა სწარმოებდა მთელი ხუთი თვის განმავლობაში.

ვისაც არ უნახავს ეს თავგანწირული მუშაობა, დაუღალავი გმირული საქმიანობა, ვერ წარმოიდგენს იმას, თუ რამდენი შრომა და ჯაფა დაიხარჯა გზის გასაყვანად მთის კალთებში, მწვერვალებში, მიუვალ კლდეებში, თითქმის **თოთხმეტი ვერსტის** მანძილზე.

მშრომელი გლეხობის აღფრთოვანებულმა, ხალისიანმა გმირულმა შრომამ გადააჭარბა მოლოდინს. ლეჩხუმ-ცაგერის შარა-გზა, რომელიც საზღაპრო საქმეთ მიაჩნდათ საუკუნეების განმავლობაში, ფაქტად იქცა.

31 ივლისი იყო სწორედ ამ დიდმნიშვნელოვან ფაქტის ზეიმი, დღესასწაული.

ამ ზეიმში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 3 ათასმა მშრომელმა გლეხმა.

თბილისიდან ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდენ პასუხისმგებელი ამხანაგები (ამხ. **მიხ. კახიანი, მოსე ქვარაცხელია, ბ. მუშიშვილი** და სხვა), რომელთა ჩამოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

გაიმართა ორი მიტინგი. ერთი—ორბელში, საიდანაც იწყება გზა, და მეორე—ცაგერში; სადაც თავდება იგი.

მიტინგს თავმჯდომარეობდა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაღრაძე.

ორბელში მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. მაღრაძე, მიხა კახიანი, კ. ღოღელიანი და სხვა.

მიტინგის დასასრულ ამხ. მიხა კახიანმა გასჭრა წითელი ლენტი, რაც ნიშნავდა გზის გახსნას. გზა გაიხსნა და იგრიალა ტაშმა.

ავტომობილი აქუხდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია ცაგერისაკენ ათასი თვალი მიაჩერდა ავტოს მოძრაობას უცნაური მიმართულებით!

გამოჩნდა ცაგერიც. აქ, გზის თავზე, დილიდანვე მოგროვებულა რამოდენიმე ათასი გლეხი. მწარე სიცხეს, არც დაღალვას არ უმოქმედია საზეიმოთ განწყობილ გლეხებზე.

ყველას უნდა ავტომობილის ნახვა. ავტომობილი ცაგერისათვის ხომ უცნაური ამბავია.

ერთიოდე ვერსტით ცაგერამდე აჩერებენ ავტომობილს. გლეხები სტუმრებს ხვდებიან პურმარილით, ღია სიხარულისაგან გაბრწყინებული გულით.

—პურ-მარილით, წინეთ ძალით გვახვედრებდენ ჩვენს მტანჯველებს. ახლა კი ჩვენი გლეხური გულწრფელობით გეგებებით თქვენ, ჩვენს მხსნელებს, ჩვენს მთავრობას, ჩვენი სურვილით! დეე ეს პური და მარილი იყოს ჩვენი განუზომელი სიხარულის გამომხატველი!

წარმტაცი იყო ეს სურათი! აშკარად გრძნობდა კაცი მშრომელ გლეხების გულის ტოკვას, მათ აღფრთოვანებას, სიხარულს.

ავტომობილი მიადგა დანიშნულ ადგილს. აქ დიდი თაღია ამართული, წითლად შეფერილი დროშები, ლოზუნგები: გაუმარჯოს სოციალიზმის შენებას“, „გაუმარჯოს შრომის გმირებს“ და სხ.

ამხ. **კახიანი** აქაც სჭრის წითელ ლენტს. ორი ათასი კაცის ვაშა-ძახილი ფარავს სივრცეს.

გაიხსნა მიტინგი. ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **მიხა კახიანი.** ამხ. კახიანმა გააშუქა სხვადასხვა საკითხები, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა ხელისუფლების დიდს მუშაობას, კომუნისტური პარტიის როლს ამ მუშაობაში. დაწვრილებით შეეხო მენშევიკების შავ საქმიანობას, მათი შეხედულებებს საბჭოთა აღმშენებლობაზე, მათ შავრაზმულ განზრახვებს და სხვა.

— ჩვენ ვაშენებთ ფაბრიკა-ქარხნებს, გაგვყავს გზები, ვაუმჯობესებთ მშრომელი გლეხობის ცხოვრებას. აი ეს არის საუკეთესო პასუხი, რომლითაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უპასუხებს მშრომელი ხალხის მტრებს,—მენშევიკ ჟორდანია-რამიშვილებს, ჩემბერლენ-ჩერჩილებს და სხვა ჩერჩეტებს!—ასე ათავებს ამხ. კახიანი რევოლიუციონური, კომუნისტური ენტუზიაზმით ალსავსე სიტყვებს.

ტაში, მუსიკა, ვაშა ერევა ერთმანეთში.

ამხ. კახიანს სცვლიან სხვა ორატორები. სიცხეა, იწვის ყველაფერი, მაგრამ მიტინგი მაინც გრძელდება. არავის უნდა შინ წასვლა. აღფრთოვანების და სიხარულს ზღვის ტალღები სცვლის ერთმანეთს. საღამოს ხუთ საათზე მიტინგი იხურება.

ავტომობილი ქალაქისკენ გასრიალდა. უკან მისდევენ ამ ზღაპრულ გველეშაპს. ეშინიათ, თხრილებსა და ღობეებს ესაფრებიან.

მოხუცი გლეხები სიხარულისგან სტირიან. მოვიდა ეტლიც. ხალხის გაკვირვება უფრო მატულობს. თურმე ბევრია ისეთი, რომელსაც გაბმული ცხენიც არ უნახავს.

— ცხენი უღელში ვის უნახავს!!!—გაკვირვებით ეკითხებიან ერთმანეთს.—ეს ხომ ხარ-კამეჩი არ არის?

დიახ, ეს კითხვები უტყუარი საზომია უვიცობის, ჩამორჩენილობის; გაუნათლებლობის. აწი ეს კითხვები ვერავის გააკვირვებს. ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა სამარეში წავა, დავიწყებისაკენ მიდის, არ დაბრუნდება.

ცაგერ-ორბელის გზა გაიხსნა. ეს არის გზა ახალი ცხოვრებისაკენ, განათლებისაკენ, წინსვლისაკენ; კეთილდღეობისაკენ!

ამ მნიშვნელობით შეიძლება ითქვას:

ეს არის გზა სოციალიზმისაკენ, სოციალისტურ კულტურისაკენ!*).

დინამო.

---

*) უფრო დაწვრილებით ცაგერ-ორბელის გზის გაყვანის შესახებ ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ამხ. გ. მუშიშვილის წერილი. რედ.

ახალი ქარხნები თბილისში

თბილისის აღმასკომმა, საგეგმო კომისიამ და უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილეს და დაამტკიცეს თბილისის აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომლითაც გათვალისწინებულია 5.000.000 მანეთად ღირებული ახალი ქარხნების აგება და არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია.

ამჟამად სწარმოებს სასოფლო-სამთამადნო ნედლეული მასალის გამოკვლევა და გეგმის დაწვრილებით დამუშავება.

გეოლოგიური გამოკვლევებს ადგილობრივ მრეწველობის განყოფილება აწარმოებს სოფ. კოდაში (თაბაშირისას), სოფ. დიდ-ლილოში (გაჯისას), სოღანლუღში; (სააღმშენებლო ქვის); მცხეთაში (თიხის), ძეგვში (კირის), სანდარაში (საფილაქნე ქვის) და მტკვრის გასწვრივ (ქვიშის, გრავის და სააღმშენებლო ქვის).

განზრახულია შემდეგი ფაბრიკა-ქარხნების აგება.

ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხანა

ამ ქარხნის პროექტი დამტკიცებულია საგეგმო კომისიის მიერ. ქარხნის შენობა დაჯდება 1.900.000 მანეთი. იქ იმუშავებს 530 კაცი. ქარხნის წლიური პროდუქცია ეღირება 1.750.000 მანეთი. ქარხანა დაამზადებს ავეჯს, სააღმშენებლო მოწყობილობებს, პარკეტს; სკებს; ბურბუშელას (საბვევი მასალა) და სხვა. ქარხნის აგება იწარმოებს ნაწილობრივათ და დასრულდება 1929 წლის 1 ოქტომბრისათვის.

ლუდის ახალი ქარხანა

ამ ქარხნის პროექტის დამუშავება დამთავრდება ამ დღეებში. პროექტს ამუშავებს მოსკოველი სპეციალისტი ინჟენერი **მიროშენკო.** ქარხანა დაჯდება დაახლოვებით 750—800.000 მანეთი; წლიურად დაამზადებს 300.000 ვედრო ლუდს. ქარხანაში მუდმივ იმუშავებს 60 კაცი. ქარხნის შენობა დამთავრდება 27—28 საოპერაციო წელში.

ყველის და კარაქის ქარხანა სოფ. კუშჩაში (ზემო წალკა)

ქარხანა დაჯდება 170.000 მან. წლიურად დაამუშავებს 50.000 ფუთ რძეს. აშენება დასრულდება 27—28 საოპერაციო წელში.

მექანიკური ქარხანა

გელათის გრანიტისგან დაამზადებს ქუჩის მოსაკირწყლავ კუბიკებს. ამ ქარხანას თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილება აშენებს ქუთაისის აღმასკომთან შეთანხმებით. ქარხანა დაჯდება 240.000 მანეთი. წლიურად დაამზადებს 2.000.000 ცალ კუბიკს. შენობა დამთავრდება 27—28 საოპერაციო წელში

ასეთი ქარხანა არსებობს ონეგის ტბაზე და ემსახურება ლენინგრადს და მოსკოვს. ამ ქარხნის დასათვალიერებლად და წარმოების შესასწავლად მივლინებულია ინჟენერი **ქვლივიძე,** რომელსაც დავალებული აქვს აგრეთვე ჩვენებურ სხვადასხვა ჯიშის ქვების გაზიდვა ონეგის ქარხანაში.

მექანიკური ქარხანა

რომელშიაც დამზადდება სოღანლუღის საამშენებლო (სახრკვილის) ქვა თბილისის საჭიროებისათვის. ქარხანა დაჯდება—60.000 მან. დამთავრდება 27—28 წელს.

მექანიკური ქარხანა

დაამზადებს სილას და საშენებელ ქვას. ქარხანა დაჯდება 40.000 მანეთი. დამთავრდება 27—28 წელს.

საუტილიზაციო ქარხანა

თბილისის სასაკლაოსთან. ქარხანა დაამუშავებს ძვლებს; სისხლს და ცხოველების ნაშთს. ქარხანა დაჯდება 100.150 ათასი მანეთი. დამთავრდება 27—28 წელს.

„თემქის“ არსებული ქარხნების გაფართოება

რეკონსტრუქცია - გაფართოება დაჯდება 150.000 მან. დამთავრდება 27—28 წელს.

აგურის ქარხნების

რეკონსტრუქცია დაჯდება 150.000 მან. დამთავრდება 27—28 წელს.

პური ამიერ-კავკასიისათვის

ამიერ-კავკასია სავსებით უზრუნველყოფილია პურით. — ამ დღეებში მიღებული იქნება 500.000 ფ. ფქვილი. — განზრახულია ფასების დაკლება გამომცხვარ პურზე

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარ ამხ. ბეკზადიანთან ა.-კავკასიის მომარაგების შესახებ პურით. **ამხ. ბეკზადიანმა** ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— პურის მომარაგების მხრივ ა.-კავკასია მუდამ დამოკიდებული იყო ჩრდილოეთ - კავკასიისაგან, საიდანაც ჩვენ შემოგვაქვს პურის საკმაო რაოდენობა. ამ რამოდენიმე კვირის წინად ჩრდილოეთ- კავკასიაში სხვადასხვა მიზეზების გამო, ძლიერ დაბრკოლდა პურის დამზადების საქმე, რამაც ერთგვარად გაართულა ა.-კავკასიისათვის პურის შემოტანა. ამან კი მოქალაქეებში შექმნა ტენდენცია, „კრიზისის“ მოლოდინში დაეგროვებიათ და შეენახათ პურის მარაგი.

არსებითად კი არავითარი საფრთხე პურის ნაკლებობის მხრივ ა.-კ. რესპუბლიკებს და განსაკუთრებით მსხვილ საწარმოო ცენტრებს და დიდ ქალაქებს არ მოელით. ამჟამად უკვე გზაში არის და ამ რამოდენიმე დღეში მივიღებთ ნახევარ მილიონ ფუთ პურს. სწარმოებს პურის საკმაო მარაგის დამზადება და ჩვენ სავსებით უზრუნველყოფილი ვიქნებით პურის კრიზისისაგან.

გარდა ამისა, ადგილობრივი პურის ბაზარიც წელს დიდ იმედებს იძლევა და ჩვენ შეგვიძლია დავსვათ საკითხი პურის შემდგომი გაიაფების შესახებ. ჩვენ განზრახვა გვაქვს დავუკლოთ ფასებს გამომცხვარ პურზე, რაც გავლენას მოახდენს პურის გამყიდველთა კერძო ბაზარზე.

ვაჭრობა სპარსეთთან

თეირანიდან თბილისში დაბრუნდა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული სპარსეთში, **ამხ. გარიბოვი,** რომელმაც სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა სპარსეთში გახსნა სავაჭრო განყოფილება, რომლის მოღვაწეობაც ვრცელდება უმთავრესად სპარსეთის ჩრდილო - დასავლეთის ნაწილზე ანუ სპარსეთის აზერბეიჯანზე და არდებილ - ასტარინის რაიონზე. განყოფილების მუშაობა მიმდინარეობს უმთავრესად შემდეგ პუნქტებში: მარაგეში. ურმიაში, მაკუში, ათელიარში, არდებილში, სოუჯ-ბულაღში, ხოეში და სხვაგან. ჩვენს ამოცანას შეადგენს უმთავრესად საექსპორტო - საიმპორტო ხასიათის გარიგებების დადება.

სპარსეთში უმთავრესად გვაქვს საექსპორტო საქონელი, შემოგვაქვს უმთავრესად სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულობა. ჩვენ აგრეთვე ვაწარმოებთ ადგილობრივ ხილეულის ნაწარმოებთა საქარხნო წესით დამზადების ცდებს. წელს უკვე ჩვენს მაგალითს მიბაძეს თვით სპარსელმა მწარმოებლებმა და ისინიც შეუდგენ საექსპორტო ხმელი ხილეულობის დამზადებას სპეციალურ ქარხნებში. ამის გამო მოსალოდნელი არის, რომ მომავალი წლიდან სპარსეთის ექსპორტი შესამჩნევად გაიზარდოს, ვინაიდან ძველი წესით დამზადებული ხმელი ხილი ვერ საღდებოდა ბაზარზე, ხოლო ახალი წესით დამზადებულზე კი თითქმის ყველა ქვეყნებში მოთხოვნილებამ იმატა.

საკონკურენციო საქონელს სპარსეთის ბაზარზე შეადგენენ: მანუფაქტურა, ბენზინი და სხვადასხვა ტეხნიკური ზეთები. ჩვენი სავაჭრო ურთიერთობა სპარსეთთან ყოველწლიურად იზრდება და არის ტენდენცია, რომ ჩვენი საქონელი უახლოეს მომავალში სპარსეთის ბაზარზე დაიჭერს ერთ პირველ ადგილთაგანს.

ჩვენს წარმომადგენლობაში მოსული ცნობებით, შეიძლება ითქვას, რომ სპარსეთის, როგორც წვრილი, ისე მსხვილი სავაჭრო ორგანიზაციები. კმაყოფილი არიან საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობების საქმიანობით.

იმ-დს

ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია თბილისში

ზაჰესში

გუშინწინ ამერიკელ სტუდენტების დელეგაცია სრული შემადგენლობით პროლეტარულ სტუდენტობის წარმომადგენლობის თანხლებით გაემგზავრენ ზემო-ავჭალაში ჰიდროელსადგურის დასათვალიერებლად.

ნაშუადღევს 4 საათზე ამერიკელი სტუმრები უკვე იყვნენ ზაჰესში. დელეგაცია პირდაპირ გაეშურა ზაჰესის სათავისაკენ,—სადაც მათ დაკვირვებით დაათვალიერეს სათავის ნაგებობანი, საგუბარი, განათხარი, საწნევი აუზი და ზაჰესის ტბა.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამერიკელ სტუმრებზე საგუბარზე გადმოშვებულმა წყალვარდნილმა. უცხოელი სტუდენტები დაინტერესდენ ზაჰესის ისტორიით, მისი ძალოვნებით, ზაჰესის ენერგიის გამოყენებით და სხვ.

გამყოლებმა სტუდენტებს გააცნეს ზაჰესის შენების ისტორია, მისი დანიშნულება და ღირებულება. უცხოელმა სტუდენტებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ცნობა, რომ ზაჰესი არის პირველი სადგური, რომლითაც საფუძველი ეყრება საქართველოს ელექტროფიკაციას.

ზაჰესიდან დაბრუნებისას პროფ. **ლერმანმა** გამოსთქვა თავისი აზრი ზაჰესის შესახებ,—მისი დასკვნით ზაჰესი წარმოადგენს დიდი ცოდნით, დაკვირვებით და გულმოდგინეობით აგებულ ელექტროსადგურს.

უცხოელ სტუდენტების აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, როცა შეღამდა და ზაჰესის პატარა ქალაქი, ლამაზი ტბა და მქუხარე წყალვარდნილი ელექტრო-ცეცხლის სინათლეში გაეხვია.

დაახლოვებით საღამოს 8 საათზე დელეგაცია გამობრუნდა უკანვე თბილისში.

ბანკეტი

იმავე საღამოს გაიმართა უცხოელ სტუმრების და ჩვენი სტუდენტების წარმომადგენლობის ამხანაგური ბანკეტი.

ორივე მხრიდან წარმოითქვა მრავალი მნიშვნელოვანი სიტყვა. ამერიკელი სტუდენტები აღნიშნავდენ საბჭოთა კავშირის მოზარდ თაობის მაღალ თვისებებს,—მის აქტიურ მონაწილეობას ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მის ბრძოლას ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის მისწრაფებას მთელი ქვეყნის ახალგაზრდობასთან პროლეტარული სოლიდარობის დასამყარებლად და სხვ.

ილაპარაკა პროფ. **ლერმანმაც,** რომელმაც სხვათა შორის სთქვა: საბჭოთა ახალგაზრდობის ასეთი ამხანაგური სტუმართმოყვარეობა, მის მიერ უცხოელ სტუმრების ასეთი გულთბილი მიღება [illegible] იმისა, რომ ახლო მომავალში მთელი ქვეყნის მშრომელ ახალგაზრდებს შორის შეიქმნება სრული სოლიდარობა; შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ გავხდებით მოწმე [illegible] შექმნისა, რომელიც გაჰყვება საბჭოთა სტუდენტობის ხელოვან ტრადიციებს.

პროფ. ლერმანის სიტყვა დაიფარა სტუდენტების აღტაცებული შეძახებით: გაუმარჯოს მთელი ქვეყნის სტუდენტთა ერთობას.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს თბილისის სტუდენტების წარმომადგენლებმაც, რომლებმაც უცხოელ სტუმრებს უსურვეს ბრძოლის და შრომის წყურვილი მთელი ქვეყნის მშრომელთა საუკეთესო მომავლისათვის“.

ამით დამთავრდა უცხოელ სტუმრების პირველი დღე თბილისში.

ქალაქის დათვალიერება

გუშინ დილით დელეგაცია შეუდგა ქალაქის დათვალიერებას. ინახულეს ძველი ქალაქი,—თათრების მოედანი აბანოებით და მუსულმანური მეჩეთებით, ნარიყალას ციხე-სიმაგრეები, მეტეხის ხიდი;—ახალგაზრდები დაინტერესდენ ძველი ქართული ხუროთ-მოძღვრებით, ძველი ქალაქის ქუჩების და მოედნების თავისებურებით. ქალაქის ძველი უბნიდან დელეგაცია გაეშურა ბოტანიკურ ბაღში, სადაც დარჩენ დიდ ხანს და ყურადღებით დაათვალიერეს ბაღის მცენარეულობა.

კოჯორში

საღამოს ნასადილევს გაემგზავრენ კოჯორში,—გაეცნენ ბავშთა კოლონიების და სხვა საბავშო დაწესებულებების ცხოვრებას.

დაბრუნებისას დელეგაცია ეწვია ფუნიკულიორს. ზაჰესის სინათლეში გახვეულმა ქალაქმა უცხოელი სტუდენტები აღტაცებაში მოიყვანა.

საღამო ახალ მუშათა კლუბში

დასასრულ სტუმრების საპატივსაცემოდ ახალ მუშათა კლუბში გაიმართა კონცერტი ქართული და ევროპიული სიმღერებით.

—:—

დღეს დილით დელეგაცია მიემგზავრება ბორჯომის ხეობაში, სადაც იგი გაეცნობა საკურორტო დაწესებულებებს და დასასვენებელ სახლებს.

—:—

ამერიკელ სტუდენტ-ქალების ჩამოსვლა

გუშინ ამერიკელ სტუდენტთა დელეგაციას მოემატა კიდევ სამი ამერიკელი სტუდენტი ქალი.

ოსმალეთის სარკინიგზო კომისიის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან ბათომით ოსმალეთში გაემგზავრა ოსმალეთის მთავრობის სარკინიგზო კომისია, რომელშიდაც შედიან ოსმალეთის რკინისგზების დეპარტამენტის უფროსი **აბდულბეი** და დეპარტამენტის ინსპექტორი ნორიტიმ-ბეი.

გამგზავრების წინ აბდულ-ბეიმ პრესის თანამშრომლებს განუცხადა, რომ კომისია დიდათ კმაყოფილია ამიერ-კავკასიის დათვალიერებით. „ამიერკავკასიის რკინისგზების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ თქვენგანო“,—განაცხადა მან.

ზაჰესის შემოწმება

გუშინ დილიდანვე ზაჰესის შესამოწმებლად და მისაღებად ჩამოსული სპეციალისტთა კომისია შეუდგა მუშაობას. კომისიის თავმჯდომარე პროფ. **სუშკინის** ხელმძღვანელობით კომისია ზაჰესის სააშენებლო კომიტეტში მთელი დღის განმავლობაში ეცნობოდა ზაჰესის ნაგებობათა ნახაზებს. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს ლენინგრადის ტეხნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი **ვოლოგდინი,** და **პრეისმანი,** რომლებიც თბილისში ჩამოვიდენ გუშინ. კომისიამ უკვე დაამთავრა ნახაზობათა შემოწმება და დღეს გაემგზავრება ზემო ავჭალაში ზაჰესის ნაგებობათა გასასინჯათ. ყოველმხრივ და დაწვრილებით გასინჯული იქნება ყველა აგრეგატები და დადგმულობანი.

შემოწმების დამთავრების შემდეგ შედგენილი იქნება აქტი ზაჰესის ნაგებობათა მდგომარეობის შესახებ. კომისიის მუშაობა გაგრძელდება დაახლოვებით ორ კვირას.

სოფლის კავშირი

ინსტრუქტორთა თათბირი

17 აგვისტოსთვის მოწვეულია „სოფლის კავშირი“-ს და მასში შემავალ ორგანიზაციების ინსტრუქტორთა თათბირი. თათბირის დღის წესრიგი შემდეგია: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ინსტრუქტორის მუშაობის მეთოდები „სოფლის კავშირი“-ს სისტემაში, 3) სას.-სამ. კოოპერატიულ ინსტრუქტაჟის და სას.-სამ. კრედიტის ინსპექციის დამოკიდებულება, 4) „სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო განყოფილების დებულების განხილვა და დამტკიცება, 5) სას.-სამ. საკამხანაგობების რევიზიის მეთოდები, 6) მომავალი მუშაობის გეგმის განხილვა და დამტკიცება და მიმდინარე საკითხები.

ახალი ხელშეკრულება

სრულიად რუსეთის მესაქონლეთა კოოპერატიულმა კავშირმა ხელშეკრულება დასდო „სოფლის კავშირთან“ შემოდგომის მატყლის დამზადების შესახებ. ამ ხელშეკრულების თანახმად „სოფლის კავშირი“ შეუდგა სამზადისს. მატყლს დაამზადებენ მეცხვარეთა საზ. „მწყემსი“, „ბორლიკი“ და „თერგის ხევი“.

სესხის განაწილება

სოფლის კავშირმა განაწილა გრძელვადიანი სესხი შემდეგ ამხანაგობებს შორის: ამაღლების სას.-სამ. საკ. ამ-ბას—2.000 მან., ვანის—2,000 მან.; დიდი ჯიხაიშის—2.000 მ., გორა ზეინდარის—2.000 მან.; წალენჯიხის—1,900 მან.; ტობანიერის—1.000 მან., დარჩელის—1,000 მან.; კოკის—1.000 მან.; „გლეხის ოჯახს“ (გომის რაიონის ამხ-ბა)—4.000 მან. და თელავის მევენახეთა ამხ-ბა „ახალ კახეთს“—1.000 მან.. აღნიშნულ სესხს ამხ-ბები მიიღებენ კოოპერატიულ ბანკიდან, როდესაც სოფლის კავშირში გადმოგზავნიან სათანადო საბუთებს.

„თერგის ხევი“-ს წლიური ყრილობა

დღეს 3 აგვისტოს სოფ. გუდაურში (დუშეთის მაზრა) შესდგება მეცხვარეთა ამხანაგობა „თერგის ხევი“-ს წევრ-მეცხვარეთა წლიური ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლათ მივლინებულია „სოფლის კავშირი“-ს პასუხისმგებელი წარმომადგენლები.

მეურნეობის აღდგენა

ეკონომიურმა საბჭომ დამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ა. წ. მაისის სახალხო მეურნეობის კონიუნქტურული მიმოხილვა და მეურნეობის აღორძინების მიზნით საჭიროთ სცნო შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

1. ბამბის ნათესების არეს შემცირებასთან დაკავშირებით, დაევალოს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შესაფერისი მოხსენება და ღონისძიებანი მომავლისთვის ბამბის ფართობის შემცირების თავიდან აცდენის მიზნით. საკითხი დამუშავებულ და შესწავლილ იქმნას დაინტერესებულ უწყებებთან ერთად.

2. ბაზარზე შემჩნეულ შაბიამანის ნაკლებობასთან დაკავშირებით, დაევალოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს საქართველოში მიიღოს ზომები ბაზრის მოსამარაგებლად. დაეკისროს მასვე ერთი კვირის განმავლობაში გამოიკვლიოს, თუ რა მიზეზით მოხდა წელს განაწილებული შაბიამანის კერძო პირების ხელში გადასვლა და გადამალვა. მოხსენება წარმოდგენილ იქნეს ეკონომიურ საბჭოში.

ნავთსადგურის მოწყობა

სოხუმში

თბილისიდან სოხუმში გაემგზავრა ამიერკავკასიის ნავთსადგურთა განყოფილების უფროსი ამხ. **სპრინკველი.** მისი გამგზავრება დაკავშირებულია სოხუმში ნავთსაყუდის აგების საკითხთან; ამას გარდა მისი მონაწილეობით იქნება ოჩემჩირეში ნავსადგურის აგების საკითხი.

სოხუმის ნავთსაყუდის აგების პროექტი დამტკიცებულია საზღვაო ტრანსპორტის ცენტრალურ სამმართველოს მიერ. ნავთსაყუდის აგებას უახლოეს ხანში შეუდგებიან მისი მოწყობა უნდა დამთავრდეს 1928 წლის განმავლობაში. გამოკვლევითი მუშაობა ოჩემჩირის ნავთსადგურის ასაგებად მალე დამთავრდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, თუ სად იქნება აგებული ნავთსადგური ტყვარჩელის ქვა-ნახშირის რაიონისათვის—ოჩემჩირეში, ფოთში თუ სოხუმში. საბოლოოდ ამ საკითხს გადასწყვეტს საზღვაო ტრანსპორტის უმაღლესი ტეხნიკური საბჭო.

სახკომსაბჭოში

გზის გაყვანა მთა-თუშეთში

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო წინადადება მიეცეს თელავის სამაზრო აღმასკომს წარმოადგინოს მოხსენება და ხარჯთაღრიცხვა მთა-თუშეთში გასაყვანი გზის შესახებ.

მორების გაცემა სკოლის საჭიროებისათვის

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მისცეს წნუნკურის თემს (ქუთაისის მაზრა) მორები საჭირო რაოდ[illegible]ობით სკოლის საჭიროებისათვის.

ჯანსახკომის ამხ. გ. კუჭაიძის შვებულებაში გამგზავრება

ჯანსახკომს—ამხ. გ. კუჭაიძეს მიეცა ორი თვის შვებულება ა. წ. ივლისის 25-დან.

ამხანაგობა „ქართული „წიგნი“-ს შუამდგომლობა

სახკომსაბჭომ დააკმაყოფილა საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“-ს შუამდგომლობა ამხანაგობის პაიების რეალიზაციის ვადის 1927 წ. ოქტომბრის პირველამდე გაგრძელების შესახებ.

ამხ. ნ. ბახტაძის შვებულებაში გამგზავრება

წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. ნ. ბახტაძეს მიეცა 1 თვის შვებულება ა. წ. ივლისის 25-დან. მისი მოვალეობის შესრულება დაევალა ინჟ. პ. მამრაძეს.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი

ს. ს. რ. ცაკიან ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ჩამტარებელ კომისიის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა 10.000 მან. რაოდენობით

არგვეთის მამული გადაცემა შორაპანის აღმასკომის გამგებლობაში

მიწსახკომის მოხსენების თანახმად არგვეთის მამული (9 დეს.). გადაეცა შორაპანის სამაზრო აღმასკომს, მიწსახკომის სახ. მამულების ტრესტს უფლება ეძლევა ისარგებლოს აღნიშნულ მამულის სარდაფებით.

გურიის ნავთი

გურიის ნავთის ჭაბურღილის სამუშაოზე ამჟამად ირიცხება 50 კაცი, რომლებიც მუშაობას ეწევიან სამ ჯგუფად. მუშაობა სწარმოებს კვირა-დასასვენებელ დღეებშიაც.

ჭაბურღილის სიგრძე უდრის 77 საჟენს და ყოველ დღე-ღამის განმავლობაში მატულობს თითო საჟენს. უკვე ამოღებული იქნა მაზუთისებური სითხე. წინასწარი გამოკვლევით ამ ადგილებში ნავთის დიდი მარაგია და ნავთის შადრევნების ამოსახეთქათ დიდი თხრა არ იქნება საჭირო.

ჭაბურღილის სამუშაოზე მოწყობილია მუშათა საცხოვრებელი ზიხები. ამ დღეებში სხვა ნავთიან ადგილას დაიდგმება მეორე ჭის მბურღველი.

ომფარეთის ჭაბურღილის 81 საჟ. სიღრმეზე დაიწყო ნავთის გაზების ამოსვლა, რომელიც ნავთის ფენებისაკენ მიახლოებას ამტკიცებს. ამის გამო ამ დღეებში დაიწყო ცემენტის დაგება ჭაბურღილის მთელ სიღრმეში. ნავთის ფენა შესაძლოა აღმოჩნდეს 120—140 საჟენის სიღრმეზე.

ჩაი

ჩაის მოკრეფის რეკორდი

მიმდინარე წელში ოზურგეთის ჩაის ფაბრიკის პლანტაციებზე შემოღებულ იქნა ჩაის ბუჩქების რაციონალური მოვლის თანამედროვე მეცნიერული მეთოდები, რის შედეგად მწვანე ჩაის ბუჩქიდან მიღებულ იქნა 5.000 გირვანქამდე ჩაი დესიატინაზე. აგრონომიული პუნქტების პლანტაციები იძლევიან არა უმეტეს 3.000 გირვანქისა დესიატინაზე. ჩაქვის პლანტაციების მხოლოდ ერთ ნაწილში შეგროვილ იქნა 4.000 გირვ. ჩაი დესიატინაზე. დღემდე ეს ციფრი სარეკორდოდ ითვლებოდა მთელი შავი ზღვის სანაპიროებზე. „საქართველოს ჩაის“ პლანტაციებში მიღწეული შედეგები არაჩვეულებრივია.

ბავშთა ახალშენები

საქართველოს აგარაკებზე ბავშთა ახალშენების მოწყობა ახალი საქმეა. მიმდინარე წლამდე ერთად-ერთი კოჯორის აგარაკი იყო, სადაც საზაფხულოდ იგზავნებოდენ საბავშო სახლებში.

მიმდინარე წლიდან საბავშვო ახალშენებს საფუძველი ჩაეყარა სხვა აგარაკებზედაც.

ამ მხრივ დიდი ენერგია და თაოსნობა გამოიჩინა რკინის გზის დამზღვევ სალარომ, რომელმაც რკინისგზელთა ბავშვებისათვის მიმდინარე წელს სურამში მოაწყო ორი საგარაკო ახალშენი—ერთი საქართველოს რკინის გზაზე მომუშავე რკინისგზელებისათვის და მეორე სომხეთის ხაზზე მომუშავეებისათვის.

საბავშვო ახალშენის მოსათავსებლად შეძენილია ქვის დიდი შენობა, რომელსაც წინასწარ კაპიტალური რემონტი გაუკეთდა. ამჟამად ახალშენში მოთავსებულია 65 ბავშვი; მთელი სეზონის განმავლობაში სურამის ახალშენი გაატარებს 200 მეტს მოზარდს. იმავე დამზღვევ სალაროს მიერ შეველინში (აზერბეიჯანი) მოწყობილია საბავშო ახალშენი, რომელიც განსხვავდება სურამის საბავშვო ახალშენიდან იმით, რომ აქ შემოღებულია ბავშვების ზღვის, მზის, ქვიშის ვანებით მკურნალობა.

შეველინის ახალშენში იმყოფება 50 მოზარდი. სეზონის განმავლობაში ახალშენს გაივლის 120 ახალგაზრდა.

მიმდინარე წელს აჭარისტ. უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოებამ საბავშვო ახალშენი მოაწყო ქობულეთში, სადაც ბავშვები დარჩებიან მთელი ზაფხულის განმავლობაში.

რეჟიმი ყველა საბავშვო ახალშენებში— სანატორიულია.

სურებ-ჩოხატაურის გზა

სურებ - ჩოხატაურის გზის გასაყვანად შემომაქვს 10 (ათი) მანეთი.

სერგო მდივანი.

—:—

თანახმად მელიტონ ივ. რამიშვილის გამოწვევისა სურებ - ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ შემომაქვს **ხუთი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **გიორგი კობიძეს, ივანე გრიგოლის ძე ხაჩატუროვს, გრიშა გერასიმეს ძე რამიშვილს** (თბილისი) **გრიშა მყავანაძეს** (ქუთაისი), **თეოფილე ესეს ძე რამიშვილს** (ბათომი, მწვანე კონცხი), **მიშა ივლიანეს ძე რამიშვილს** (ლენინაკანი).

ვანო გ. რამიშვილი

—:—

თანახმად ამხ. ლოლა ბიბინეიშვილის გამოწვევისა **შეგვაქვს ორი მანეთი** სურებ - ჩოხატაურის გზის ფონდისათვის და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: **ვახტანგ და კაკო ელევთერიძეს და პუპუ სილოვანის ძე კიკვაძეებს.**

ძმები **სიმონ და გიორგი მაჭურის ძე კიკვაძეები.**

—:—

სურებ - ჩოხატაურის გზის გასაყვანად შემოგვაქვს ჩვენი წვლილი **ექვსი მან.**

სილ. და მარგარიტა თავართქილაძეები.

—:—

თ. ბარამიძის გამოწვევით შემომაქვს სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანად **ხუთი (5) მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ანთიძე ვასილი** (ტრანსპ. კავშირ.), **ჩიხლაძე ვანო** („ზაკპოგრუზი" საქ. ხაზი), **ნუცუბიძე ევგენი, დოლიძე ტიტიკო** (საგზაო კომიტეტი), **ძაგანია მიშა** (მუშკოოპი), **სულავა კირილე, რაზმაძე ბესარ., ვაშაკიძე ლევან; კანდელაკი ლევან; გვარამაძე ლევან** („უქკპროფსოჟი"), **ლაშქარეიშვილი ვასო** (დამზღვევი სალარო თბ. უბანი), **ბაქანიძე აკაკი, ხუციშვილი საბ., თავართქილაძე თამარა, სალუქვაძე სიმონ; ცხომელიძე სიმონ, შავიშვილი ტოგო, აფხაზავა გიორგი** (უქს-ი).

ერმილე კალანდაძე.

—:—

სურებ - ჩოხატაურის გზის ფონდში ამხ. ვ. ბარამიძის გამოწვევით შემომაქვს **ათი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ქ. გორიდან — **ან. კალანდაძეს, კ. ხარაბაძეს, იპ. დოლიძეს, ი. მათაიშვილს და შ. ლომთათიძეს.**

ტ. გურგენიძე.

—:—

თანახმად ამხ. ალფესი გაგუას გამოწვევისა სურებ - ჩოხატაურის გზის სასარგებლოდ შემომაქვს **ხუთი მან.** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს თბილისიდან: **მიშა ჩხეიძეს; ლეონტი ელიავას; იაგორ ნიკ. გიორგაძეს; სევერიან ღოღობერიძეს; გერმანე გიორგაძეს; შალიკო ილიკოს ძე მგალობლიშვილს; ნინა ხუჭუას ასულს თოდრიას;** ჩოხატაურიდან — **ამროსი ზაქარეიშვილს; მიხაკო შარაშიძეს;** ერკეთიდან: **ელენა კეკელიძეს; პამფილ ბერიძეს; ისაკი კობიძეს;** იანეულიდან — **ნიკოფო ბერიძეს; ვალოდი კალანდაძეს;** ბუკის ციხიდან — **დათიკო რობაქიძეს და ფატი შარაშიძეს.**

კატუშა თოდრია.

—:—

ოლია ბარამაძის გამოწვევით სურებ - ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **5 მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჩოხატაურიდან: **მაშო მეგრელიშვილს; აგრაფინა კეშელავას; ტატიანა კალანდაძეს; ოლია ჩხიკვიშვილს; თამარა ნანავას; ნინუცა ქავთარაძეს; თეოდორა ცინცაძეს; ანუშკა სიხარულიძეს; ლუბა ჟღენტს; ვარდო ბერიძეს; ბაბო ჰყონიას — შარაშიძის ასულს.**

სურებიდან: **ფლორენცია რამიშვილს;** ბათომიდან: **პროკოპი თევზაძეს და ონიფანტე რამიშვილს.** ქუთაისიდან: **ევგენი რამიშვილს;** თბილისიდან: **მარგარიტა თავართქილაძეს; ლოლია მეგრელიშვილს; ალექსი თევზაძეს და დომენტი თევზაძეს.**

ელპიტი რამიშვილი.

—:—

სურებ - ჩოხატაურის გზის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **ათი მანეთი** და ჩემის მხრივ ვიწვევ შემდეგ ინჟინრებს: (საქართველოს ტეხნიკურ საზ-ბიდან) **ვ. კაკაბაძეს; გ. ქურდიანს; ივ. ყიფშიძეს და გედევანიშვილს.** (გზატკეცილების სამმართველოდან) **ა. კაციტაძეს; ნ. გვარამაძეს; მ. ჯაშს;** (ამ.-კავ. რკინის გზებიდან) **გ. დ. ბერიძეს; ნ. ლეჟავას; გრ. გვერდწითელს;** (ს. მ. უ. ს.-დან) **გ. ზ: ანდრონიკაშვილს; ი. ვაწაძეს; ა. ნ. კანდელაკს; გ. ა: წულუკიძეს; ა. გ. კანდელაკს; ი. დ. ბერიძეს; ა. დევდარიანს;** (რიონჰესიდან) **ა. ჩიქოვანს; დ. ხერხეულიძეს; ა. მუსხელიშვილს და გ. ხუნდაძეს.**

ინჟ. **ზ. ა. ჭიჭინაძე.**

დიდი ნიაღვრები

მოლითის თემი

(შორაპნის მაზრა)

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

პირველ აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზე მოლითის თემში (შორაპნის მაზრა) მოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც თითქმის სრულიად გაანადგურა ნათესები; სწრაფად ადიდებულმა ღელეებმა ყაიღეს ხიდები, წარეცხეს გზები, დაანგრიეს წისქვილები. დაიღრჩო ბევრი წვრილფეხა საქონელი და ფრინველი.

განსაკუთრებით დაზარალდენ სოფლები: ჩრდილი, ნუნისი, პატარა ხარაგოული, ზვარე გულათუბანი და წიფა. დაიხგრა მოლითის ხიდი და რამდენიმე დუქანი.

ზარალი დიდია.

კ. გუდაძე.

რკინის გზებზე

ძირულა-ხარაგოულის ხაზზე

როგორც ა. კ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულ დაწვრილებით ცნობებიდან სჩანს, 1 აგვისტოს ნაშუადღევს პირველ საათზე და 40 წუთზე ძირულა ხარაგოულის შუა მოსულმა ძლიერმა წვიმამ მე-187 კილომეტრზე გაანგრია წყლისაგან დასაცავი ქვის კედელი და გზა დააზიანა 60 საჟენის მანძილზე.

ამ ადგილას გაკეთებულ იქნა დროებითი ხიდი მგზავრების გადასაყვანად, მაგრამ იგი გამოუსადეგარი აღმოჩნდა ბარგების და ფოსტის გადასატანად.

მგზავრები, რომლებიც მოდიოდენ თბილისში ბათომის მხრიდან მატ. № 8-თ, გადასვეს თბილისიდან ჩასულ მატ. № 4-ში, რომლითაც ჩამოვიდენ თბილისში.

გუშინ დილას შეუდგენ მატ. № 13-ს მგზავრების მე-14 №-ში და მატ. № 9-დან—მეათე №-ში გადასმას.

—ქუთაისის მატ. № 15, ბათომის № 5 და თბილისის—№ 16 და 6 პირველ აგვისტოს არ გასულა.

გზის აღდგენაზე მუშაობდენ სალიანდაგო დარგის მუშები და მესანგრე ჯარის კაცები.

დაზიანებული ხაზი აღდგენილ იქნა და პირდაპირი მიმოსვლა გაიხსნა გუშინ ნაშუადღევს. მატარებლები წავიდენ დაგვიანებით.

შემთხვევის ადგილზე თბილისიდან 1 აგვისტოს საღამოს გაემგზავრა სალიანდაგო დარგის უფროსი ინჟ. ლეჟავა, რომელიც ხელმძღვანელობდა მუშაობას.

ჩრდილოეთ-კავკასიის გზაზე

ა. კ. რკინის გზის სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ პირველ აგვისტოს, ძლიერი წვიმების გამო ჩრდილოეთ-კავკასიის რკინის გზაზე სადგ. კავკასიისა და გირეთს შუა გაფუჭდა ხაზი

გზაზე ამის გამო მოძრაობა შესწყდა.

რკინისგზებზე

ბალაჯარის კვანძის ელექტროფიკაცია

ა. კ. რკინის გზის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი ბალაჯარის კვანძის ელექტროფიკაციის შესახებ.

ამ საქმისათვის საჭიროა სულ 67.000 მანეთი. ამ თანხაში არ შედის იქ ასაშენებლად გათვალისწინებულ სიცივეებლების და სავაგონო სახელოსნოების ელექტროფიკაციისათვის საჭირო თანხები.

ამჟამად განზრახულია ელსადგურის გამოცვლა, ელექტრონით განათების შემოღება და დეპოს, ნავთსადენის და წყალსადენის ელექტროფიკაცია.

მუშაობა იწარმოებს 1927—28 და 28—29 წლებში.

მუშაობის დაწყებისათვის გადადებულია—17.000 მან.

ბალაჯარაში ენერგიას მიიღებენ ბაქოდან.

დაჯახება

2 აგვისტოს სადგ. ლენინაკანში, დეპოდან გამოსვლის დროს, ორთქლმავალი დაეჯახა საკლასო ვაგონს.

დაზიანდა საკლასო ვაგონი და ორთქლმავლის უკანა ნაწილი.

სწარმოებს მიზეზების და დამნაშავეთა კვლევა-ძიება.

საგზაო მშენებლობა

ამ ზაფხულზე საქართველოს ყველა კუთხეებში მიმდინარეობს გაცხოველებული საგზაო მშენებლობა. გზის გასაყვანს სამუშაოებზე მოსახლეობა გამოწვეულია შრომის ბეგარის წესით, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა. ამჟამად იმ რაიონებში, სადაც მორიგი საზაფხულო მუშაობა მიმდინარეობს (პურის, მკა, ლეწვა, და სხვა) საგზაო მუშაობა დროებით შეჩერებულია. სხვათა შორის მუშაობა შეწყდა სამხრეთ-ოსეთის სხვადასხვა რაიონებში, სადაც მიმდინარე წლის გაზაფხულიდან, ვიდრე შუა ივლისამდე შეკეთებულ იქნა მრავალი მეორე ხარისხოვანი საურმე გზები ამჟამად უკვე დამთავრებულია ახალი საურმე გზის გაყვანა ახალგორის და წინად მიუდგომელ მონასტრის რაიონის შორის. სანახევროდ დამთავრებულია გუფთა-კუდარას გზა, რომელიც მდ. პაწას ხეობას მიუყვება და ცენტრს უერთებს სამს დაშორებულ მთიან რაიონს. შრომის ბეგარის წესით გაჰყავთ აგრეთვე გზა სოფელ წონიდან ზემო-იმერეთში. მიმდინარე საზაფხულო ალოს დამთავრებისთანავე საგზაო მუშაობა განახლდება ყველა რაიონებში.

სასამართლო

„კოოპერატორი" „ბოეციდან"

საქონლის მიწოდებისდა გასაღების პრობლემაზე ვინ იცის რამდენი სპეცის და არა სპეცის წერილი დაწერილა. ვინ იცის, რამდენს სწორად და რამდენს მრუდეთ გადაუჭრია ეს საკითხი. ვინ იცის, რამდენი რეზოლიუცია დაწერილა, რამდენი მოხსენება ყოფილა გაკეთებული, რამდენ ორატორს გაშრობია ხახა ამ პრობლემაზე ლაპარაკით.

მაგრამ ყველაზე „მარტივათ" ეს საკითხი გადასჭრა კოოპერატივ „ბოეც"-ის № 1 მაღაზიის ნოქარმა მოქ. ანდრია პოპოვმა.

მან უაღრესად გაამარტივა მიწოდებისა და გასაღების საქმე. „მიწოდება" თავის თავზე იკისრა, ხოლო „გასაღება" დაავალა ერთ თავის კარგ ნაცნობ ქალს სოფიო კოვალოვის ქალს. რასაკვირველია, ალებ - მიცემობა სათანადო გარიგებას, ანუ შეთანხმებას ემყარება. ასეთს შემთხვევასაც ძალიან „მარტივად" მიაღწია ანდრიამ სოფიოსთან. სოფიოს ევალებოდა მცირედი თანხის გაღება მხოლოდ იმისათვის, რომ ჩეკი „ჩაეგდო" ხელში, მოქალაქე ანდრია პოპოვი კი აღუთქვამდა მას „შესაძლებლობის ფარგლებში" საქონლის მეტი რაოდენობის გაცემას გამოწერილ ჩეკის მიუხედავად. ფული კი უნდა გაეყოთ ერთმანეთს შორის. „გარიგება" ძალაში შევიდა 1925 წლის გაზაფხულიდან.

„მუშაობა" უნდა ყოფილიყო ზედმიწევნით კონსპირატიული. პირველ ხანებშივე საქმე კარგად ვაიჩარხა.

ყველას უკვირდა მოქ. პოპოვის „მომჭირნეობა". ალაპარაკდა ხალხი: „აი, მესმის, კაცი ასე უნდა აწყობდეს ცხოვრებას! 49 მანეთი ჯამაგირი აქვს. ტანზე კარგად იცვამს, ოჯახს კარგად ინახავს, ქეიფს არ იკლებს, თეატრს და გასართობს არ გამოსტოვებს. აი „ჭკვიანი" კაცი! პირდაპირ მისაბაძი მაგალითია!

ბევრი გაკვირვებული იყო, მაგრამ ყველაფერს მაინც ანდროს ფხას და უნარს აწერდენ.

კოოპერატივის ნოქრებიც დაინტერესდენ ანდრიას კარგი ცხოვრების საიდუმლოებით, მაგრამ ვერაფერი გაიგეს გასული წლის 10 ივნისამდე.

ერთხელ ერთი ნოქარი გაკვირვებული დარჩა, რომ ვიღაცამ იყიდა პაპიროსი და პაპიროსთან ერთად 4 გირვანქა შაქარი წაიღო და წავიდა. გაკვირვება გაკვირვებათ დარჩა. პოპოვს ვერ „ჰკადრეს" გამოკითხვა.

ნოქარი მანშტეინი მაინც ვერ შეურიგდა იმ გარემოებას, რომ ერთმა ქალმა 18 კაპიკის ჩეკი გამოიწერა და კალათი გავსებული წაიღო. რა არ იყო შიგ: ბრინჯი, შაქარი, ჩაი, მაკარონი; ვერმიშელი; ჩულქები და სხვა...

ჰკადრეს „მანდილოსანს" ნავაჭრის გასინჯვა. ნოქარი გაწითლდა ყაყაჩოსავით, ქალმა სიმწრის ოფლი მოიწმინდა. ეს იყო გასული წლის 10 ივნისს.

ამ დღეს „გადა გაუვიდა" ანდრია პოპოვის „შეთანხმებას" სოფიო კოვალოვის ქალთან და ორთავე ერთი გზით გაიგზავნენ ერთსა და იმავე ადგილას—გაშსახლში.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ბერ.

—

მზითევის გამო

გიორგი სვიმონიშვილს ცოლად ჰყავდა თამარ აღნიაშვილის ასული.

ახალგაზრდა ცოლ - ქმარს შორის პირველ ხანებში კარგი განწყობილება იყო, მაგრამ ძალე მათ შორის ისეთი უკმაყოფილება ჩამოვარდა, რომ ერთმანეთს გაშორდენ.

ქალის მამამ ყოფილ სიძეს მოსთხოვა მზითევის უკან დაბრუნება, მაგრამ ეს მოთხოვნა სიძემ უყურადღებოდ დასტოვა.

ერთ დღეს ყოფილი სიმამრი ცხენით თავს დაესხა ყოფილი სიძის სვიმონიშვილის ცხვრის ფარას და მზითევის მაგიერ მოინდომა რამოდენიმე ცხვრის წაყვანა ძალით.

სვიმონიშვილმა გადმოიღო თოფი, ესროლა ყოფილ სიმამრს და მოჰკლა. მკვლელი დააპატიმრეს.

საქმის გარჩევა გუშინ დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში.

ზ.

—:—

განმარტება

ჩვენ გაზეთში ამას წინად მოთავსებული ანგარიში ს. ორაგველიძის საქმეზე არ შეეხება ს. კ. პ. (ბ) გურიის კომიტეტის აგიტ-პროპის გამგეს **ს. დიმიტრის ძე ორაგველიძეს.**

შრომის ბირჟაში

მუშა-ხელის მოთხოვნილება

დღეს 3 აგვისტოს შრომის ბირჟა სამუშაოზე გზავნის შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა პირველი სექცია. კოტე ნასყიდაშვილს; ნინო მურაშვილს მარია იზგარჩიევს, გენია დრობიშევს, ვარვარა მალარაძეს, **ხანუმა ბებერაშვილს, ივანე** მაგარიანცს, **აგასი ზაგლოევს, გიორგი ნაზაროვს,** ერვანდ მატინიანცს, ნიკოლოზ მარქაროვს, სატენიკ გალუსტიანს, **რიხა გამბურგს.**

მეშვიდე სექცია: ევგენი უოურულაძეს, დავით ძაჭაფარიანს, დავით მაღალაძეს, მარიამ მგელაძეს; ვილარეტ ამაშუკელს; ქსენია შავდიას.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექცია. ქეთო ებრალიძეს, თამარ გძელიშვილს, და კლავდია მოროდელიუს.

ქრონიკა

ქაღალდის ქარხნის აგების საკითხი

ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა, რომ ქაღალდის ქარხანა ჯვარის მაგიერ აგებული იქნება შამგონში.

ეს საკითხი გაირჩევა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

ქარხნის აგების საკითხთან დაკავშირებით, საქ. ს. მ. უ. ს: თავმჯდომარის მოადგილე ამხ: **ვ: ავაქოვი** 4 აგვისტოს მოსკოვში მიემგზავრება.

სამხრეთ - სლავიის დელეგაცია

ამ დღეებში თბილისში ჩამოვა სამხრეთ-სლავიის სტუდენტთა დელეგაცია. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია საქართველოს სტუდენტთა მდგომარეობისა და საქართველოში წარმოებულ აღმშენებლობის გაცნობა. დელეგაცია შესდგება 7 წევრისაგან.

კბილის ტეხნიკოსთა კურსები

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების მიღება იწარმოებს ა.-წ. 1—25 აგვისტომდე. კურსები მოთავსებულია სახ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკასთან (პლეხანოვის გამზირი 126) მეცადინეობა კურსებზე იწარმოებს საღამოობით.

გრეხილი ავეჯეულობა

ამჟამად საქართველოში დიდი მოთხოვნილებაა გრეხილ ავეჯეულობაზე, განსაკუთრებით ვენის სკამებზე. ცეკავშირის სავაჭრო განყოფილება შეუთანხმდა საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის ტრესტს, რომელმაც იკისრა ცეკავშირის მაღაზიების მომარაგება სკამებით. კოოპერატივებს წინადადება მიეცათ დაჩქარებით წარმოადგინონ შეკვეთები ავეჯეულობაზე. ავეჯეულობით მათი თავის დროზე მოსამარაგებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **საბინაო - საიჯარო ამხ-ბებისათვის** სახლების შეკეთების მიზნით კრედიტების მისაცემად დაარსებული იქნა სპეციალური ფონდი 65.000 მ. რაოდენობით.

◆ **კანალიზაცია.** დამთავრდა კანალიზაციის გაყვანა პეტროვსკის ქუჩაზე.

◆ **სანატორიული დახმარება.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა ჰლექიან უმწეო მოქალაქეებს აღმოუჩინოს უფასო სანატორიული დახმარება.

◆ **მიწად-მოწყობა.** თბილისის მაზრაში საგეგმო კომისიის გეგმით სავსებით დასრულდება უახლოეს 5 წლის განმავლობაში.

◆ **საბეითლო ამბულატორიები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა თბ. მაზრაში მოაწყოს ორი საბეითლო ამბულატორია.

◆ **მოძრავი სახელოსნოები.** სას.-სამ. იარაღების შესაკეთებლად აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს რამდენიმე მოძრავი სახელოსნო.

◆ **საფუტკრეები.** თბ. აღმასკომი თბილისში აწყობს ერთ ცენტრალურ საფუტკრეს, ხოლო მაზრის რამოდენიმე ადგილას საჩვენებელ საფუტკრეს.

◆ **გზები.** ამჟამად აღმასკომი აწარმოებს წალკისა და თეთრი წყაროს გზების შეკეთებას.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სანიმუშო მატყლი.** შემოდგომის და გაზაფხულის სანიმუშო მატყლის დასამზადებლად გადაიდო 1140 მანეთი.

◆ **ფილოქსერის შესასწავლად** მიწსახკომმა ოღლავის მაზრაში მიავლინა სტუდენტ - პრაქტიკანტებისა და სპეციალისტების ჯგუფი.

ჯანსახკომში

◆ **მალიარიის შესასწავლად.** ჯანსახკომმა ალაზნის რაიონში მიავლინა სამალიარიო ექსპედიცია ადგილობრივ მალიარიის გავრცელების მიზეზების შესასწავლად.

◆ **კბილის ექიმები.** ჯანსახკომმა დასავლეთ საქართველოში მიავლინა ექიმთა რაზმები მოსახლეობისათვის უფასო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

სახალხო განათლება

◆ **ოქტომბრის რევოლიუციის** 10 წლის თავის დღესასწაულის ჩასატარებლად სკოლებში, გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია.

◆ **„მასწავლებელი და თვითგანვითარება".** სახელგამი ახლო ხანში გამოსცემს წიგნს: „მასწავლებელი და თვითგანვითარება".

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **სიმინდი.** აგვისტოში ჩრდილო - კავკასიიდან შემოზიდული იქნება 150 ათასი ფუთი სიმინდი.

◆ **საამშენებლო მასალა.** თბ. ბინათ-კავშირმა მოსკოვიდან მიიღო 10 რონოდა ხე-ტყის მასალა.

სხვა და სხვა

◆ **ტუბერკულიოზის დისპანსერი** მუშაობას განაახლებს 28 აგვისტოდან.

◆ **სტუდენტთა ექსკურსია.** დღეს, 1 საათზე საბჭოთა კავშირის მთავარ საწარმოო ცენტრების დასათვალიერებლად მიემგზავრება თბ. პროლეტარულ სტუდენტთა ექსკურსია.

◆ **მედსანშრომის უმუშევართა** საერთო კრება შესდგება ს. პ. კ. ს. მცირე დარბაზში ა. წ. 3 აგვისტოს 1-ლ საათზე.

— **ახალი წიგნები.** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ **სიმონ ხუნდაძის** წიგნის—„სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში"— მეორე ტომი. წიგნი გამოცემულია სახელგამის მიერ, შეიცავს 322 გვერდს.

ხელოვნება

კონცერტებზე

(სიმფონიური კრება პიანისტ ბოგდან შხიანის მონაწილეობით)

პიანისტმა ბოგდან შხიანმა საუკეთესოდ დაასრულა თბილისის კონსერვატორია პროფესორ ტერ-სტეფანოვას კლასით; შემდეგ კი მუსიკალურ განათლების დასასრულებლად სწავლობდა მოსკოვის კონსერვატორიაში სახელგანთქმულ პროფესორ კიპის კლასში. ახალგაზრდა პიანისტი შესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს იმ პიანისტთა შორის, რომლებმაც გაათავეს თბილისის კონსერვატორია. მას ახასიათებს ბრწყინვალე ტეხნიკა, დიდი მუსიკალობა და თავდაჭერილობა ესტრადაზე. ღია ესტრადაზე ფორტეპიანოს შესრულებას არ შეუძლია სავსებით გადმოსცეს ემოციონალობა; ამიტომაც იყო, რომ ლისტის კონცერტის მეორე ნაწილი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ემოციონალურ შესრულებას, ახალგაზრდა პიანისტის შესრულებაში გამოვიდა რამდენიმედ მკრთალი. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ინსტრუმენტის ნაკლმაც.

შესრულების საუკეთესო ნაწილი და ამავე დროს ტეხნიკურად უძნელესიც, არის მესამე ნაწილი. აქ შხიანი უკვე თავის სფეროში გრძნობს თავს; მან მოგვცა სავსებით დამთავრებული შესრულება. აუდიტორიის მოთხოვნით ახალგაზრდა პიანისტმა შეასრულა ლისტის მე-2 რაპსოდია და მეფისტო-ვალსი. ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კონცერტის საორკესტრო ნაწილმა. დირიჟორმა ანატოლ კარდაშევმა ბრწყინვალედ ჩაატარა ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია.

სიმფონიის საუკეთესო ნაწილებში — პირველში და მეორეში იყო მთელი რიგი მშვენიერი ემოციონალური მომენტები და დიდი ბგერითი მუსიკალობის პერიოდები.

კარგია ფინალის რუსული თემა. სიმფონიამ მოახდინა ღრმა შთაბეჭდილება. შესრულების ასეთსავე სიმაღლეზე იდგა ლისტის პოემა „ტორკვატო ტასო". კარდაშევმა მთელ რიგ მუსიკალურ მომენტებით გაამუქა პოემის შინაარსი. განსაკუთრებით კარგია კონტრასტი ნათელ დასაწყისთა მწუხარებასა და ზეიმს შორის. საერთოდ ეს კონცერტი იყო ერთი საუკეთესოთაგანი კარდაშევის ხელმძღვანელობით.

ა. ბ.

საღამო ინვალიდთა სახლში

31 ივლისს ზუბალაშვილის სახელობის ინვალიდთა სახლში (№ 1) ინვალიდთა თაოსნობით და მათივე მონაწილეობით გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. საღამოს დაესწრენ მთავრობისა და სხვ. ორგან. წარმომადგენელნი. საღამოზე საკუთარი ლექსი წაიკითხა ინვალიდებმა გ. ლომთათიძემ, „შეშლილის" მონოლოგი შვენიერად შეასრულა ინვალიდმა ჩიგოგიძემ; განსაკუთრებით საინტერესო იყო გრმების ალ. ქეშიკაშვილის და ფეოდოროვის გამოსვლა. ორივემ საუცხოვოდ შეასრულეს როიალზე გამოჩენილი უცხოელ და ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებნი. ფეოდოროვს დასრულებული აქვს ლენინგრადის უნივერსიტეტის უსინათლოთა კონსერვატორია. საღამოში აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს ძმებმა გოგბერიძეებმა, მაროვმა და თარხნიშვილმა.

საღამოზე მონაწილეობდა ქუთაისის სატირის თეატრის „წითელი სარკის" მსახიობი აბაკელია. საღამომ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

გარეშე.

ხელოვნების ქრონიკა

მხატვარ დ. კაკაბაძის ჩამოსვლა

ამ დღეებში პარიზიდან თბილისში ჩამოვიდა მხატვარი დ. კაკაბაძე.

— **„სამ ნაძვში".** მბეჭდავთა და საბჭოთა მუშაკების კლუბში დღეს ლენინგრადის ოპერეტის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება: „სამ ნაძვში".

— **საღამო.** ტრამვაის მუშათა კლუბში 4 აგვისტოს გაიმართება საღამო-წარმოდგენა.

— **ხელოვნების მუშაკთა კავშირის** უმუშევარ წევრთათვის ამ თვის პირველ რიცხვებიდან კოჯორში გაიხსნა დასასვენებელი სახლი.

— **კომკავშირელ მწერლების საყურადღებოდ.** ა. წ. სამ სექტემბერს სრულდება ათი წელი საქართველოს ლენინურ კომკავშირის დაარსებიდან. ამ დღისათვის გამოცემული იქნება სამხატ. - სალიტერატურო ალმანახი მიძღვნილი საქ. ახ. ლ. კომკავშირისადმი: კომკავშირელ მწერალთა ბიურო სთხოვს კომკავშირელ მწერლებს არა უგვიანეს 15 აგვისტოსი გამოგზავნონ სათანადო მასალები შემდეგი მისამართით: რუსთაველის პრ. № 23 სახელგამი ამხ. ვ. ლუარსამიძეს.

დღეს კინოებში

— **დარბაზში**—„ბოროტმოქმედების დალი".
— **ფენიონში**—„უბილეთო მგზავრი".
— **აპოლოში**—„ორში ერთი".
— **ოდეონში**—„ქალი პროვინციიდან".
—**პალასში**—„ფანჯარა მესამე სართულში".

შემთხვევები

მოწამვლა ტკბილეულობით

გუშინ სახკიმმრეწვის კანტორის თანამშრომელმა წერეთლის ქალმა ნაუმენკოს საკანდიტროში (რუსთაველის პრ.) შეიძინა ნახევარი გირვანქა ტკბილეული, რომლითაც გაუმასპინძლდა თავის სამ ამხანაგს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ოთხივე თანამშრომელმა თავი ცუდათ იგრძნო. სასწრაფოდ გამოწვეულმა სანიტარულმა ექიმმა დაადასტურა მოწამვლის ფაქტი, მძიმე ფორმებში. დარჩენილი ტკბილეული გადაცემულია გამოსაკვლევათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ნაუმენკოს საკანდიტროში შეძენილი ტკბილეულით იწამლებიან.

ქიმიკოსმა **კუპცისმა,** რომელიც ჯანმრთელობის კომისარიატის სასამართლო-საექიმო ლაბორატორიას განაგებს, ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ წარსულ წელში მას ჰქონდა სამი შემთხვევა ნაუმენკოს საკანდიტროში შეძენილ ისეთ ტკბილეულობის ანალიზისა, რომლებმაც ზიანი მიაყენეს მყიდველთა ჯანმრთელობას. რამდენიმე ხნის წინათ ქიმიკოს კუპცისისათვის საანალიზაციოთ გადაუციათ იმავე საკანდიტროში შეძენილი ტორტის ნაჭერი, რომელშიც აღმოჩნდა „მარგანეცის კალიუმის" ფხვნილი, მეტად მავნებელი ნივთიერება.

გამოძიებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რით არის ყველაფერი ეს გამოწვეული.

—:—

◆ **პოკროვის სახელობის ეკლესიიდან** (ამატუნიევის ქ. 44) 1 აგვისტოს მოიპარეს 180 მანეთის ნივთები.

◆ **მკვლელობის განზრახვისათვის.** 1 აგვისტოს მარუსა ვარტაბაროვის მოკვლის განზრახვისათვის დააპატიმრეს ერვანდ ავაკიმოვი.

◆ **ხანძარი.** 1 აგვისტოს 19 თებერვლის ქ. 17 მოქ. ასატუროვის წისქვილს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი გამოურკვეველია.

◆ **კლუბის გაქურდვა.** 1 აგვისტოს გაქურდეს ხელოსანთა კლუბი, წაიღეს 200 მან. სასცენო ნივთები.

◆ **ფანჯრის მინების** ამომტვრევის საშუალებით 1 აგვისტოს გაქურდეს საბავშო შენობა.

◆ **გაუპატიურება.** სოფ. ნორიოში (მარტყოფის რაიონი) ისაკ ჭრიკიშვილი მიუვარდა თავის მეზობელის შაქრო ჭრიკიშვილის ცოლს და გააუპატიურა. დამნაშავე შეიპყრეს.

◆ **დაჭრისათვის.** აღბულაღის სამილიციო რაიონში დააპატიმრეს სანდრო და ვარეგინ ხაჩატუროვები, რომლებმაც ყანაში ჩხუბის დროს დასჭრეს ასლან ყაზარიანცი.

◆ **ყალბი ქვითარების შედგენისათვის** ბორჩალოში დააპატიმრეს არტო ქარამოვი, რომელიც ითვლებოდა ადგილობრივ ბაზარში ბაჟის ამკრეფად.

მეცნიერება და ტექნიკა

327 კილომეტრი საათში

ინგლისელმა **სეგრევმა** ათასძალიან სასპორტო ავტომობილზე, რომელიც აგებულია საავტომობილო ქარხანა „სანბიმ"-ში, დაამყარა სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი. გადარბენა მოხდა დაიტონში (ჩრდ. ამერიკა), სადაც არსებობს მსოფლიოში უდიდესი საავტომობილო ტრეკის სიგრძე — 45 კილომეტრი, განი— 150 მეტრი). რეკორდის ოფიციალურ ციფრად აღებულია სხვადასხვა მიმართულებით რამოდენიმე გადარბენის საშუალო შედეგი.



სასპორტო ავტომობილი „სანბიმ", რომელზეც სეგრევმა დაამყარა სისწრაფის მსოფლიო რეკორდი.

აქვე მოგვყავს ამ ავტომობილის სურათი. გარეგნულად იგი წარმოადგენს გადაბრუნებულ ნავს. ბორბლები დაფარულია ავტომობილის კორპუსის შიგნით, რომ ამით შესუსტებული ყოფილიყო ქარის წინააღმდეგობა.

ამ ავტომობილის პროექტის დამუშავების დროს, პირველად დამზადებული იქნა მოდელები, რომლებიც ე. წ. „ქარის გვირაბებში" ანუ აერო - დინამიურ მილებში გამოსცადეს ქარის წინააღმდეგობაზე, ახალი კონსტრუქციის აეროპლანების მსგავსათ.

ავტომობილი იწონის 2.300 კილოგრამს.

კონსტრუქტორ **კომელენის** გამოანგარიშებით ავტომობილს საათში უნდა ვანევითარებია 334 კილომეტრის სისწრაფე. ფაქტიურად კი მან ქარის მიმართულებით განავითარა 332-334 კილომეტრი საათში, ქარის წინააღმდეგ კი— 319-323 კილომეტრი. საშუალოდ ეს შეადგენს 327 კილომეტრს საათში. წამში ავტომობილი გადიოდა 100 მეტრს.

ასეთი სისწრაფის პირობებში საჭეს საშუალებით პირდაპირი მიმართულების დაცვა შეუძლებელი შეიქნა. მანქანის წაყვანას, ამ შემთხვევაში, ნაწილობრივ შველოდა წინა-ბორბლების სპეციალური მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევდა მას დაეცვა ერთხელ მიცემული მიმართულება.

სისწრაფის უკანასკნელი რეკორდი, რომელიც დამყარებულ იქნა რამოდენიმე კვირით ადრე სეგრევამდი, ეკუთვნოდა აგრეთვე ინგლისელს — **კემპბელს,** რომელმაც სასპორტო ავტომობილით „ნეპირ" (მასზე დადგმული იყო 500 ძალიანი „ნეპირ - ლაიონის" სისტემის საავიაციო ძრავი) საათში გაიარა 281 კილომეტრი.

ნარევი

60.000.000 დოლარი ერთ კინო-სურათში

წმინდა ამერიკულის ხელგაშლილობით დადგმულ იქნა ახალი სურათი, რომლის სიუჟეტი აღებულია ტრიპოლიტანელ მეკობრეებთან ბრძოლის ისტორიიდან მეთვრამეტე საუკუნეში.

კინო - რეჟისორმაკრიუზმა საჭიროდ ჩასთვალა წყნარ ოკეანეს ერთ-ერთ უდაბურ ნაპირზე მთელი ქალაქის აგება. ეს ქალაქი წარმოადგენდა მე-18 საუკუნის ტრიპოლის. ქალაქის აგებაზე მთელ რიგ თვეების განმავლობაში მუშაობდა რამოდენიმე ათასი კაცი. მოწყობილ იქნა სპეციალური ნავთსადგური გემებიდან მასალებისა და ხელსაწყოების გადმოსატვირთავად, ელექტრო-სადგური მუშებისა და მსახიობებისათვის და სხვ.

გარდა ამისა, აგებულ იქნა 15 იალქნიანი გემი და ფრეგატი „კონსტიტუცია" (ისტორიული ხომალდი, რომელიც მონაწილეობას იღებდა მეკობრეებთან ბრძოლაში). უკანასკნელი აგებულ იქნა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც რეჟისორს გადასცა სამხედრო - სამინისტრომ.

სურათს იღებდა 22 ოპერატორი, რომლებმაც სურათის გადაღების დროს დახარჯეს ერთი მილიონი მეტრი ლენტა.

რეჟისორის განკარგულებების გადაცემა სურათის გადაღებ ყველა ადგილებში ხდებოდა რადიოს საშუალებით. ბრძოლის ინსცენიროვკის დროს დახარჯეს 7.000 გირვანქა თოფის წამალი და 10 კასრა მელინიტი. აგებული ხომალდები აფეთქეს და ჩასძირეს.

სურათის გადაღების დროს ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. რამდენიმე სტატისტი დაიღრჩა. ფართედ დაყენებული საექიმო დახმარება ვერ გასწვდა საქმეს.

60 მილიონი დოლარი დაიხარჯა ამ სურათის გადაღებაზე, რომელმაც რამდენიმე კაცის სიცოცხლე შეიწირა.

ახალი ცნობები ატლანტიდას შესახებ

გერმანელი მეცნიერი **შულტენი** ახალ განმარტებას აძლევს მოთხრობას ატლანტიდის შესახებ. მისი აზრით, ატლანტიდის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სახელმწიფო **ტარტეოს,** რომელიც არსებობდა იმ ადგილას, სადაც ახლა ესპანეთის ნაპირებია და რომლის გავლენა ვრცელდებოდა მთელ ახლანდელ პირინეის ნახევარ კუნძულზე. ტარტეოსის სატახტო ქალაქი მდებარეობდა იქ, სადაც ახლა გვადალკვივირი ერთვის ოკეანეს, ამ მატერიკიდან დარჩა მხოლოდ კუნძული, რომელიც მდებარეობს იმ ადგილას, სადაც შესართავია. გეოლოგების ცნობებით; ეს კუნძული, რომელიც ატლანტიდის ნაწილს წარმოადგენს საუკუნოების განმავლობაში ნელ-ნელა ეშვებოდა წყალში. დაბლა დაწევა გრძელდებოდა დაახლოებით ქრისტიანული ხანის პირველ საუკუნემდე. შულტენი მიუთითებს განსაცვიფრებელ მსგავსებაზე ამ სახელმწიფოს შესახებ დარჩენილ ცნობებს და პლატონის აღწერას შორის. ისტორიული ცნობების სიმცირეს ტარტეოსის სატახტო ქალაქის დაღუპვის შესახებ (ქალაქი, მეცნიერის აზრით, ალბათ მიწისძვრისაგან დაიღუპა) შულტენი ხსნის იმით, რომ მაშინდელი კულტურული ქვეყნის კავშირი კართაგენელებთან, რომლებმაც იმ დროისათვის დაიპყრეს ესპანეთი, სრულიად შეწყდა.

დაღუპულ მატერიკიდან გადარჩენილ კუნძულზე, გვადალკვივირის შესართავთან, იპოვეს ძველი რომაული ქალაქის ნანგრევები. განზრახულია ოკეანეს ფსკერის გამოკვლევა ესპანეთის სანაპიროებთან, კუნძულის ახლო, შულტენის თეორიის შესამოწმებლად.

წყალში ქოლგით

ერთ ამერიკულ ცურვის შკოლაში, სადაც მოწაფეებს აჩვევენ დახრჩობის დროს შველის საქმეს, შემოღებულია ცურვა ზურგზე წოლით, და ქოლგით ხელში. პირველად მოწაფეებს ასწავლიან ზურგით ცურვას, ხელების დაუხმარებლად, შემდეგ მათ აძლევენ ხელში რაიმე პატარა საგანს, შემდეგ კი ჯერ დაკეცილ და ბოლოს გახსნილ ქოლგას. მცურავების შეჯიბრება ზურგზე ცურვაში, გახსნილი ქოლგით ხელში. სავალდებულო ნომერია ამ შკოლის გამოსაშვებლად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის და ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმისა

1926 წლის, ივლისის 23

„ქ. თბილისის სავაჭრო წარმოებაში მუშაობის და ვაჭრობის დროის განსაზღვრის შესახებ"

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარიატის და თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1925 წ. 26 ოქტომბრის თარიღით და პირველი ნომრით გამოცემულ დადგენილებათა შესაცვლელად შრომის სახალხო კომისარიატი და თბილისის აღმასკომი ადგენენ:

1. პირველ ჯგუფის სავაჭრო წარმოებებში, რომელთაც ეკუთვნიან მაღაზიები და საწყობები: მანუფაქტურის, გალანტერიის რკინეულობის, წიგნის, კანცელარიის, ნივთების, ბავშვთა სათამაშოების, სააფთიაქო საქონლის, ღვინის, დამზადებულ ტანისამოსის, დამზადებულ ფეხსაცმელების, ჰურჭლეულობის, თამბაქოს, საკომისიო და საიუველირო ვაჭრობა,— როგორც ცალობით, ისე ბითუმად სწარმოებს ზამთრობით **დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე.**

შენიშვნა 1: ზემოაღნიშნულ სავაჭროებში კვირა-უქმე და დასასვენებელ დღეებში ვაჭრობა სრულიად არ სწარმოებს.

შენიშვნა 2: შაბათობით და უქმე დღეების წინ ზემოაღნიშნულ სავაჭროებში ვაჭრობა სწყდება ნორმალურ დროზე ორი საათით ადრე.

შენიშვნა 3: ღვინის საწყობებში (სარდაფები) ღვინის ადგილობრივ სასმელად გაყიდვა სასტიკად აკრძალულია.

2. მეორე ჯგუფის სავაჭრო წარმოებებში ვაჭრობა სწარმოებს:

ა) გასტრონომიულ მაღაზიებში, რესტორანებში, გამაგრილებელ წყლის და ყვავილების სავაჭროებში და საბილიარდოში ზამთრობით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე. დაქირავებულ შრომის ნორმალურ სამუშაო დღის დაცვით.

ბ) ხილის, მწვანეულობის და რძის ნაწარმოების სავაჭროებში, სასადილო, საკონდიტრო საჩაისა და სახაშოებში სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან საღამო 10 საათამდე.

შენიშვნა: გასტრონომიულ სავაჭროებში კვირა-უქმე და განსაკუთრებულ დასვენების დღეებში ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 9 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე.

3. მესამე ჯგუფის წარმოებებში, რომელთაც ეკუთვნიან სავაჭროები: თევზეულობის, ხორცის და ალაფები ცალობით ან ბითუმად ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 ნახ. საათიდან საღამოს 5 ნახ. საათამდე.

შენიშვნა 1: ორშაბათობით ხორცის და თევზეულობის სავაჭროებში ვაჭრობა არ სწარმოებს.

4. მეოთხე ჯგუფის წარმოებებში, რომელსაც ეკუთვნის ყველა პურის საცხობები მუშაობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან საღამოს 10 საათამდე, ვაჭრობა კი დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

შენიშვნა 1: პურის საცხობებში, სადაც მუშაობა სწარმოებს ნებადართულ პერიოდის განმავლობაში, უნდა არსებობდეს მუშების ორი წყება.

შენიშვნა 2: პურის საცხობებში, სადაც არ სარგებლობენ დაქირავებული მუშა-ხელით ან სადაც მხოლოდ ერთი წყება მუშაობს, მუშაობა სწარმოებს ზამთრობით დილის 6 საათიდან ორ საათამდე.

შენიშვნა 3: ღამის მუშაობა აკრძალულია ზამთრობით ღამის 10 საათიდან დილის 6 საათამდე, ყველა პურის საცხობებში, გარდა ისეთებისა, სადაც მუშაობა სწარმოებს სამ-წყებად.

შენიშვნა 4: აკრძალულია კვირა-უქმე და განსაკუთრებულ დასვენების დღეებში, მაგრამ, როდესაც ორი დღე ზედი-ზედ უქმეა, მეორე დღეს შეიძლება მუშაობის წარმოება, ხოლო ამ დღის ხელფასი გაღებული უნდა იქნეს, როგორც უქმე დღეში მუშაობისთვის. კვირა - უქმე და განსაკუთრებულ—დასვენების დღეებში ვაჭრობა სწარმოებს ჩვეულებრივად.

შენიშვნა 5: ცომის მზელავები სამუშაოზე გამოდიან ორი საათით ადრე, ზამთრობით დილის 4 საათზე, ზაფხულობით კი დილის 3 საათზე.

5. მეხუთე ჯგუფის წარმოებებში, რომელთაც ეკუთვნიან ქალაქის ყველა საბაზრო ადგილების სავაჭროებში ვაჭრობა სწარმოებს ზამთრობით დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შენიშვნა 1: საბაზრო ადგილას საჭმელ სანოვაგის მოვაჭრე ყაფაზები ვაჭრობენ კვირა-უქმე დღეებში დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე.

შენიშვნა 2: ის ყაფაზები, რომელნიც არ ვაჭრობენ საჭმელ სანოვაგით იკეტებიან კვირის მაგიერ ორშაბათობით.

6. მეექვსე ჯგუფის წარმოებებში, რომელშიც შედის საპარიკმახეროები და წვრილ შინამრეწველურ სახელოსნოებში მუშაობა სწარმოებს დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე, ხოლო შაბათობით დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ოშაბათობით კი პირველ საათიდან საღამოს 7 საათამდე. სახელოსნოებში მუშაობა სწარმოებს დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე, ხოლო სადაც დაქირავებული მუშა-ხელია დილის 7 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შენიშვნა 1: საპარიკმახეროები და სახელოსნოები კვირა-უქმე დღეებში არ მუშაობენ, შემოკლებული სამუშაო დღე საპარიკმახეროებისათვის შაბათის ნაცვლად დაწესდება ორშაბათობით, როცა მუშაობა სწარმოებს დილის 1-დან საღამოს 7 საათამდე.

შენიშვნა 2: წვრილ შინამრეწველურ სახელოსნოები კვირა-უქმე დღეებში დაკეტილი უნდა იქნეს, მხოლოდ მათ ნება ეძლევათ კვირაობით მათ მიერ დამზადებული საქონელი გამოიტანონ ბაზარზე.

7. მეშვიდე ჯგუფის წარმოებაში, რომელშიც აბანოები შედიან მუშაობა სწარმოებს დილის 7 საათიდან ღამის 11 საათამდე.

8. ზაფხულობით ყველა ზემოაღნიშნულ სავაჭროებში მუშაობა იწყება და თავდება ერთი საათით ადრე, ზამთრის დრო ითვლება 1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ მაისამდე, ზაფხულის კი 1-ლ მაისიდან 1-ლ ოქტომბრამდე.

9. ყველა იმ სავაჭრო სამრეწველო წარმოება. დაწესებულებებში, სადაც მუშაობა 9 საათზე მეტია, დაცული უნდა იქნეს ამ საგანზე არსებული შრომის დაცვის სათანადო კანონი.

10. თითეულ მოსამსახურეს აუცილებლად ეძლევა სამუშაო დღის განმავლობაში საუზმისათვის საჭირო დასვენება არა უმეტეს ნახევარი საათისა ვაჭრობის ნორმალურ მსვლელობის საწარმოებლად.

11. ყველა სავაჭრო-სამრეწველო წარმოება-დაწესებულებებში მეპატრონენი ან გამგენი ვალდებულნი არიან გამოკიდონ თვალსაჩინო ადგილას ფირფიტა მუშაობის დროის ზედ აღნიშვნით.

12. სავაჭრო დაწესებულებებში არ უნდა აღემატებოდეს მოზრდილთათვის 8 საათს, მოზარდისათვის 16—18 წლამდე 6 საათი და მცირე წლოვანთათვის 14—16-მდე 4 საათს.

შენიშვნა: მოზარდთა და მცირე წლოვანთა მუშაობა შეიძლება დანაწილებულ იქნეს შემდეგნაირად: მოზარდთათვის პირველი რიგი 8 საათიდან 12 საათამდე და მეორე რიგი შუადღის 2 და 4 საათ. მცირე წლოვანთათვის დილის 9 საათიდან 1-ლ საათამდე.

13. კოოპერატივებში და იმ სავაჭრო-დაწესებულებებში, რომლებშიც მრავალი მყიდველი იყრის თავს კარები იკეტება ნახევარი საათით ადრე ვაჭრობის შეწყვეტამდე და შესავალ კარებზე გამოიკიდება განცხადება წარწერით: „მაღაზია დაკეტილია".

14. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნება ევალება დაქირავებულ პირთა შრომის დაცვის დარგში შრომის ინსპექციას და დანარჩენ ნაწილში მუშათა და გლეხთა მილიციას.

15. ყველა ზემოაღნიშნულ განსაზღვრულ და დაწესებულ დროს ზევით არც ერთი სავაჭროში და სახელოსნოში არავითარ შემთხვევაში ვაჭრობა და მუშაობა არ უნდა სწარმოებდეს.

საქ. ს. ს. რ. შრომის სახ: კომისრის მოადგილე **ჭელიძე**

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე — **მესხი.**

შრომის დაცვის განყ. გამგე **ელბაქიანი.**

ადმინისტრატიულ განყ. უფროსი **ხმალაძე.**

შეთანხმებულია საქ. პ. კ. საბჭოსთან პასუხისმგებელი მდივანი **ბ. მაჩაიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის **საალრიცხვო - საგანმანაწილებლო გან-ბა** სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 3 აგვისტოს საღამოს ექვს საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-საგანმანაწილებლო განყოფილებაში, თბილისის კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომაზე დასასწრებათ:

ალექსი კონსტ. ხოდჟაკოვი, არშაკ ჯიდარიანი, ბოლესლავ ვლუდარსკი, ე. მიხაილის ძე მაშკევიჩი, მოსე გერნშტეინი, მარიამ ზილბერშტეინი, გერეგინ ჯალალიანი, ილარიონ მესხი, მიხეილ დოლმაზოვი.

—

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის **საალრიცხვო - საგანმანაწილებლო განყოფილება** ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს სთხოვს გამოცხადდენ 4 აგვისტოს, დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-საგანმანაწილებლო განყოფილებაში (ოთახი № 54).

მოსე კონსტანტინეს ძე ფირცხალაშვილი, გიორგი კიკნაძე, არჩილ მარიანაშვილი, ირაკლი აბესალაშვილი, სევერიან ჭედია, თამარა ქვარიანი, ელენე გოშაძე-გიორგაძე, სირანუშ აბრამიანი, ნიკოლოზ მათიაშვილი; რიფსიმე ოვანესიანი, ეპრ. ზაქარეიშვილი, მარგარიტა ოგანესიანი, ბაბალე ალავერდიშვილი, დავით უკლება, ერასტი ახობაძე, ვლადიმერ ბერაია, ანნა იორაშვილი; მიხეილ ჩომახიძე; გიორგი დავითის ძე ჩიხლაძე, ზაქარია გელაშვილი, აშოთ თუმანიანი, ვასილი მელნიკოვი; მარ. მამალაძე; ნინა ბოლქვაძე, სირანუშ ელბაქიძე, ანნა კოლუმბეგოვისა, ვარვარა გალდავა; არუთუნ სურხატიანი, ანნა გაზარიანი, ელენე ჯიბლაძე, გიორგი ჯანელიძე, გაბრ. ლეშკაშვილი, ლ. მეგრელიშვილი; სიმ. მამალაძე, პალადი ტრაპაიძე, ნინა ჩხარტიშვილი, მარო თითბერიძე, ნიკოლოზ კიკაბიძე; ს. სვანიძე, შალვა ჩხაიძე, დავით ალექსანდრეს ძე ცაკაბაძე, ალექსანდრა დურბინინისა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომის **საავიტაციო - საპროპაგანდო გან-ბა** იუწყება, რომ დღეს, 3 აგვისტოს, დღის 1-ნახევ. საათზე, რაიკომის საავიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების ოთახში შესდგება კლუბების ფრაქციათა მდივნების თათბირი.

სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: შახნაზაროვი, ელიაშვილი, წერეთლიშვილი და ხოჯაპარუხოვი.

—

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის **საალრიცხვო - საგანმანაწილებლო განყოფილება** სთხოვს ამხ **სერგო მეგრელიშვილს** (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე) გამოცხადდეს დღეს, 3 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო - საგანმანაწილებლო განყოფილებაში.

—

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 4 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის (პლეხ. ქ. 96) შენობაში.

არტემ პეტროსიანი, ნიკიფორე დზუცევი, ქსენოფორე გოგუაძე, ივანე გერმისაშვილი, გიორგი ნემსაძე, პავლე ოგლოდა; ნიკოლოზ ბედეევი, ანასტასია ძელნიკოვისა, სერაფიონ კობერიძე, გიორგი ახმეტელაშვილი, აკოპ ბაიაჯანი, ნიკა სოქურაშვილი; ალექს. კაზაკოვი, შალვა ჯიმჯარიანი, ოლღა დოლუენკო, ნოე აკოპაშვილი, კორნელი შენგელია, ვასილი ინჩაგოვი, კონსტანტინე ურბანოვი; დიმიტრი მიხაილოვი, ევგენი ბუაძე, სიმონ ჭოხონელიძე; კალისტრატე ნიშნიანიძე, მიხეილ ინდრუშისტი, სერგო ოსიშვილი, გრიგოლ ავეტისოვი, ვლადიმერ საგარეიშვილი, ლეონ ტერ-არუთინოვი, სურენ ქამალიანი, კოტე აღლაძე, გიორგობიანი, მატეოს პეტროსიანი; ოვანეს დავიდოვი, სანდრო ასატუროვი, კონსტ. ფრანგიშვილი, ვერბერტა ზედინისა, არამ გრიგორიანი.

ღრმად დამწუხრებულნი ვალოდია, ანდრამახა, ბაბო, მანე, მიშა, ჟორჟიკა და შურა მენაბდე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. ლენინაკანში უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორენის რძალი

მარგარიტა კონსტანტინეს ასული

თოფურიძე-მენაბდისა

დაკრძალვის დრო გამოცხადებული იქნება ცალკე. 3472

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: სტეფანე ადამისძე ებიაშვილი, თამარ ბაქრაძისა და ნინო ვაშაკიძისა, შვილისშვილები: აბესალომი, ქეთუშა და ლილიკო და სიძეები ლუკა ივანესძე ბაქრაძე და შალვა ალექსანდრესძე ვაშაკიძე აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 31 ივლისს ნაშუადღევის 1-ლ საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ეფემია პეტრეს ასული

ებიაშვილისა

ცხედრის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 3 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე საკუთარი ბინიდან: დიდუბე—ფოთის ქუჩა № 9 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3474

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლო
(არტოს ბაღში).

0—23 ნ. 1388

მხატვრული ტრიუკებიანი სურათი
„ორში ერთი"
საუკეთესო ტრიუკისტის კარლ ალდინის მონაწილეობით. სიმებიანი ორკესტრი

განთქმული სურათის „სპიდ"-ის გმირი ხერისონი.
საუკეთესო სურათში
„ბოროტმოქმედების დალი"
(სამკვდრო-სასიცოცხლო თამაში). 1 და 2 სერია ერთად.
წარმტაცი სიუჟეტი, არაჩვეულებრივი ტრიუკები

ლილიან გიში (სურათ „ორი ობოლის" გმირი) ორგინალურ კინო-პიესაში
„ქალაქის ხმაური"
მსოფლიო რეჟისორის დ. გრიფფიტის დადგმით

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატო-ოდონტოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის
ტეხნიკოსთა კურსებზე მსმენელების
მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.
მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება კურსების გამგის სახელზე (პლეხანოვის გამზ. № 126) შემდეგი საბუთების თანდართვით:
1) შვიდწლედის დამთავრების მოწმობა,
2) წლოვანობის მოწმობა,
3) ნახევარი წლის სწავლის ფული.
მიღება იწარმოებს უგამოცდოთ.
კურსები ორწლიანია და მეცადინეობა სწარმოებს საღამოობით. 13—1 ნ. 3478

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს", პირდაპირ „ხოდრიშვილის" შესახვევი (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 25 —18

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
იღებს ავადმყოფებს ბორჯომში.
13—1

დაიკარგა მოწმობა ღანირჭაგანის 7 წლედის დამთავრების შესახებ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე გვალიას სახელზე ჩ. გ. 3475

უმუშევართა დახმარების ნორმების გადიდების გამო

სრულიად საქართველოს სოციალზღვევის კომიტეტი უმუშევართა დახმარების ნორმების გადიდების გამო, სრულიად საქართველოს სოციალზღვევის კომიტეტი

ატარებს ქ. თბილისში მცხოვრებ დაზღვეულ უმუშევართა ხელ-ახალ რეგისტრაციას

ა. წ. 15 აგვისტოდან

დაზღვეული უმუშევრები უნდა გამოცხადდენ ხელ-ახალ რეგისტრაციაზე თავის წიგნაკების ნომრების მიხედვით შემდეგ ვადებში:

№№		500-მდე	5 აგვისტოს	(საღამ. 6—10 საათ.-დე)
№№	501	1000 „	6 „	„
№№	1001	1500 „	8 „	„
№№	1501	2000 „	9 „	„
№№	2001	2500 „	10 „	„
№№	2501	3000 „	11 „	„
№№	3001	3500 „	12 „	„
№№	3501	4000 „	13 „	„
№№	4001	4500 „	16 „	„
№№	4501	5000 „	17 „	„
№№	5001	5500 „	18 „	„
№№	5501	6000 „	19 „	„
№№	6001	6500 „	20 „	„
№№	6501	7000 „	22 „	„
№№	7001	7500 „	23 „	„
№№	7501	8000 „	24 „	„
№№	8001	8500 „	25 „	„
№№	8501	9000 „	26 „	„
№№	9001	9500 „	27 „	„
№№	9501	10000 „	28 „	„
დანარჩენები			29 „	„

გარდა წიგნაკებისა დაზღვეულმა უმუშევრებმა რეგისტრაციაზე გამოცხადების დროს უნდა წარმოადგინონ უმუშევრობის გამო დახმარების დანიშნისათვის საჭირო საბუთები და „სახლის მმართველობის ან სახლის პატრონის ცნობა" სათანადო გამომუშავებული ფორმით, რომლის მიღება შეიძლება **უფასოთ** უმუშევართა დაზღვევის ქვეგანყოფილებაში. (ვოლოდარის ქ. № 3).

ნ. 1524 **სრულიად საქართვ. სოცდაზღვევის კომიტეტი.**

დაიკარგა სიღარიბის მოწმობა № 2281 და პირადობის მოწმობა გაცემული ტყვიავის თემამასკომის მიერ № 2255 ივანე რევაზის-ძე სავანელის სახელზე, ჩ. გ. 3474

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი № 2124 ნოე ათანასეს-ძე ჯანგველაძის სახელზე, ჩ. გ. 3479

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი ვერა შაქიშვილის სახელზე, ჩ. გ 3483.

დაიკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო სამსახურის ნუსხა მიხეილი გლახუას-ძე სიგუას სახელზე, ჩ. გ. 3477

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 12851 გიორგი თურქაძის სახელზე ჩ. გ. 3482

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი დომნა ინწკირველის სახელზე, ჩ. გ. 3476

გამოვიდა ახალი წიგნი
მიხ. კახიანი-„კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ".
ფასი 30 კ. იყიდება სახელგამის ყველა მაღაზიებსა და კიოსკებში. ფასი 30 კ.

ВЫШЛА НОВАЯ КНИГА
Мих. КАХИАНИ-„ЕЩЕ О ГРУЗИНСКОЙ ЭМИГРАЦИИ."
Цена 30 к. Продается во всех магазинах и киосках Госиздата. Цена 30 к.
ნ. 1523.

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 63.